მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ჟურნალმა „მასწავლებელმა“ და ინტერნეტგაზეთმა mastsavlebeli.ge-მ ქართველი მწერლებისთვის ლიტერატურული კონკურსი გამოაცხადეს. ჟიურიმ გამოავლინა სამი საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელთა საქმიანობისა და სკოლის ცხოვრების შესახებ. კონკურსის მიზანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა იყო.

ეს ამბავი მთავარი სათქმელისთვის გავიხსენე, თორემ კონკურსი უკვე ჩავლილია. მარად ახალი კი, სამწუხაროდ, ის არის, რაც მასწავლებლებს გვჭირს.

ჩემი საქმიანობა მასწავლებლის დაცვასაც გულისხმობს, რაც, რა თქმა უნდა, ჭირზე თვალის დახუჭვას არ ნიშნავს.

პირადი წერილებისა და გამოგზავნილი მოთხრობების შინაარსს აქ, ცხადია, არ განვიხილავ. მხოლოდ რამდენიმე კომენტარს მოვიხმობ, რომლებიც საჯაროა.

კონკურსის გამოცხადებას ასეთი გამოხმაურება მოჰყვა:

„მოსწავლის ასაკი განსაზღვრულია?“

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ და კონკურსში მონაწილეობა მსურს“.

„ამ კონკურსში მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებს არ შეუძლიათ?“

„მასწავლებლებს შეუძლიათ მონაწილეობა?“

„პირველად თუ დაწერა მასწავლებელმა მოთხრობა, ასეთი შეიძლება? მასწავლებელი ვარ და ვაპირებ, ჩემი სკოლის ამბები გამოვაგზავნო“.

„რა გამოდის – მასწავლებლებმა უნდა წერონ საქებარსადიდებელი ნაწარმოებები საკუთარ თავზე და ვისაც თავის ქება უკეთ გამოუვა, გამარჯვებულიც ის იქნება?“

„დაამუშავეთ, რას ჰქვია „მწერალი“? გამოცემული უნდა მქონდეს რაიმე წიგნი, მწერალთა კავშირში უნდა ვიყო გაერთიანებული თუ რა დატვირთვა აქვს ამ სიტყვას? ეს რომ ჩემი პირველი ნაწარმოები იყოს და „მწერლის“ ოფიციალური სტატუსი არ მქონდეს, კონკურსში მონაწილეობას ვერ მივიღებ?“

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი სირცხვილისა, საბუთი იმისა, რომ მასწავლებლებს ამოცანის პირობის წაკითხვა არ გვიყვარს. ამიტომ იყო, საგანგებოდ რომ ვთქვი დასაწყისში, კონკურსი ქართველი მწერლებისთვის გამოცხადდა-მეთქი...

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N5(42), 2016

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / 8-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორები:** მანანა ბოჭორიშვილი, ნანა მაჭავარიანი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, მანანა რატიანი, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, თამარ მოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, მანანა ბოჭორიშვილი, თამთა დოლიძე, ინა იმედაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, გიორგი ნოზაძე, ნინო ლაბარტყავა, სოფო გორგოძე, ნატალია ედიშერაშვილი, ნესტან რატიანი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ექსპერტი

4 | მაია ჯალიაშვილი
საუკეთესო პრაქტიკა სწავლებისას

არსებობს საუკეთესო პრაქტიკები, რომელთა გამოყენება დაეხმარება მასწავლებელს. მაგალითად, აუცილებელია გათვალისწინება განათლების ისეთი მკვლევრის ნაშრომებისა, როგორიცაა რობერტ მარზანო, რომელსაც არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული კლასის მართვის, მოსწავლეთა შეფასებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

10 | მაია ფირჩხაძე
ტექსტის მაკაზრება და აკადემიური წერა

თუ მოსწავლეს ავათვისებინებთ მასალის დალაგებისა და შინაარსის დაწერის ამ ექვს ფორმულას, მაშინ ნებისმიერი ტექსტის შინაარსის დაწერისას ის მაქსიმალურად ზუსტად შეასრულებს დავალებას.

15 | სოფო გორგოძე
ეფექტური განმავითარებელი შეფასება

ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რას ვერ იგებს ის) იპოვიან გზებს, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი.

24 | თამარ მოსიაშვილი
საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება

სკოლაში სიტყვა „პროექტი“ უცხო არ არის. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სასკოლო სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეცვალა სასწავლო პროცესი და დღეს მასწავლებლები გაკვეთილებზე სხვადასხვა სახის პროექტებს ახორციელებენ, სკოლაში მუშაობს საგანმანათლებლო კლუბები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ითანამშრომლონ საზოგადოებასთან, განივითარონ კვლევითი უნარები და სხვა.



რესურსი

6 | გიორგი ნოზაძე
მასწავლებლის პრაქტიკული საჭიროებანი სწავლების ეფექტური წარმართვისთვის

გამართული მეთოდოლოგიური აპარატის მქონე სახელმძღვანელოში სტანდარტის რთული შედეგები, რომელთა მიღწევაც დროის და ენერგიის მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს, დაშლილია საშუალედო შედეგებად, ანუ ქვეშედეგებად, რომლებიც ასახავს ქვეამოცანების გადაჭრას სტანდარტის შედეგის მიღწევის გზაზე.

36 | ნინო ლაბატყავა
ციფრული წიგნიერების მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაში

ჩვენი დროის გამოწვევად რჩება მოზარდებისთვის ჯანსაღი სკეპტიციზმის ჩასახვა ინფორმაციული ნაკადის მიმართ, რომელზეც მათ ხელი მიუწვდებათ ინტერნეტით, ტელევიზიით თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. მოზარდი აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომლებიც დაეხმარება მას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გადამოწმებაში, ვიდრე მას სრულ ნდობას გამოუცხადებდეს.

42 | თამთა დოლიძე
ტერმინების ტყვეობაში: ინკლუზიური საზოგადოება

ინკლუზია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც თავის თავში უამრავ რამეს გულისხმობს. ის ადრეულ ასაკში, ბავშვის განვითარების შეფერხების გამოვლენისთანავე იწყება. განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო ადვილია ინდივიდის სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

49 | ინა იმედაშვილი
მოიგონე, აირჩიე, წარმოიდგინე, შექმენი — იყავი თავისუფალი

დღევანდელ ბავშვებს, როგორც არავის, ისე სჭირდებათ თავისუფლება. თავისუფლება მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, ისეთივე როგორც ჭამა ან ძილი. მნიშვნელობა არ აქვს, სად ან როგორ ოჯახში, ქვეყანაში იზრდებიან, მათში გენეტიკური კოდივით დევს ბუნებრივი სწრაფვა თავისუფლებისკენ.

შინაარსი



მოსაზრება

ნატალია ედიშერაშვილი

20 შეფასების რუბრიკების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში და მათი ტიპები

შეფასების რუბრიკა, მასწავლებლების მიერ მოსწავლეების შეფასებასთან ერთად, მოსწავლეების თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და რეფლექსიის უნარის განვითარებას უწყობს ხელს.



მანანა ბოჭორიშვილი

32 ეფექტიანი სწავლება — როგორ შევმატოთ დავალებას ინტერესი

ბევრ მასწავლებელს ჰგონია, რომ გაკვეთილის ეფექტიანად მიწოდება კლასის წინაშე საკითხის კარგად გაშუქებას ნიშნავს. მასწავლებლებისათვის ნამდვილად საჭიროა შესანიშნავი სამეტყველო უნარები, ეს ინსტრუქციების მიწოდების მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია.

ანა ჯანელიძე

54 სხეულით სწავლის მივიწყებული ხელოვნება

ხშირად სხეული მოიაზრება ადამიანის ისეთ ნაწილად, რომელიც გარესამყაროს შემეცნების პროცესში, გონებასთან შედარებით, მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ფორმალური განათლება სწორედ სხეულისა და გონების ასეთი ურთიერთმიმართების კონცეფციას ეყრდნობა.

მამოცდილება

ქეთევან ოსიაშვილი

40 სკოლის შიში და მისი დაძლევის გზები



სკოლის მიმართ შიშის აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ბავშვის სოციალური განვითარების არასათანადო დონე. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა უცხო გარემოში და უცხო ადამიანებთან ყოფნას მიუჩვეველ პატარას ეშინია და უჭირს ახლობლების გარეშე სადმე დარჩენა. ეს პრობლემა განსაკუთრებით იმ ბავშვებთან გვხვდება, რომელთაც საბავშვო ბაღში არასოდეს უვლიათ.

45 წავუკითხოთ, წავკითხოთ თუ ავკრძალოთ

ადაპტირებულ ლიტერატურაზე გაზრდილი თაობა აღარ მიუბრუნდება ორიგინალს და მის მეხსიერებაში არასწორად ჩაიბეჭდება დამახინჯებული სიუჟეტები, გადასხვაფერებული გმირები და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი რამ.

მაია ჯალიაშვილი

საუკეთესო პრაქტიკა სწავლებისას

მასწავლებელსა და სწავლების მეთოდებს ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ. განსაკუთრებით კი მასწავლებელს, რომელიც სწორედ მეთოდებზე დაყრდნობით აღწევს შედეგს.

ხშირად ამბობენ, რომ საგანმანათლებლო სამყაროში (ისევე, როგორც ნებისმიერ პროფესიულ სფეროში): „რატომ უნდა გამოვიგონოთ ველოსიპედი, როდესაც კაცობრიობას სწავლების უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება აქვს? – ამგვარ ბუნებრივ კითხვას სვამს რებეკა ალბერი, განათლების ექსპერტი და ასე უპასუხებს: თავიანთ წიგნში „პროფესიული კაპიტალი – სწავლების ტრანსფორმაცია ყოველ სკოლაში“ ენდი ჰარდგრეივი და მაიკლ ფულანი „საუკეთესო პრაქტიკას“ ამგვარად განმარტავენ: ეს არის პრაქტიკა, რომელსაც აქვს საყოველთაო აღიარების მაღალი ხარისხი.

თანამედროვე მასწავლებლები, მეტაფორულად თუ ვიტყვით, გიგანტების მხრებზე დგანან, რომელთაც თავიანთი გამოკვლევებით, გამოცდილებით შეიმუშავეს სწავლების სტრატეგიები.

რებეკა ალბერი სხვებსაც უზიარებს, თუ რა საუკეთესო პრაქტიკა გამოიყენა სწავლებისას. აი, რამდენიმე, რომელთაც სხვებიც იყენებენ:

- მოსწავლეთა ცოდნის ხშირად და სხვადასხვა ფორმით შემოწმება.
- სწავლების კარგად მოფიქრებული გეგმა მოსწავლეთათვის. თუ თქვენ არ გექნებათ ეს გეგმა, მაშინ ისინი თვითონ შეადგენენ.
- მოიფიქრეთ შემდგომი აქტივობა, სანამ მოსწავლეები პირველს ასრულებენ. ამგვარად ისე გადახვალთ შემდგომ ეტაპზე, რომ დროს სრულიად არ დაკარგავთ.
- თავიდანვე გარკვევით ჩამოაყალიბეთ მისაღწევი მიზნები და შედეგები.
- სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გეგმა გააცანით მოსწავლეებს, მათი თანამონაწილეობით შეიტანეთ ცვლილებები და პრაქტიკული მუშაობისასაც შემოქმედებითად მიუდექით წინასწარ დაწერილსა და გააზრებულს.
- თქვენსავე გამოცდილებას გაუფრთხილდით. სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები და გეგმები არ გადაყაროთ, რადგან მოგვიანებით შეიძლება ისევ გამოგადგეთ.

კვლევების როლი

არსებობს საუკეთესო პრაქტიკები, რომელთა გამოყენება დაეხმარება მასწავლებელს. მაგალითად, აუცილებელია გათვალისწინება განათლების ისეთი მკვლევრის ნაშრომებისა, როგორიცაა რობერტ მარზანო, რომელსაც არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული კლასის მართვის, მოსწავლეთა შეფასებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. თანაავტორებთან ერთად დაწერილ წიგნში, „ეფექტური სწავლება სკოლაში“, ის არაერთ კვლევას მოიხმობს საგულისხმო დასკვნების გამოსატანად. მისი აზრით, თანამედროვეობაში სწავლების „ხელოვნება“ სწავლების „მეცნიერებად“ იქცა. სწავლების მეთოდების საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა მართალია მეოცე საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ იცნობდნენ სწავლების ეფექტურ გზებსა და საშუალებებს: „მასწავლებლები სოკრატეს მეთოდს მთელი ორნახევარი ათასი წლის განმავლობაში იყენებდნენ. მკვლევრები მხოლოდ მეოცე

არსებობს საუკეთესო პრაქტიკები, რომელთა გამოყენება დაეხმარება მასწავლებელს. მაგალითად, აუცილებელია გათვალისწინება განათლების ისეთი მკვლევარის ნაშრომებისა, როგორიცაა რობერტ მარზანო, რომელსაც არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული კლასის მართვის, მოსწავლეთა შეფასებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ დაინტერესდნენ სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და სწავლის შედეგს შორის კავშირით. მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე კი მიაჩნდათ, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრება საერთოდ არ იყო დამოკიდებული სწავლების მეთოდოლოგიაზე". აღნიშნულ წიგნში კრიტიკულადაა განხილული ერთი კვლევა, რომლის მიხედვითაც, გააკეთეს დასკვნა, რომ „სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა შორის აკადემიურ მოსწრებაში არსებული განსხვავება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მოსწავლის ნიჭი ან უნარები, მისი სოციოეკონომიკური სტატუსი და ოჯახური გარემო". ეს კი ისეთი ფაქტორებია, რომელთა შეცვლა სკოლას არ შეუძლია. თუმცა შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ეს ასე არ არის, რომ სკოლას, მასწავლებელსა და სწავლების მეთოდებს ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ. განსაკუთრებით კი მასწავლებელს, რომელიც სწორედ მეთოდებზე დაყრდნობით აღწევს შედეგს. „70-იან წლებში ჩატარებული ასობით კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ, მკვლევრები ჯერე ბროფი და თომას გუდი წერენ: „მითი დაიმსხვრა. მასწავლებლები რეალურ გავლენას ახდენენ მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე". „ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები კი აჩვენებენ, რომ მასწავლებელს უფრო დიდი ზეგავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, ვიდრე ეს მანამდე ჩატარებულ კვლევებში იკვეთებოდა. რამდენიმე ასეული სკოლიდან 100000-ზე მეტი მოსწავლის ტესტირების ანალიზის შემდეგ, რაიტმა და მისმა კოლეგებმა დაასკვნეს: „მასწავლებელთა ეფექტურობის ზრდაზე მიმართული ღონისძიებები შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად ტარდება. ნათლად იკვეთება, რაც უნდა ჰეტეროგენული იყოს კლასი, ეფექტური მასწავლებელი წარმატებით მუშაობს სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან. შესაბამისად, თუ მასწავლებელი არაეფექტურია, მის მოსწავლეებში არ აღინიშნება სათანადო პროგრესი, იმისდა მიუხედავად, რამდენად მსგავსნი ან განსხვავებულნი არიან მოსწავლეები თავიანთი უნარებითა თუ აკადემიური მოსწრებით".

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, საკვლევი კიდევ ბევრია. რჩება პასუხგაუცემელი შეკითხვები, მაგალითად ასეთი:

1. არის თუ არა სწავლების ზოგიერთი მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური განსაზღვრულ საგანში?
2. არის თუ არა სწავლების ზოგიერთი მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური რომელიმე ასაკობრივ ჯგუფთან?
3. არის თუ არა სწავლების ზოგიერთი მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური გარკვეული მახასიათებლების მქონე მოსწავლეებთან?
4. არის თუ არა სწავლების ზოგიერთი მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური გარკვეული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან?

მეცნიერთა აზრით, ამ კითხვებზე პასუხები დაგვეხმარება სწავლების ხელოვნება სწავლების მეცნიერებად ვაქციოთ. მათივე აზრით, სიფრთხილეა საჭირო იმ მეთოდების გამოყენებისას, რომელთა ეფექტურობა ჯერ კვლევებით არ დასტურდება, რადგან შეიძლება ზედმეტმა ნდობამ უარყოფით შედეგებამდეც მიგვიყვანოს. მაგალითად, რომ ავიღოთ სწავლების ცნობილი სტრატეგიები:

- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება;
- კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პრაქტიკული, ლაბორატორიული აქტივობები.

კვლევების მიხედვით, ეს სტრატეგიებიც არ იწვევენ ერთნაირ ეფექტს სხვადასხვა საგნის სწავლებისას: „ვან ზეკერისა და რ. ლისიცას კვლევა ადასტურებს, რომ აუცილებელია შევისწავლოთ სწავლების კონკრეტული მეთოდის გავლენა კონკრეტული მახასიათებლების მოსწავლეებზე, კონკრეტულ გარემოებებსა და კონკრეტულ საგანში. მანამდე კი მასწავლებლები უნდა ენდონ საკუთარ ცოდნას მოსწავლეთა მახასიათებლებთან, საგანსა და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით, რათა სწავლების ყველაზე მართებული მეთოდები შეარჩიონ" (რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი „ეფექტური სწავლება სკოლაში") .

მეცნიერთა აზრით, ეფექტური სწავლება სამ კომპონენტს მოიცავს:

1. სწავლების მეთოდები;
2. კლასის მართვის მეთოდები;
3. საგნის სწავლების გეგმა.

სამივე ერთმანეთთანაა დაკავშირებული და აპირობებს სწავლების ხარისხს.



ვიორგი ნოზაძე

მასწავლებლის პრაქტიკული საჭიროებანი სწავლების ეფექტური წარმართვისთვის

თემატურ-შინაარსობრივ წინსვლას თან სდევს წინსვლა ესგ-ის შედეგებისა და ინდიკატორების თვალსაზრისითაც. ვინაიდან სახელმძღვანელოს სტრუქტურული ერთეულები (თავები და პარაგრაფები) სულაც არ არის ფოკუსირებული რომელიმე ერთ შედეგზე, ასეთი სტრუქტურული ერთეულის დასრულებისას, წესისამებრ, იშვიათად თუ სრულდება ესგ-ის რომელიმე შედეგზე მუშაობა.

ახალი საკითხის სწავლების საწყის ეტაპზე ყველა მასწავლებელს უწევს საკუთარი თავისთვის შემდეგი კითხვების დასმა:

1. რა არის საკითხის სწავლების მიზანი?
2. მოსწავლის მიერ რა საკითხების წინასწარი ცოდნა და რა უნარ-ჩვევების ფლობაა საჭირო მოცემული საკითხის შესასწავლად?
3. როგორ და რა დავალებით მოვახდენ მოსწავლეთა მზაობის დიაგნოსტირებას?
4. რა ინფორმაციით ან კითხვებით აღვუძრავ მოსწავლეებს ინტერესს და გავუღვივებ ცნობისმოყვარეობას მოცემული საკითხის მიმართ?
5. როგორი დავალებების საშუალებით შევუწყობ ხელს მოსწავლეებს ცოდნის აგებასა და გააზრებაში?
6. როგორ დავეხმარები მოსწავლეებს ცოდნის განმტკიცებასა და უნარ-ჩვევების გაწაფვაში?
7. როგორი დავალებების საშუალებით შევამოწმებ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა საკითხი?
8. რა ტიპური შეცდომები შეიძლება დაუშვან მოსწავლეებმა მოცემულ საკითხზე მსჯელობისას ან ცოდნის გამოყენებისას (ამოცანების ამოხსნისას, პროექტების შესრულებისას და სხვა) და რა მიზეზით?
9. როგორ მოვახდენ მოსწავლეთა ტიპური შეცდომების პრევენციას ან/და კორექციას (მაგალითად, კითხვები, მაგალითები და კონტრმაგალითები, მოდელები, განზოგადებები და სხვა)?
10. რომელი დავალებების საშუალებით შევაფასებ მოსწავლეთა მიღწევებს?

ბუნებრივია, მასწავლებელი დახმარებისთვის მიმართავს ძირითად თუ დამხმარე რესურსებს – მოსწავლისა თუ მასწავლებლის სახელმძღვანელოებს, დამატებითი სავარჯიშოების კრებულებს სხვა. მაგალითად, ის ცდილობს წარმოიდგინოს, როგორ გამოიყენებს მოსწავლის სახელმძღვანელოს, თუ ამ წიგნის ერთი ტიპური თავისა და პარაგრაფის სტრუქტურა ასეთია:

თავის სტრუქტურა

თავის დასაწყისში:

ა) სამოტივაციო-საინფორმაციო მასალა;
ბ) მზაობის სადიაგნოსტიკო მასალა.

რამდენიმე პარაგრაფი თავის ფარგლებში

თავის ბოლოს:

ა) შეჯამება (მაგალითად, მოკლე თეორიული ამონაკრები, დასკვნები, ფორმულები, ახალი ტერმინები და ა.შ.);
ბ) დამატებითი სავარჯიშოების პაკეტი, რომელიც ფოკუსირებულია ესგ-ის ინდიკატორებზე;
გ) ტესტის (არამხოლოდ დახურული ამოცანებით) ნიმუში მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის შეფასების კრიტერიუმებთან ან სქემასთან ერთად;

დ) სავარჯიშოები ცოდნაში ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ტიპური პარამრეფის სტრუქტურა

1. მოსამზადებელი სავარჯიშოები (სამოტივაციო, წინარე ცოდნის შესახსენებელი, აზროვნებისთვის ბიძგის მიმცემი, პარაგრაფში დასმული ამოცანების ქვეამოცანები და სხვა);
2. თეორიული ტექსტი თანმხლები ამოცანებით და ამოხსნის ნიმუშებით, კონკრეტული მაგალითებითა და ილუსტრაციებით (იდეების გათვალსაჩინოების მიზნით);
3. საბაზო/ძირითადი სავარჯიშოები:
   ა) ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ორი სახეობის დავალებები (გამაზრებელი – დამაკავშირებელი წინა ან სხვა ცოდნასთან – და ცოდნის განსამტკიცებელი);
   ბ) ცოდნის გამამდიდრებელი დავალებები (მაგალითად, განზოგადებებისა და კერძო შემთხვევების განხილვა);
   გ) დავალებები ცოდნის გამოყენებაზე (მაგალითად, საყოფაცხოვრებო და საგანთაშორისი კავშირების ამსახველი ან შიდასაგნობრივი, რომლებიც ცოდნის ტრანსფერს მოითხოვს).
4. დამატებითი სავარჯიშოები:
   ა) ცოდნის განსამტკიცებელი დავალებები (მაგალითად, კომპლექსური ამოცანები, ძნელი ამოცანები);
   ბ) ცოდნის გამამდიდრებელი დავალებები (მაგალითად, კვლევაზე ორიენტირებული ამოცანები, თავსატეხები).
5. წინა მასალის გასამეორებელი სავარჯიშოები (მაგალითად, ტიპური ამოცანები გაწაფულობის ხარისხის ასამაღლებლად).

შენიშვნა: თითოეული საგნობისთვის სახელმძღვანელოში მოცემულია ანალოგიურ დავალებათა წყვილები საკლასო და საშინაო დავალებებისათვის.

ამჟამად მოქმედ მოსწავლის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია მასალის თემატური დაგეგმვა, ანუ საკითხები თანმიმდევრულად განიხილება ერთმანეთზე დაშენების პრინციპის შესაბამისად მათი შინაარსობრივი კავშირებისა და გართულება-გაძნელების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში კლასში მუშაობა მიმდინარეობს ესგ-ით გათვალისწინებულ, ერთდროულად რამდენიმე განსხვავებულ, შედეგსა თუ ინდიკატორზე, რომელთაგან დომინირებს ერთი ან ორი, თუმცა ასეთი აქცენტირება არ გამორიცხავს საგრძნობ ძალისხმევას სხვა შედეგებისა თუ ინდიკატორების მიმართულებით.

თემატურ-შინაარსობრივ წინსვლას თან სდევს წინსვლა ესგ-ის შედეგებისა და ინდიკატორების თვალსაზრისითაც. ვინაიდან სახელმძღვანელოს სტრუქტურული ერთეულები (თავები და პარაგრაფები) სულაც არ არის ფოკუსირებული რომელიმე ერთ შედეგზე, ასეთი სტრუქტურული ერთეულის დასრულებისას, წესისამებრ, იშვიათად თუ სრულდება ესგ-ის რომელიმე შედეგზე მუშაობა – უმეტესად ხდება მხოლოდ პარალელური წინსვლა რამდენიმე შედეგის მიმართულებით, მიიღწევა მხოლოდ რამდენიმე „საშუალედო შედეგი“ ანუ „ქვეშედეგი“, რომლებიც ინდიკატორთა ამა თუ იმ კრებულს წარმოადგენს.

ამის კვალობაზე, მასწავლებელთა წინაშე ხშირად დაისმის შემაჯამებელი დავალებებისა და განმსაზღვრელი შეფასების საკითხი: რა უნდა შევამოწმო – რომელიმე შედეგის მიღწევა თუ თემატიკის დაფარვა? წესისამებრ, მასწავლებლები მეორეს ასრულებენ, რაც არცთუ სავსებით ეთანადება ესგ-ის კონცეფციას, მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასება კი შემაჯამებელი დავალებების საშუალებით წლის განმავლობაში 10-ჯერ მაინცაა ჩასატარებელი, ამიტომ აქტუალურია საკითხი, რის შეჯამება-შემოწმება ხდება ამ 10 შემთხვევაში: დასამახსოვრებელი ინფორმაციის, სასწავლო შინაარსის გააზრებული ათვისებისა თუ საგნობრივი კომპეტენციების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტისაც, როგორიცაა ესგ-ის შედეგებსა და ინდიკატორებში ასახული უნარ-ჩვევები. შესაბამისად უნდა დაიგეგმოს შეკითხვების შერჩევაც ამ შემაჯამებელი დავალებისთვის და შეფასების სქემა/რუბრიკაც.

ამ საკითხში უკეთ რომ გავერკვიოთ, კვლავ მივმართოთ მასწავლებლების პედაგოგიურ პრაქტიკას და მოქმედ სახელმძღვანელოებს.

მამართული მეთოდოლოგიური აპარატის მქონე სახელმძღვანელოში სტანდარტის რთული შედეგები, რომელთა მიღწევაც მნიშვნელოვან დროსა და ენერგიას მოითხოვს, დაშლილია საშუალედო შედეგებად ანუ ქვეშედეგებად, რომლებიც ასახავს ქვეამოცანების გადაჭრას სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მიღწევის გზაზე.

მასწავლებელი, გარდა მოსწავლის სახელმძღვანელოსი, მასწავლებლის სახელმძღვანელოთიც სარგებლობს. ამ სახელმძღვანელოდან მისთვის ნათელი უნდა გახდეს, რა ადგილი უკავია მის მიერ დასახულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელოს მიზანთა ან შედეგთა რუკაზე, სადაც წარმოდგენილია ესგ-ის შედეგების მიღების ტრაექტორია სახელმძღვანელოს ავტორთა ჩანაფიქრის შესაბამისად.

შედეგთა რუკა არის ცხრილი, რომელიც წარმოგვიდგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის სქემას. გამართული მეთოდოლოგიური აპარატის მქონე სახელმძღვანელოში სტანდარტის რთული შედეგები, რომელთა მიღწევაც მნიშვნელოვან დროსა და ენერგიას მოითხოვს, დაშლილია საშუალედო შედეგებად ანუ ქვეშედეგებად, რომლებიც ასახავს ქვეამოცანების გადაჭრას სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მიღწევის გზაზე.

სასწავლო გეგმის ერთეულების თანმიმდევრული გავლის კვალობაზე, მოსწავლე წინ მიიწევს იმ გზაზე, რომელმაც სტანდარტით განსაზღვრულ შედეგამდე უნდა მიიყვანოს (იხ. საშუალედო შედეგების ცხრილის ფრაგმენტი, სადაც შედეგთა დანომვრაში პირველი არაბული ციფრი აღნიშნავს საგნობრივი სტანდარტის მიმართულების ნომერს, მეორე არაბული ციფრი - მოცემული მიმართულების ფარგლებში არსებული სტანდარტის შედეგის ნომერს, ხოლო რომაული ციფრი - მოცემული სტანდარტის შედეგის შესაბამისი საშუალედო შედეგის ნომერს. მიღებული შედეგი აღნიშნულია მსხვილი დახრილი შრიფტით და სტრიქონში მარჯვნივ აღარ მოსდევს გაგრძელება).

საშუალედო შედეგების ცხრილი (ფრაგმენტი)

თავი I	თავი II	თავი III	თავი IV	თავი V	თავი VI
საშუალედო შედეგი 1.1.I	სტანდარტის შედეგი 1.1	საშუალედო შედეგი 1.2.I	საშუალედო შედეგი 1.2.II	სტანდარტის შედეგი 1.2	სტანდარტის შედეგი 2.2
საშუალედო შედეგი 2.1.I	საშუალედო შედეგი 2.1.II	საშუალედო შედეგი 2.1.III	სტანდარტის შედეგი 2.1	საშუალედო შედეგი 2.2.I	სტანდარტის შედეგი 3.2
საშუალედო შედეგი 3.1.I	სტანდარტის შედეგი 3.1	საშუალედო შედეგი 4.1.II	საშუალედო შედეგი 3.2.I	საშუალედო შედეგი 3.2.II	სტანდარტის შედეგი 4.2
	საშუალედო შედეგი 4.1.I	საშუალედო შედეგი 4.2.I	სტანდარტის შედეგი 4.1	საშუალედო შედეგი 4.2.III	
			საშუალედო შედეგი 4.2.II		



ახლა უკვე ნათელია, რა უნდა შეამოწმონ მასწავლებლებმა ამა თუ იმ სასწავლო ერთეულის ბოლოს დაგეგმილი განმსაზღვრელი შეფასების დროს.

შეჯამებისთვის აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის სახელმძღვანელოში მასწავლებელს, საუკეთესო შემთხვევაში, ასეთი სურათი წარმოუდგება (იხ. სახელმძღვანელოთა პაკეტის კომპონენტების შესაბამისობის ამსახველი ცხრილი):

სახელმძღვანელოთა პაკეტის კომპონენტების შესაბამისობის ამსახველი ცხრილი

მასწ. წიგნის სტრუქტურული ერთეული	მოსწ. წიგნის სტრუქტურული ერთეული	მათემატიკური შინაარსი	პედაგოგიური დანიშნულება
თავის ზოგადი მიმოხილვა	თავის შესავალი	პრობლემის დასმა; მათემატიკის ისტორიის ფრაგმენტი; პარადოქსები ან უჩვეულო ფაქტები (ინტერესის აღმძრავი) მონაცემები; საგანთაშორისი კავშირები და საყოფაცხოვრებო სიტუაციები	მიზნების განაცხადი და მოტივაცია.
მეთოდური რეკომენდაციები პარაგრაფისათვის (მოსწავლეთა მოსალოდნელი ტიპური შეცდომებისა და მათი პრევენციის ხერხების, აგრეთვე განმავითარებელი შეფასებისთვის საჭირო აქტივობებისა და ინსტრუმენტების მითითების ჩათვლით)	პარაგრაფი	ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ პროგრამაში (ესგ-ის შედეგებსა და ინდიკატორებში) დაფიქსირებული მათემატიკური ცნებები, დებულებები, მეთოდები (ხერხები), პროცედურები ან მათ შორის მიმართებები	ახალი მათემატიკური ცნებების, იდეების, ამოხსნის ხერხების, პროცედურების ან მათ შორის მიმართებების გაგება ან/და დაუფლება ან/და გამოყენება; მათემატიკური ცნებების, დებულებების, მეთოდების (ხერხების), პროცედურების ან მათ შორის მიმართებების ათვისება, უნარ-ჩვევების განვითარება და ოსტატობის ან/და გაწაფულობის ზრდა
თავის შეჯამება (ესგ-ისა და საგნობრივი პროგრამის შედეგები და ინდიკატორები, რომლებზეც მიმდინარეობდა მუშაობა, საშუალედო შედეგები, მათ შორის ისინი, რომლებზეც დასრულდა მუშაობა)	თავის შეჯამება და თვითშეფასება	მოკლე თეორიული ამონაკრები, დასკვნები, ფორმულები და სხვა; ტესტის ნიმუში ესგ-ის ინდიკატორების ამსახველი დავალებებით; თვითშეფასების კრიტერიუმთა ბადე; პროექტები და ჯგუფური სამუშაოები	რეფლექსია, ცოდნის დასისტემება და თვითშემოწმება, პროგრესის შეფასება
დამატებითი სავარჯიშოები ამოხსნებით	დამატებითი სავარჯიშოები და გამეორება	საწვრთნელი სავარჯიშოები ძირითადი პროცედურების შესრულებაზე, უმარტივესი ამოცანები, ძიებითი ამოცანები შემოქმედებითობის მაღალი პოტენციალით, სახალისო და თავსატეხი ამოცანები	განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და საგანგებო ვითარებაში პედაგოგიურად მიზანშეწონილი მეთოდიკური მიდგომის განხორციელება (მაგალითად, საკორექციო მუშაობა შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, აზროვნების სისხარტის განმავითარებელი ამოცანები, წვრთნა პროცედურების შესრულების ჩვევების განვითარებისთვის)
შემაჯამებელი დავალება (ტესტი, ე.წ. საკონტროლო წერის ჩატარებისთვის ან პროექტი ან ზეპირი გამოკითხვის ბილეთები და სხვა)	განმსაზღვრელი შეფასება	ესგ-ის მოთხოვნებისა და საგნობრივი პროგრამის შედეგებისა თუ ინდიკატორების ამსახველი ამოცანები პედაგოგიური მიზნების იერარქიის (ბლუმის ტაქსონომიის) პრინციპების მიხედვით	ესგ-ის მოთხოვნებისა და საგნობრივი პროგრამის შედეგებისა თუ ინდიკატორების შესრულების შემოწმება, მოსწავლეთა კომპეტენციებისა და შესაძლებლობების გაზომვა, მიღწევების დონის აღნუსხვა

სახელმძღვანელოთა სტრუქტურის, მათი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, ესგ-ის შედეგებისა და ინდიკატორების, საგნობრივი პროგრამისა და მეთოდოლოგიური აპარატის ასეთი კომპლექსური გააზრება, ვიმედოვნებთ, მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში დაეხმარება.

მაია ფირჩხაძე

ტექსტის გააზრება და აკადემიური წერა

ჰუმანიტარული საგნების პროგრამები მოსწავლეებისგან სხვადასხვა ტიპის წერილობითი დავალების შესრულებას მოითხოვს. მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებას დიდად უწყობს ხელს ტექსტის შინაარსის წერა. ეს სავარჯიშო იდეალურია მეტყველების კულტურის განსავითარებლად და საგნობრივი ტერმინოლოგიის ასათვისებლად.

შინაარსის წერა – წაკითხულისა და მოსმენილის წერილობითი ფორმით გადმოცემა – **შემოქმედებითი საქმიანობაა.** ის არ გულისხმობს მოსმენილი ტექსტის სიტყვასიტყვით ჩაწერას. საჭიროა მხოლოდ ძირითადის, საინტერესოს, მნიშვნელოვნის გადმოცემა და ყურადღების გამახვილება იმაზე, რატომ მიაქცია ავტორმა ყურადღება ამ საკითხებს.

ბავშვები შინაარსის წერას მეხუთე-მეექვსე კლასებში სწავლობენ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან უამისოდ სწავლის ზედა საფეხურებზე წარმატების მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია. საბაზისო უნარების განვითარება შეიძლება ნებისმიერ გაკვეთილზე (განსაკუთრებით - ჰუმანიტარულ საგნებში), სადაც მოსწავლეები მრავალფეროვან დავალებებს ასრულებენ: კითხულობენ, აღწერენ სურათებს, ავსებენ სქემებს, უპასუხებენ კითხვებს, განმარტავენ ცნებებს, მსჯელობენ, გამოაქვთ დასკვნები, იღებენ შეფასებებს და ა. შ. მასწავლებელს შეუძლია, ამ უნარების გასააქტიურებლად მოსწავლეებს მარტივი დავალებები მისცეს, თუნდაც სთხოვოს მიმდინარე გაკვეთილის შინაარსის გადმოცემა ჯერ ზეპირად, შემდეგ – წერილობით ან დაავალოს, აღწერონ სასკოლო ცხოვრების ერთი დღე.

არსებობს ზოგადი მეთოდური მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა შევასწავლოთ მოსწავლეებს შინაარსის წერა.

1. ვთხოვოთ მოსწავლეს, **მოსმენილიდან/წაკითხულიდან გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი** მოვლენა, რომელმაც მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. დავალების შესრულების გასაადვილებლად ყურადღება გავამახვილებინოთ ექვს ძირითად მომენტზე, ანუ **პასუხი გავაცემინოთ ექვს კითხვაზე: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? რისთვის?** ამ კითხვებზე პასუხის გაცემით მოსწავლე ავტომატურად მოახდენს ყურადღების ფოკუსირებას ძირითად საკითხზე. წესისამებრ ეს შეკითხვები საკმარისია მთავარი ინფორმაციის მიღებისთვის. ეს არ იქნება ძნელად შესასრულებელი დავალება, რადგან სასკოლო სახელმძღვანელოების ინფორმაცია ხშირად ვერც უპასუხებს ექვსივე კითხვას.
2. **ტექსტი წავიკითხოთ ნელა, შესვენებებით,** რათა მოსწავლემ მოასწროს მისი გააზრება და აღქმა ან მივცეთ საშუალება, დამოუკიდებლად გაეცნოს ინფორმაციას მისთვის სასურველი დროის განმავლობაში. **შეიძლება ტექსტის განმეორებითი წაკითხვაც.**
3. **დროდადრო შევახსენოთ მოსწავლეს,** რა არის დავალების მიზანი და რას მოითხოვენ მისგან.
4. **ყურადღებით ავუხსნათ, რისგან შედგება შინაარსი.**

ნაწერში უნდა ჩანდეს:

- ტექსტის მთავარი თემა ან ცენტრალური იდეა;
- გარემოების დეტალები – სად და როდის ხდება მოქმედება;
- პერსონაჟების სახელები, ხასიათი, როლი, ფუნქცია;
- მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც ცენტრალურ იდეას ამყარებს.

შინაარსის დასაწყისი უნდა ჰგავდეს ტექსტის შესავალ ნაწილს;
მომდევნო ნაწილი უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რაც (და რატომაც) მოხდა შემდეგ;
კულმინაციაში აღწერილი უნდა იყოს ამბის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა;
დაბოლოება უნდა დაიწეროს ტექსტის დასკვნითი ნაწილის მიხედვით.

5. **წავიკითხოთ ტექსტი მოსწავლეებთან ერთად და დავწეროთ შინაარსი.** ავუხსნათ, რატომ არის მნიშვნელოვანი ესა თუ ის დეტალი, რა კავშირი აქვს მას ძირითად იდეასთან, რატომ და რისთვის უნდა მიაქციონ მას ყურადღება. ერთად დაწერილი შინაარსი ყველაზე ნათლად აჩვენებს მოსწავლეებს, რას მოითხოვენ მათგან.
6. **ავუხსნათ გარემოების დეტალების მნიშვნელობა** (მაგალითად, თუ ტექსტი ისტორიულ მოვლენას ეხება, მოსწავლემ უნდა იპოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, სად და როდის მოხდა ეს მოვლენა).
7. **ვასწავლოთ, როგორ იპოვონ ძირითადი იდეა.** როდესაც მას იპოვიან, მოსწავლეები გაიგებენ, რაზეა ტექსტი.
8. **შეჯამებისთვის ვასწავლოთ თემის დასათაურება:** ვთხოვოთ, გაარკვიონ, სად და როდის ხდება ტექსტის მნიშვნელოვანი მოვლენა, დაასახელონ, განსაზღვრონ, რა მოვლენა იყო ეს. ამით დაასათაურებენ კიდეც შინაარსს, რადგან სათაურში გამოჩნდება ძირითადი იდეაც და მიზანიც (მაგალითად, ასეთი სათაური შეიძლება იყოს „1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა“, რომელშიც მოსწავლე აჯამებს დიდგორის ბრძოლის შესახებ არსებულ ინფორმაციას).

თუ მოსწავლეს ავათვისებინებთ მასალის დალაგებისა და შინაარსის წერის ამ ექვს ფორმულას, ნებისმიერი ტექსტის შინაარსის დაწერისას ის მაქსიმალურად ზუსტად შეასრულებს დავალებას.



9. **ვასწავლოთ გრაფიკული სქემების გამოყენება** ძირითადი დეტალების ჩასაწერად.

შინაარსის წერა მოსწავლისთვის სასიამოვნო საქმიანობად უნდა ვაქციოთ. შეიძლება, დროდადრო კლასში აღვნიშნოთ, ვინ უფრო საინტერესოდ და ზუსტად დაწერა, რატომ და რისთვის გამოარჩია ზოგიერთი მომენტი, ან წავიკითხოთ რომელიმე მოსწავლის მიერ დაწერილი შინაარსი, დანარჩენებმა კი თვალი ადევნონ საკუთარ ნამუშევრებს და დამოუკიდებლად შეაფასონ გაწეული საქმიანობა. მთავარია, მოსწავლეებს მივცეთ საშუალება, ნათლად დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები.

თუ მოსწავლე დავალებას ვერ ასრულებს, ეს ნიშნავს, რომ მას მეხსიერებისა და ყურადღების დეფიციტი აქვს. მასწავლებელს მისთვის დამატებითი სავარჯიშოების მიცემა მოუწევს (განსაკუთრებით - გამეორებაზე ორიენტირებული დავალებებისა).

შინაარსის წერა, ერთი შეხედვით, თხზულების წერას ჰგავს, მაგრამ ფაქტობრივად ძალიან განსხვავდება მისგან. **თხზულების დასაწერად აუცილებელია ინტერპრეტაცია,** შეთხზვა, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გადმოცემა, **შინაარსის წერა კი გულისხმობს ტექსტის ყურადღებით მოსმენას, გეგმის შედგენას და ამ გეგმის მიხედვით მოსმენილის ან წაკითხულის გადმოცემას.** ამავე დროს შინაარსის სტრუქტურა, ფორმა და სტილი სავსებით უნდა შეესაბამებოდეს ამოსავალ, ანუ ძირითად ტექსტს.

არსებობს ტექსტის შინაარსის გადმოცემის რამდენიმე მეთოდი:

1. ინდუქციური – როდესაც მასალის შინაარსი მიმართულია კერძოდან ზოგადისკენ, რაც საერთო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა;
2. დედუქციური – შინაარსში ყურადღება გამახვილებულია არა ზოგადზე, არამედ კერძოზე: კონკრეტულ ფაქტებზე, მაგალითებზე;
3. ანალოგიის მეთოდი – პარალელების, შედარებების გამოყენება მოვლენების, ფაქტების გადმოცემისას;
4. კონცენტრაციის მეთოდი – როდესაც მასალა დალაგებულია მთავარი პრობლემის გარშემო, ავტორი ზოგადი დახასიათებიდან გადადის და აქცენტს სვამს მთავარ, ძირითად პრობლემაზე, ღრმა ანალიზზე;
5. საფეხურებრივი/სტადიური მეთოდი – საკითხების თანმიმდევრობითი გადმოცემა;
6. ისტორიული მეთოდი – მასალის დალაგება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დროდადრო მომხდარი ცვლილებების აღწერა და ანალიზი.

განვიხილოთ სავარჯიშოები დაწყებითი განათლების კურსიდან – ეს ის საფეხურია, რომელზეც ბაზისური უნარების ათვისებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის შემდგომი წარმატებისთვის.

დავალება: **განსაზღვრეთ, რომელი ხერხი უნდა გამოიყენოთ ამ ინფორმაციის შინაარსის დასაწერად:**

1. „საზღვრების როლს ხშირად ბუნებრივი ზღუდეები ასრულებს: მდინარე, ქედის თხემი, მთა, უღელტეხილი და სხვა. ადრე სამფლობელოს საზღვრად ბუნებრივად შექმნილ ვიწრო ხეობებს ან კლდეკარებს იყენებდნენ, რადგან მტრის შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში მათი ჩაკეტვა ადვილი იყო. ისტორიულად საქართველოს საზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი დარიალის ხეობა იყო. საზღვრის იმ მონაკვეთზე, სადაც მეზობელ ქვეყნებს გზა აერთებს, როგორც წესი, სასაზღვრო გამშვები პუნქტი და საბაჟოა მოწყობილი. აქ მგზავრებისა და ტვირთების გატარებაზე მომიჯნავე სახელმწიფოების კონტროლია დაწესებული. საქართველოს რამდენიმე სახელმწიფო ესაზღვრება. ყველაზე გრძელი საზღვარი ჩვენს ქვეყანას რუსეთის ფედერაციასთან აქვს – 800 კმ-ზე მეტი“ *(ჩვენი საქართველო, V კლ.).*

- ინდუქციური;
- კონცენტრაციის;
- დედუქციური;
- საფეხურებრივი/სტადიური.

პასუხი: მოცემული მასალა **კონცენტირებულია** განსაზღვრულ საკითხზე, ამიტომ შინაარსის წერისას შენარჩუნებული უნდა იყოს იგივე ხერხი – კონცენტრაციის (ამ შემთხვევაში შინაარსი კონცენტრირებული იქნება „საქართველოს საზღვრებზე“).

2. „კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში არსებობდა ისეთი განვითარებული სახელმწი-

ფოები, როგორებიც იყო ძველი ეგვიპტე, ძველი შუამდინარეთი, ძველი საბერძნეთი, ძველი რომი; ისტორიის ამ მონაკვეთში ცხოვრობდნენ მცირე აზიის ძველი ხალხები: ხეთები, ხურიტები; კავკასიის რეგიონში არსებობდა ურარტუს სახელმწიფო, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კი – ქართული სახელმწიფოები: კოლხეთი და იბერია. შუა საუკუნეებში ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში მსოფლიო რელიგიები გაბატონდა, ასეთი იყო ქრისტიანობა და ისლამი. ამ რელიგიებმა ადამიანთა აზროვნებაზე, ცხოვრების წესზე, მათი საქმიანობის ძალიან ბევრ სფეროზე მოახდინა გავლენა“ *(ჩვენი საქართველო, VI კლ.).*

- ინდუქციური;
- კონცენტრაციის;
- დედუქციური;
- ისტორიული.

პასუხი: **ისტორიული,** რადგან მასალა **ისტორიულ-ქრონოლოგიურ** პრინციპზეა აგებული და შინაარსის დაწერასაც ასეთივე ფორმით მოითხოვს.

3. „ვახუშტი ბაგრატიონი დაახლოებით 300 წლის წინ მოღვაწეობდა. იგი იყო გეოგრაფი, ისტორიკოსი და გეოგრაფიული რუკების შემდგენელი. მან დაწერა თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს თითოეული კუთხის ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, ზნე-ჩვეულებები და ა. შ. ერთ-ერთ რუკაზე დახატულია სამეფო-სამთავროების გერბები, რომლებშიც სიმბოლურადაა ასახული თითოეული სამეფოსთვის თუ სამთავროსთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები...“ *(ჩვენი საქართველო, V კლ.)*

- ინდუქციური;
- კონცენტრაციის;
- დედუქციური;
- ანალოგიის.

შინაარსის წერა - წაკითხულისა და მოსმენილის წერილობითი ფორმით გადმოცემა — შემოქმედებითი საქმიანობაა. ის არ გულისხმობს მოსმენილი ტექსტის სიტყვა-სიტყვით ჩაწერას. საჭიროა მხოლოდ ძირითადის, საინტერესოს, მნიშვნელოვნის გადმოცემა და ყურადღების გამახვილება იმაზე, რატომ მიაქცია ავტორმა ყურადღება ამ საკითხებს.

პასუხი: **დედუქციური**, რადგან მასალა დედუქციურადაა დალაგებული და შინაარსიც ამ ხერხით უნდა აიგოს.

4. „მცხეთა, საქართველოს უძველესი დედაქალაქი, მდინარეების – მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარეობს. მის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა მასალამ მეცნიერებს წარმოდგენა შეუქმნა მცხეთის საქალაქო ცხოვრებაზე. მოსახლეობის რაოდენობით (რვა ათასამდე მცხოვრებით) დღევანდელი მცხეთა პატარა ქალაქია. მცხეთაზე გადის თბილისისამტრედიის რკინიგზის ხაზი და საავტომობილო მაგისტრალები გორისა და სტეფანწმინდის მიმართულებებით. ქალაქის ღირსშესანიშნაობათა შორის მნიშვნელოვანია სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების დროს აიგო. სვეტიცხოველი საკათალიკოსო ტაძარია და ქართველ მეფეთა საძვალე. მცხეთობას ანუ სვეტიცხოვლობას 14 ოქტომბერს აღნიშნავენ. 50 წლის წინ მცხეთა ქალაქმუზეუმად გამოცხადდა. დღეს ქალაქს უამრავი ტურისტი სტუმრობს“.

- ინდუქციური;
- ისტორიული;
- დედუქციური;
- საფეხურებრივი/სტადიური.

პასუხი: **ინდუქციური**, რადგან მასალა კერძოდან (მცხეთის კერძო გაგებიდან) ზოგადისკენ (რა მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნისთვის) არის მიმართული და შინაარსშიც ეს პრინციპი უნდა ჩანდეს.

5. „ძველ საბერძნეთში ფართოდ იყო გავრცელებული მეთუნეობა ანუ კერამიკული ჭურჭლის დამზადების ხელოვნება. სხვადასხვა ეპოქაში საბერძნეთში კერამიკული ნაწარმის მოხატვის სხვადასხვა ხერხი იყო პოპულარული: ძვ. წ. VI ს-ში გავრცელდა მოხატულობის შავფიგურიანი სტილი, მოგვიანებით კი, ძვ. წ. V ს-დან - ე. წ. წითელფიგურიანი სტილი. შავ და წითელფიგურიან კერამიკაზე მხატვრები გამოსახავდნენ ანტიკური მითების გმირებს, სცენებს ყოველდღიური ცხოვრებიდან, ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს და სხვ.“ (ხელოვნება, VI):

- ინდუქციური;
- ისტორიული;
- ანალოგიის;
- საფეხურებრივი/ სტადიური.

პასუხი: **საფეხურებრივი/სტადიური,** რადგან ინფორმაციაში საფეხურებრივადაა გადმოცემული ძველ საბერძნეთში კერამიკის განვითარების ხელოვნება და შინაარსში ეს დინამიკა უნდა ჩანდეს.

6. „ცნობილი ფაქტია, რომ თუ სასწორის პინაზე ერთნაირი წონის მქონე საგნები დევს, მაშინ სასწორი წონასწორობაშია. ასევეა სურათზეც - თუ სიმეტრიის ღერძის ორივე მხარეს თანაბარი მოცულობის მქონე გამოსახულებებია განაწილებული, მაშინ კომპოზიციაში წონასწორობაა დაცული, ანუ კომპოზიცია გაწონასწორებულია“ (ხელოვნება, V):

- ისტორიული;
- კონცენტრაციის;
- დედუქციური;
- ანალოგიის.

პასუხი: **ანალოგიის.** ინფორმაციაში აქცენტი ანალოგიაზეა დასმული და შინაარსიც შესაბამისი უნდა იყოს.

თუ მოსწავლეს ავათვისებინებთ მასალის დალაგებისა და შინაარსის წერის ამ ექვს ფორმულას, ნებისმიერი ტექსტის შინაარსის დაწერისას ის მაქსიმალურად ზუსტად შეასრულებს დავალებას. ცხადია, შინაარსი გაიმეორებს მასალის სტრუქტურულ-სტილებრივ ფორმას. ამ შემთხვევაში ის შეიძენს მეორეული ტექსტის მნიშვნელობას, მაგრამ მასში შენარჩუნებული იქნება ამოსავალი ტექსტის ყველა ღირებულება.

შინაარსის წერა ავითარებს წარმოსახვას, ტექსტის ანალიზის უნარს და, საზოგადოდ, კოგნიტიურ უნარებს, აღვივებს და ზრდის შემოქმედებით ინტერესს, საგნის ათვისების ხარისხს. ის შედეგის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ეფექტური განმავითარებელი შეფასება

სოფო ვორგოძე

„ – ხომ ვერ მეტყვით, საით წავიდე?
– გააჩნია, სად გინდა მისვლა.
– ამას მნიშვნელობა არ აქვს.
– მაშინ არც იმას აქვს მნიშვნელობა, საით წახვალ“.

ლუის კეროლი, „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“

თუ სასწავლო პროცესს თითოეული მოსწავლისთვის მოგზაურობად აღვიქვამთ, მაშინ განმავითარებელი შეფასება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მოგზაურობის პროცესში მოსწავლეებისთვის გზის ჩვენება.

ჩეშირული კატა ელისისთვის შესაძლოა კარგი მასწავლებელი ყოფილიყო ან გოგონას, ან თავად კატას რომ სცოდნოდათ, სად უნდოდა ელისს მისვლა.

სასურველი აკადემიური შედეგის მისაღებად მასწავლებლებს შეუძლიათ, ყოველდღიურად ადევნონ თვალი, საით მიდიან მოსწავლეები. განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც შეძენილ ცოდნასა და უნარებს აფასებს, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რომ გავარკვიოთ, მივიღეთ თუ არა შედეგი. ამგვარი შეფასება მნიშვნელოვანია, როცა მოგზაურობის კონკრეტული მონაკვეთი დასრულდება - მოსწავლემ და მასწავლებელმა უნდა დაინახონ, მიაღწია თუ არა მოსწავლემ, მაგალითად, A პუნქტს, ან იქნებ გზა აებნა და B პუნქტში მოხვდა? მასწავლებელს შეუძლია მუდმივი თვალყურის დევნებით და მიმართულების მიცემით დაეხმაროს მოსწავლეს, არ ასცდეს გზას. ეფექტური განმავითარებელი შეფასება ყველაზე საიმედო საშუალებაა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა სწორ გეზს არ გადაუხვიონ.

გამოცდილი მასწავლებლები ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ მას ამ სახელს არ არქმევენ და ცალკე არ გამოყოფენ როგორც სწავლებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს. ალბათ ამიტომაც არის, რომ პირად საუბრებში, როცა მასწავლებლებს ვეკითხებით, იყენებენ თუ არა განმავითარებელ შეფასებას, ისინი გვპასუხობენ, იშვიათად ვიყენებთ, ამისთვის დრო თითქმის არ გვრჩებაო. მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას უმთავრესად აღიქვამენ როგორც მოსწავლეთა დავალებებზე გაკეთებულ წერილობით კომენტარს/უკუკავშირს.

ამ სტატიის მიზანია, დაანახოს მასწავლებლებს, რომ განმავითარებელი შეფასება სინამდვილეში პროცესია, რომელიც მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა თუ სტრატეგიებს მოიცავს. ყოველდღიური პრაქტიკა არც მეტისმეტად რთულია და არც იმდენ დროს მოითხოვს, რამდენიც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მეორე მხრივ, როგორც საერთაშორისო კვლევები (OCED, 2005; Black and William, 1998) მოწმობს, შედეგი იმდენად კარგია, რომ დროის დახარჯვა ღირს. თუ განმავითარებელი შეფასება ყოველდღიურ პრაქტიკად გვექცა, მომავალში ეს ბევრ დროს დაგვაზოგინებს. ეფექტური განმავითარებელი შეფასება ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა, რომელიც, ერთი მხრივ, ეხმარება მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში, მეორე მხრივ კი, მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, გააუმჯობესონ სწავლების პროცესი.

განმავითარებელი შეფასების განმარტება

განათლების სპეციალისტებმა, მას შემდეგ, რაც პირველად

გამოცდილი მასწავლებლები ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ მას ამ სახელს არ არქმევენ და ცალკე არ გამოყოფენ როგორც სწავლებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს.

გამოიყენეს ეს ტერმინი (Wiliam, 2011), განმავითარებელი შეფასების არაერთი განმარტება შემოგვთავაზეს. თუ ამ დეფინიციებს შევაჯამებთ, დაახლოებით ასეთ განმარტებას ჩამოვაყალიბებთ: განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობით, სწავლების სტრატეგიითა თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის შეკრებას მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად. იმ საშუალებებს, რომლებითაც მსგავს ინფორმაციას ვაგროვებთ, სტატიაში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს ვუწოდებთ.

ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუ ის დაეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათლად წარმოიდგინონ, რა გზით იარონ მიზნის მისაღწევად. მეორე მხრივ, ერთი და იგივე აქტივობა ან სტრატეგია ზოგჯერ ემსახურება განმავითარებელი შეფასების პროცესს, ზოგჯერ - არა. მაგალითად, კითხვების დასმა ცნობილია როგორც განმავითარებელი შეფასების მძლავრი ინსტრუმენტი, თუმცა ის ყოველთვის არ ქმნის განმავითარებელი შეფასების საფუძველს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვაძლევს საშუალებას კითხვები, გავიგოთ მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე (იხ. მაგალითი *განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების* ქვეთავში).

ამ ლოგიკას თუ მივყვებით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტიც (მაგ., ტესტი) ზოგ შემთხვევაში შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად. მაგალითად, თუ ტესტში ქულებს კი არ დავწერთ, არამედ მოსწავლეებს დავყოფთ მცირე ჯგუფებად და ვთხოვთ, პასუხები ერთმანეთს შეადარონ, შეარჩიონ პასუხი, რომელიც, მათი აზრით, უფრო ადეკვატურია და ახსნან, რატომ მიიჩნიეს ასე, უკვე შეგვეძლება, ეს აქტივობა განმავითარებელი შეფასების პროცესად ჩავთვალოთ. ამ პროცესის საფუძვლად სწორედ განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი იქცა.

რით ეხმარება განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს? – საშუალებას აძლევს, შეამოწმოს მოსწავლეების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია, დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკასა და თითოეული

ბავშვის მიღწევებზე; იმაზე, რა დაეხმარება თითოეული მოსწავლის საჭიროებათა დაკმაყოფილებაში.

განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს. ეს არის ინტერვენცია რეალურ დროში, რაც გვეხმარება, დროულად აღმოვაჩინოთ მოსწავლის სუსტი მხარეები და მიმართულება მივცეთ მას, სანამ ცოდნას ნიშნით/ქულით შევაფასებთ.

შესაბამისად, ასეთი შეფასება არ გამოიხატება ნიშნით/ქულით, მაშინ როცა განმსაზღველი შეფასება უკვე კონკრეტული მასალის ათვისებას/უნარების განვითარებას აფასებს სკალის გამოყენებით და ნიშნით/ქულით გამოიხატება.

მცდარი წარმოდგენები მანმავითარებელი შეფასების შესახებ

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე მცდარ წარმოდგენას განმავითარებელი შეფასების შესახებ.

განმავითარებელი შეფასება მასწავლებლისგან ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს

სინამდვილეში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები სულაც არ მოითხოვს ბევრ დროს. მაგალითად, მასწავლებლები ისედაც უსვამენ კითხვებს მოსწავლეებს; შეიძლება, ეს კითხვები ისე დავსვათ, რომ მათ განმავითარებელი ფუნქცია შეიძინონ.

განმავითარებელი შეფასებაა მასწავლებლის კომენტარი

კომენტარი, როგორც წერილობითი, ისე ზეპირიც, განმავითარებელი შეფასების მხოლოდ ერთი ინსტრუმენტია.

განმავითარებელი შეფასებაა მოსწავლის ქება

თუ მოსწავლეს ვეტყვით: „ყოჩაღ“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და არ ავუხსნით, რა გაკეთა კარგად, ქება ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

კლასის წინაშე დასმული კითხვა „გასაგებია?“ განმავითარებელი შეფასებაა

კითხვები განმავითარებელი შეფასების კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ მაშინ, როცა მაღალი დონის სააზროვნო უნარებზეა გათვლილი. შესაბამისად, კლასის წინაშე დასმული ისეთი კითხვები, როგორიცაა „გაიგეთ?“ ან „რამე ვერ გაიგეთ?“ არ არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

მანმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

თავადაც შეგიძლიათ მოიფიქროთ, რა გამოდგება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად. არსებობს უამრავი ინსტრუმენტი, რომლებიც მასწავლებლებმა გამოსცადეს და სხვა მასწავლებლებს გაუზიარეს. მაგალითად, ერთმა მათგანმა ასეთი აქტივობა მოიფიქრა: მოსწავლეებს უთხრა, გაკვეთილის ახსნისას თუ რამეს ვერ გაიგებთ, ხელი ასწიეთო; თუ რომელიმე მოსწავლემ ხელი ასწია, მასწავლებელი სხვა მოსწავლეს უსვამს კითხვას და სთხოვს, განმარტოს გაუგებარი ცნება. თავდაპირველად საშინელება იყო, – იხსენებს ეს მასწავლებელი, – რადგან მოსწავლეებს, კითხვა მათთვის რომ არ დამესვა, ხელი მუდამ აწეული ჰქონდათო, მაგრამ თანდათან ყველაფერი მოგვარდა და ეს სტრატეგია უკვე ძალიან კარგად მუშაობს.

განმავითარებელი შეფასების უკვე ნაცად ინსტრუმენტებს შორისაა ერთწუთიანი ესე, გასასვლელი ბარათები, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, „შუქნიშანი“ და სხვა. გთავაზობთ რამდენიმე ცნობილ ინსტრუმენტს, რომელსაც დღეს უამრავი მასწავლებელი იყენებს.

გასასვლელი ბარათები

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პატარა ფურცლებს – „შემაჯამებელ ბარათებს“, სთხოვს, ანონიმურად უპასუხონ ერთ ან ორ კითხვას და დატოვონ მაგიდაზე. ბარათებს რომელიმე მოსწავლე აგროვებს.

კითხვები შეიძლება იყოს ქვემოთ მოცემულის მსგავსი ან სულაც თქვენ მიერვე შერჩეული.

- დაწერეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დღეს პირველად გაიგეთ. რატომ არის ეს საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანი?

- რა ვისწავლე დღეს?
- როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

გასასვლელი ბარათები იმის გასარკვევად გამოგადგებათ, რა უჭირთ მოსწავლეებს, როგორ წარიმართა თქვენი გაკვეთილი, მიაღწიეთ თუ არა მიზანს. მომდევნო გაკვეთილზე აუცილებლად გააკეთეთ წინა გაკვეთილის მცირე შეჯამება და ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა მიუთითეს ბარათებში. იმის მიხედვით, რომელ კლასში შეგაქვთ გასასვლელი ბარათები, პასუხები შესაძლოა სხვადასხვანაირი იყოს. ზოგჯერ მოსწავლეები შესაძლოა ზერელედ მოეკიდონ ბარათების შევსებას, მაგრამ თუ დაანახებთ, რა შედეგი მოჰყვება პასუხების გაცემას, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება.



კითხვების დასმა

კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, თუმცა საგულისხმოა, რომ ყოველგვარი კითხვა ვერ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას. თუ კითხვა მაღალი დონის საზრდოვნო უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, მასწავლებელი ვერ გაიგებს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ ახალი მასალა. მაგალითად, კითხვა: „რომელ წელს ავიდა ტახტზე დავით აღმაშენებელი?“ – არ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას, თუმცა შემდეგი კითხვა: „რომელი აქტივობა უფრო ეფექტურია გულის მუშაობის სტიმულირებისთვის – სიარული, სირბილი, გოლფის თამაში, პარაშუტით ხტომა თუ ველოსიპედით სეირნობა?“ (Clarke, 20015, p. 9) – შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით. როცა მოსწავლეებმა გულის მუშაობის ზოგადი პრინციპები იციან, ასეთი კითხვა ნამდვილად დაგვანახებს, რამდენად ღრმად აქვთ გააზრებული საკითხი.

უხსენი შენზე პატარას/ უხსენი ბებიას

მოსწავლეებს სთხოვეთ, აუხსნან უმცროს მეგობარს (თუნდაც წარმოსახვითს, ან წარმოიდგინონ, რომ ეს უმცროსი მეგობარი გვერდით მჯდომი მოსწავლეა) ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მასწავლებელმა აუხსნა მათ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ წარმოსახვითმა მეგობარმა, მცირე ასაკის გამო, შესაძლოა მათზე გაცილებით ნაკლები იცოდეს, ამიტომ მათი მთავარი ამოცანაა, მოცემული საკითხი ახსნან უფრო მარტივი ენით, ვიდრე ეს გააკეთა მასწავლებელმა. დააკვირდით, როგორ ხსნიან მოსწავლეები ახალ ცნებებს, რათა გაიგოთ, რამდენად ღრმად გაიგეს/ გაიაზრეს საკითხი. თუ მიიჩნევთ, რომ ამით მოსწავლეთა ბებიებს არ შეურაცხყოფთ, შეგიძლიათ, ეს აქტივობა ასე გადააკეთოთ: „აუხსენით ბებიას“.

თანატოლთა შეფასება

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანატოლთა შეფასება განმავითარებელი შეფასების შესანიშნავი ინსტრუმენტია და მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს. სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ ერთმანეთის საშინაო დავალებებს და არასწორ პასუხებს დაურთონ კომენტარები (და არა ქულები; თუ მაინც მისცემთ ქულების დაწერის ნებას, მათ აუცილებლად უნდა ახლდეს კომენტარები). კომენტარი უნდა აღწერდეს არა მარტო იმას, სად არის შეცდომა, არამედ ნაშრომის გაუმჯობესების გზებსაც. ეს სტრატეგია მასწავლებელს უკეთ წარმოადგენინებს, რამდენად კარგად გაიგეს მასალა მოსწავლეებმა.

ტექნოლოგიები და განმავითარებელი შეფასება

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად განმავითარებელი შეფასების გამოყენებაც იოლდება. არსებობს აპლიკაციები, რომლებიც შეიძლება განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენოს მასწავ-

ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რა არ ესმის მას) იპოვიან გზებს ამა თუ იმ საკითხის უკეთ გასააზრებლად.

ლებელმა (ბიბლიოგრაფიაში იხილეთ ლინკი ინგლისურენოვანი ვებგვერდიდან Edutopia; ინგლისურის მასწავლებელთან ერთად გადაამოწმეთ, მზად ხართ თუ არა, გამოიყენოთ ტექნოლოგიები განმავითარებელი შეფასების მიზნით).

შეგიძლიათ მოსინჯოთ ასეთი აქტივობაც, რომელიც მოსწავლეთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებას წაახალისებს და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტადაც გამოდგება: დაავალეთ მოსწავლეებს, გააკეთონ ახალშესწავლილ ცნებასთან დაკავშირებული რეკლამა – მოიფიქრონ ტექსტი და შესაბამისი ვიზუალიზაცია ახალ მასალაში გამოყენებული ცნებების გასაგებად. ეს აქტივობა დაგეხმარებათ, მეტი გაიგოთ იმის შესახებ, რა და როგორ გაიგეს მოსწავლეებმა.

კომენტარი/უკუკავშირი

კომენტარი/უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ინსტრუმენტია. მკვლევრებმა 600-ზე მეტი კვლევის საფუძველზე დაასკვნეს, რომ არსებობს წამახალისებელი უკუკავშირი და უკუკავშირი, რომელიც უარყოფითად მუშაობს – წახალისების ნაცვლად სწავლაზე გულს უცრუებს მოსწავლეს და აუარესებს აკადემიურ შედეგებს (Kluger and DeNisi, 1996). ერთნაირად ფორმულირებულმა უკუკავშირმაც კი შეიძლება სხვადასხვანაირად იმოქმედოს მოსწავლეზე, რომელიც წარმატებაზეა ორიენტირებული (მისთვის უკუკავშირი მნიშვნელოვანია, რათა გაუმჯობესოს მოსწრება) და მოსწავლეზე, რომელიც ყოველნაირად ცდილობს, თავი აარიდოს წარუმატებლობას, მასწავლებელი უნდა ეცადოს, ისე მიაწოდოს უკუკავშირი ცუდი შედეგის მქონე მოსწავლეს, რომ ეს შედეგი წარუმატებლობად არ იქნეს ინტერპრეტირებული. მეორე მხრივ, მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს, რომ ძალისხმევა და გაუმჯობესებული შედეგი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია (Marzano, 2001).

დაკვირვება როგორც განმავითარებელი შეფასება

დაკვირვებაც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად მიიჩნევა. ამ დროს მასწავლებელს შეუძლია, აირჩიოს დაკვირვების რამდენიმე ობიექტი ან დააკვირდეს მთელ კლასს, მაგრამ აირჩიოს კონკრეტული თემა (მაგ., კომუნიკაცია), მთელი კლასის წინაშე გააკეთოს კომენტარები ან ინდივიდუალურად გაესაუბროს მოსწავლეებს, შეაჯამოს დაკვირვების შედეგები და გამოიყენოს სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

დაბოლოს, მთავარი ის არის, რომ ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რა არ ესმის მას) იპოვიან გზებს ამა თუ იმ საკითხის უკეთ გასააზრებლად. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ვერც ერთი ინსტრუმენტის გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუ საბოლოო შედეგი არ იქნება საკითხის/ცნების ღრმად გაგება/გააზრება თუ უნარის ათვისება.

როგორც აღვნიშნეთ, თავადაც შეგიძლიათ მოიფიქროთ განმავითარებელი შეფასების ფორმები, გამოსცადოთ ისინი კლასში და გაუზიაროთ სხვა მასწავლებლებს. ეს იქნება შესანიშნავი შესაძლებლობა მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Black, P & Wiliam, D (1998). 'Assessment and Classroom Learning', *Education: Principles, Policy and Practice*, March, vol 5, no 1, pp 7-74.
2. Clarke, S (2005). *Formative Assessment in Action: Weaving the elements Together*. London, United Kingdom: Hodder Murray
3. Edutopia (2015). Empowering Teachers with tech-friendly Formative Assessment tools. http://www.edutopia.org/blog/tech-friendly-formative-assessment-tools-monica-burns
4. Kluger, A. N., DeNisi A. (1996). "The effects of feedback interventions on performance. A historical review, a meta-analysis, and a preliminary feedback intervention theory." *Psychological Bulletin*, 119, 254-284.
5. Marzano, R. (2001). *Classroom Assessment and Grading the Work*. Alexandria, VA: ASCD.
6. OECD (Organisation for Economic Co-operation and Development) 2005, 'Formative Assessment in Secondary Classrooms', Policy Brief, November.
7. Wiliam, D. (2011.) *Embedded Formative Assessment*. Bloomington, IN: Solution Tree Press.

ნატალია ედიშერაშვილი

შეფასების რუბრიკების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში და მათი ტიპები

ამვარი ინდივიდუალური მიდგომისას აღარ დაგჭირდებათ მარჩიელობა, რას ვერ გაართმევენ თავს მოსწავლეები დავალების შესრულებისას; არც მათ შესაძლებლობებს დაუსვამთ ზღვარს - როცა მოსწავლეებს წინასწარ ვუკონკრეტებთ მიღწევის უმაღლეს დონეს, ამით შემოქმედებითობის განვითარებას ვაფერხებთ. მოსწავლეებს ხომ მართლაც შეუძლიათ, უსაზღვრო შესაძლებლობებით გაგვაოცონ!

რა არის შეფასების რუბრიკა და რა მიზნით ვიყენებთ მას სწავლა-სწავლების პროცესში?

რუბრიკა შეფასების ეფექტური ინსტრუმენტია, რომელსაც როგორც მოსწავლეთა ნამუშევრების, ისე მუშაობის პროცესის შესაფასებლადაც იყენებენ. სწორედ რუბრიკა იძლევა ისეთი ნამუშევრების შეფასების საშუალებას, როგორებიცაა პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, პროექტები. ამ სამუშაოს შეფასება სწორხაზოვან სქემას არ ექვემდებარება და რომ არა რუბრიკა, მას არაობიექტურად და არათანმიმდევრულად შევაფასებდით.

შეფასების რუბრიკა სამი მთავარი ელემენტისგან შედგება:

1. სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები (კომპონენტები);
2. შეფასების სკალა (მიღწევის ხარისხობრივი დონეები);
3. შეფასების სკალაზე განაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები.

რუბრიკის ეფექტურობას სწორედ წარმოდგენილი კრიტერიუმების მიზნობრიობა, მათთან მისადაგებული მიღწევის დონეების ზუსტი აღწერილობა და შეფასების სკალაზე ამ აღწერილობის სწორად (ხარისხობრივ დონეებად) განაწილება განსაზღვრავს.

მთავარი, რაც რუბრიკას შეფასების სხვა ინსტრუმენტებისგან გამოარჩევს, მისი „აღწერითი“ და არა „შეფასებითი“ ხასიათია. რუბრიკა აღწერს, როგორი უნდა იყოს თითოეულ ხარისხობრივ დონეზე, თითოეული კრიტერიუმისთვის მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაო, რაც შემდგომ საფუძვლად ედება შეფასებას.

შეფასების რუბრიკა, მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა შეფასებასთან ერთად, მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და რეფლექსიის უნარის განვითარებასაც უწყობს ხელს. ამასთან, გვეხმარება მოსწავლეთა აკადემიური პროგრესისა და საჭიროებების შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვებაში, რომელიც მათი აკადემიური პრობლემების იდენტიფიცირებას აადვილებს. შესაბამისად, ის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის ფუნქციასაც იძენს.

რუბრიკის ტიპები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები

რა სახის შეფასების რუბრიკები არსებობს, რა ღირსება და ნაკლი აქვს თითოეულ მათგანს?

რუბრიკის კატეგორიზაცია ორი ნიშან-თვისების მიხედვით ხდება:

ა. *კრიტერიუმების წარმოდგენის ფორმა;*
ბ. *რუბრიკის შინაარსი.*

ა. ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები

კრიტერიუმების წარმოდგენის *ფორმის* მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რუბრიკის *ანალიტიკური* და *ჰოლისტური* ტიპები.

ანალიტიკურ რუბრიკაში რამდენიმე კრიტერიუმი და თითოეული კრიტერიუმის შესაბამისი მიღწევის დონეების აღწერილობაა წარმოდგენილი, *ჰოლისტურში* კი შეფასების კრიტერიუმებს ერთიანად წარმოადგენენ და, ამის კვალობაზე, ყველა კრიტერიუმის შეფასება შეფასების დონეების მიხედვით, ერთიანად ხორციელდება. შეფასების დონეები ორივე ტიპის რუბრიკაში ციფრებით (მაგ., 1-4); ასოებით (მაგ., A- F) ან სიტყვებით (ძალიან კარგი – არადამაკმაყოფილებელი) აღიწერება.

ანალიტიკური რუბრიკა მოსწავლის ნამუშევრის შეფასების უაღრესად ეფექტური ინსტრუმენტია. ის დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის შესასრულებელი დავალების შესახებ, რაც მოსწავლეებს უადვილებს იმის აღქმას, რა და როგორ უნდა შეასრულონ. შესაბამისად, ანალიტიკური რუბრიკა განმავითარებელი შეფასების მძლავრი იარაღის ფუნქციას იძენს, თუმცა ის განმსაზღვრელი შეფასებისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ. ანალიტიკური რუბრიკა მასწავლებლებს დიაგნოსტიკური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობასაც აძლევს, რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში კი მკვეთრად ამცირებს განსხვავებულ შეფასებათა ალბათობას.

ანალიტიკურ რუბრიკას უარყოფითი მხარეებიც აქვს. კერძოდ, მის შექმნას ბევრი დრო და გამოცდილება სჭირდება – ზოგიერთ პედაგოგს უჭირს კრიტერიუმების განსაზღვრა და ყველა დონისთვის დეტალური აღწერილობის დაწერა, მოსწავლეები კი ვრცლად გაწერილმა რუბრიკამ შესაძლოა დააფრთხოს. შესაძლოა, მათ თავი აარიდონ მის გულდასმით წაკითხვას.

გთავაზობთ ანალიტიკური რუბრიკის ნიმუშს, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს არა კონკრეტული დავალების შესამოწმებლად, არამედ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და თანამშრომლობის უნარის შესაფასებლად (ცხრილი 1). ასეთი რუბრიკა მასწავლებელს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების დროსაც დაეხმარება.

ცხრილი 1: მოსწავლეების საკლასო შეფასება (ანალიტიკური რუბრიკა)

კრიტერიუმი	არადამაკმაყოფილებელი (1 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (2 ქულა)	კარგი (3 ქულა)	ძალიან კარგი (4 ქულა)
ჩართულობა	**არ მონაწილეობს** აქტივობებში ან მონაწილეობს ძალიან იშვიათად.	**იშვიათად** მონაწილეობს და შეაქვს წვლილი მხოლოდ **ზოგიერთ** აქტივობაში.	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი აქტივობათა **უმრავლესობაში**.	აქტიურად მონაწილეობს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს **ყველა** აქტივობაში.
თანამშრომლობა	**არ თანამშრომლობს ან თანამშრომლობს ძალიან იშვიათად** თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	**იშვიათად** თანამშრომლობს თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	**ხშირად** თანამშრომლობს თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	**ყოველთვის** თანამშრომლობს თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.

ჰოლისტური რუბრიკის დიდი უპირატესობა ის არის, რომ მისი შედგენა ადვილია და ცოტა დროს მოითხოვს, თუმცა ანალიტიკურთან შედარებით ნაკლებინფორმაციულია – მოსწავლეს არ აწვდის დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, სამუშაოს სახელდობრ რომელ კომპონენტში დაიმსახურა მაღალი თუ დაბალი შეფასება, ამიტომ განმსაზღვრელი შეფასების დროს უფროა სასარგებლო – მაშინ, როცა შეფასება მხოლოდ ნიშნის დაწერას ემსახურება და ის მოსწავლეებმა შესაძლოა სულაც ვერ ნახონ (მაგ., გამოსაშვებ ან მისაღებ გამოცდაზე).

ქვემოთ წარმოდგენილია ჰოლისტური რუბრიკის ნიმუში, რომელიც საშინაო დავალების შესრულების ხარისხის შეფასებას ისახავს მიზნად (ცხრილი 2).

რაც დადებით გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე. შეუძლებელია, მოსწავლეები ყოველგვარი დავალების შესრულებაში ვავარჯიშოთ – დავაწერინოთ ესე, ჩავატარებინოთ პრეზენტაცია ნებისმიერ თემაზე, გადავაჭრევინოთ ყოველგვარი ტიპის პრობლემა, ჩავატარებინოთ ცდები ყველა ქიმიური ელემენტის გამოყენებით. მათ ზოგადი უნარებისა და კონცეპტუალური ცოდნის შეძენა მოეთხოვებათ და არა კონკრეტული დავალებისთვის წარმატებით თავის გართმევა. ამგვარი მიდგომა ცოდნისა და უნარების სხვადასხვა სიტუაციაში გადატანას (ტრანსფერს) უწყობს ხელს, მასწავლებლებს კი უბიძგებს, მოსწავლეებს არა კონკრეტული დავალების შესრულებაში, არამედი ზოგადი ცოდნის მიღებასა და უნარების

ცხრილი 2: საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა (ჰოლისტური)

არადამაკმაყოფილებელი (1 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (2 ქულა)	კარგი (3 ქულა)	ძალიან კარგი (4 ქულა)
მონაწილე ვერ ამჟღავნებს წაკითხული მასალის ცოდნას.	მონაწილე სუსტად ამჟღავნებს წაკითხული მასალის ცოდნას; მოჰყავს, სულ მცირე, ერთი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან; უჭირს თავისი მოსაზრებების არგუმენტირებულად დასაბუთება.	მონაწილე საკმაოდ კარგად ამჟღავნებს წაკითხული მასალის ცოდნას; მოჰყავს, სულ მცირე, ერთი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან; ძირითადად არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.	მონაწილე სრულყოფილად ამჟღავნებს წაკითხული მასალის ცოდნას; მოჰყავს, სულ მცირე, ორი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან, არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.

ბ. ზოგადი და კონკრეტულ დავალებას მორგებული შეფასების რუბრიკები

შინაარსის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის რუბრიკა – *ზოგადი* და *კონკრეტულ დავალებას მორგებული.*

ზოგადი რუბრიკა, როგორც სახელწოდებიდანვე ჩანს, ზოგადი ხასიათისაა და მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სახის დავალების შესაფასებლად. შეგვიძლია, ის წინასწარ გავაცნოთ მოსწავლეებს – ეს მათ მუშაობის მიმართულებისა და სამუშაოს პრიორიტეტული კომპონენტების დანახვაში დაეხმარება.

ზოგად რუბრიკაში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები არა კონკრეტული დავალების, არამედ სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მიზნის კომპონენტებია (მაგ., აღწერს პრობლემის გადაჭრის უნარის ზოგად მახასიათებლებს და არა რომელიმე პრობლემის გადაჭრის გზებს).

ზოგად რუბრიკაში მიღწევის დონეთა აღწერილობებიც განზოგადებული სახითაა წარმოდგენილი,

განვითარებაში დაეხმარონ. *შეიძლება ზოგადი რუბრიკის მრავალჯერადი გამოყენება და მოსწავლეებისთვის მისი წინასწარ გაცნობა, რაც მათ შეფასებასა და სწავლას შორის მჭიდრო კავშირის დანახვაში დაეხმარება.*

ზოგადი რუბრიკის კიდევ ერთი ღირსება ის არის, რომ მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თავად შეარჩიონ განსაზღვრული მიზნის მისაღწევი გზები და მეთოდები. მეტიც – მონაწილეებს თავადაც შეუძლიათ ზოგადი რუბრიკის შექმნაში მონაწილეობა, ვინაიდან ის ზოგადი/ლოგიკური კომპონენტების განსაზღვრასა და აღწერას მოითხოვს.

დავალებას მორგებული რუბრიკა კი ისეთი რუბრიკაა, რომელიც კონკრეტულ დავალებასაა მორგებული და სხვა დავალების შესაფასებლად არ გამოდგება (მაგ., აღწერს მოცემული პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზებს; პრობლემის გადაჭრის ერთ კონკრეტულ მეთოდს; გვაწვდის იმ ფაქტებისა თუ ცნებების ჩამონათვალს, რომლებიც მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს და ნამუშევარში წარმოაჩინოს).

დავალებას მორგებული რუბრიკა მასწავლებელს მოცემული დავალების შეფასებას უადვილებს, რადგან იძლევა დაწვრილებით ინფორმაციას იმის შესახებ, სახელდობრ, რა უნდა იყოს წარმოდგენილი მოსწავლის ნაშრომში, რათა ის დადებითად შეფასდეს. მასწავლებელიც სწორედ ამ ინფორმაციას ეძებს და ვარაუდი აღარ სჭირდება. შეფასების პროცესიც უფრო სწრაფად მიმდინარეობს და სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული შეფასებებიც უფრო თანმიმდევრული და თანხვდენილია.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობებს არსებითი ნაკლიც ახლავს თან: რუბრიკა შესაძლოა იმდენად კონკრეტული იყოს, რომ მოსწავლეებისთვის მისი გაცნობა მიზანშეწონილად არ მივიჩნიოთ – ამით მათ წინასწარ მივაწვდით „სწორ პასუხებს", რაც მოსწავლეებს დავალების მექანიკურად/გაუაზრებლად შესრულებისკენ უბიძგებს. ამ შემთხვევაში რუბრიკა შეფასების ჩექლისტს ემსგავსება და განმავითარებელი შეფასების დანიშნულებას კარგავს. კონკრეტულ დავალებას მორგებული რუბრიკა უხერხულობას ქმნის იმ მხრივაც, რომ ყოველი დავალებისთვის ხელახლა უნდა დაიწეროს, რაც მასწავლებლისგან ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს. გარდა ამისა, დიდია ალბათობა, ასეთ რუბრიკაში შეუმჩნეველი და/ან დაუფასებელი დარჩეს დავალების ის ძლიერი მხარეები, რომლებიც რუბრიკის კომპონენტებად არ არის წარმოდგენილი.

არსებობს ანალიტიკური და ჰოლისტური რუბრიკების მრავალი ნაირსახეობა. პედაგოგები წარმატებით იყენებენ *ერთდონიან რუბრიკას* (ჯერენ ფლაკინგერი 2010). ის ანალიტიკურ რუბრიკას ჰგავს იმ მხრივ, რომ მასში კრიტერიუმები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი, განსხვავება კი ისაა, რომ *ერთდონიან რუბრიკაში* წარმოდგენილია მხოლოდ ერთი – სამიზნე დონე და არ არის მოცემული სტანდარტის არც ქვედა და არც ზედა დონის მიღწევის აღწერილობა.

ნიმუში იმისა, როგორ შეიძლება, სტანდარტული ანალიტიკური რუბრიკა (იხ. ცხრილი 1) ერთდონიანად გადაკეთდეს, იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 3).

შეამჩნევდით, რომ *ერთდონიან რუბრიკაში* წარმოდგენილი სტანდარტის დონის აღწერილობა ანალიტიკური რუბრიკის (იხ. ცხრილი 1) უმაღლეს დონეს შეესაბამება. *ერთდონიანი რუბრიკის* შევსება მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ანალიტიკურისა (მასწავლებელმა შეფასების შემოხაზვის ნაცვლად მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ წერილობითი კომენტარი უნდა

ცხრილი 3: ერთდონიანი რუბრიკის ნიმუში

სირთულეები რა უნდა გავაუმჯობესო	სტანდარტით გათვალისწინებული დონე კრიტერიუმები	ძლიერი მხარეები რას ვაკეთებ განსაკუთრებით კარგად
	კრიტერიუმი 1 აქტიურად მონაწილეობს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ყველა აქტივობაში. **კრიტერიუმი 2** ყოველთვის თანამშრომლობს თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	

გააკეთოს), მაგრამ ასეთ რუბრიკას მნიშვნელოვანი უპირატესობებიც აქვს:

ერთდონიანი რუბრიკა ანალიტიკურზე ადვილი შესადგენია, ნაკლებადაა გადატვირთული და, შესაბამისად, მოსწავლეებისთვისაც უფრო ადვილია დავალების შესრულებამდე მისი გაცნობა. ამგვარი რუბრიკის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ შეფასებისას ნაკლებად გაქცევთ ჩარჩოებში – გაძლევთ საშუალებას, მოსწავლეებს სასწავლო მიზნის დანახვაში დაეხმაროთ და, ამასთანავე, ის ძლიერი მხარეებიც დაუფასოთ, რაც სტანდარტით არ მოითხოვება (მაგ., 1. *ცდილობს დაეხმაროს თანაკლასელებს; 2. ეხმარება მასწავლებელს ჯგუფების ორგანიზებასა და მართვაში)*, სუსტი მხარეების შესახებ კი მიზნობრივი კომენტარის გაკეთების შესაძლებლობას გაძლევთ.

ამგვარი ინდივიდუალური მიდგომისას აღარ დაგჭირდებათ მარჩიელობა, რას ვერ გაართმევენ თავს მოსწავლეები დავალების შესრულებისას; არც მათ შესაძლებლობებს დაუსვამთ ზღვარს – როცა მოსწავლეებს წინასწარ ვუკონკრეტებთ მიღწევის უმაღლეს დონეს, ამით შემოქმედებითობის განვითარებას ვაფერხებთ. მოსწავლეებს ხომ მართლაც შეუძლიათ, უსაზღვრო შესაძლებლობებით გაგვაოცონ!

შეფასების რუბრიკა, მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა შეფასებასთან ერთად, მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და რეფლექსიის უნარის განვითარებასაც უწყობს ხელს.

არსებობს კიდევ არაერთი რუბრიკა, რომლებსაც მასწავლებლები წარმატებით იყენებენ სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა მიზნით. რომელი რუბრიკა გამოგადგებათ ყველაზე მეტად, თქვენივე საჭიროებებისა და მიზნების მიხედვით უნდა განსაზღვროთ.

თამარ მოსიაშვილი

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება

სიტყვა „პროექტი“ სკოლებისთვის უცხო არ არის. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა შეცვალა სასწავლო პროცესიც და დღეს მასწავლებლები გაკვეთილებზე სხვადასხვა სახის პროექტებს ახორციელებენ. სკოლებში მუშაობს საგანმანათლებლო კლუბები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ითანამშრომლონ საზოგადოებასთან, განივითარონ კვლევითი უნარები და სხვა.

სიტყვა „პროექტი“ სკოლებისთვის უცხო არ არის. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა შეცვალა სასწავლო პროცესიც და დღეს მასწავლებლები გაკვეთილებზე სხვადასხვა სახის პროექტებს ახორციელებენ. სკოლებში მუშაობს საგანმანათლებლო კლუბები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ითანამშრომლონ საზოგადოებასთან, განივითარონ კვლევითი უნარები და სხვა.

ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა და პროექტებით სწავლებაც სწავლების საუკეთესო ფორმაა. მასწავლებლები ბლოგებზე აღწერენ საკუთარ გამოცდილებას. მათი ბლოგები ბევრ სიახლეს სთავაზობს საზოგადოებას – საინტერესო სასწავლო მიდგომებს, ინიციატივებს, რომლებიც სათემო პრობლემების გადაჭრისკენაა მიმართული... თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი სასკოლო პროექტები ერთი თავისებურებით გამოირჩევა: გაკვეთილებზე განხორციელებულს აკადემიური მიზნები აქვს, ხოლო სასკოლო კლუბებში განხორციელებულს – საზოგადოებრივი.

ამ სტატიაში ვისაუბრებთ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებაზე (Service Learning), სადაც სწავლებას აქვს როგორც აკადემიური, ისე საზოგადოებრივი მიზნებიც. სწავლებისადმი ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, გაკვეთილი დაუახლოვდეს კლუბურ საქმიანობას აკადემიური და საზოგადოებრივი მიზნების უკეთ გააზრების გზით.

1. რა არის საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება?

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება ექსპერიმენტული განათლების ფორმაა. ის საგნის აკადემიურ შინაარსს საზოგადოებრივ საქმიანობასთან აკავშირებს. ამავე დროს, განათლების ეს ფორმა გულისხმობს შეძენილი გამოცდილების ანალიზსა და გააზრებას.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების პედაგოგიკა ეფუძნება რწმენას, რომ ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელ მოსწავლეს შეუძლია, წარმატებას მიაღწოს.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დანერგვა ყველა საგნის სწავლების დროსაა შესაძლებელი, თუმცა, ცხადია, საგანთა ინტეგრირების გარეშე ეს პროცესი გართულდება. მაგალითად, მათემატიკაში სტატისტიკის სწავლებისას შეიძლება შეფასდეს ადგილობრივი თემის ეკონომიკური შემოსავლები, ბუნებისდაცვითი პროექტის განხორციელებისას კი დაიგეგმოს კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო საქმიანობათა ბიუჯეტი. ეს საკითხები გულისხმობს როგორც აკადემიურ (სტატისტიკა, ეკოლოგია), ისე საზოგადოებრივ მიზნებსაც (ეკოლოგიური პრობლემები, რომლებსაც ადგილობრივი თემი ეჯახება, დასაქმების შესაძლებლობები და მოსახლეობის შემოსავლები).

2. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მოდელი

ელი ვისელი (Eli Wiesel) გვთავაზობს საზოგადოებრივი

საქმიანობით სწავლების ოთხ-საფეხურიან მოდელს (Wiesel, 2008). ეს მოდელი მოიცავს პროცესს ცოდნის/ინფორმაციის შეძენიდან სოციალურ ცვლილებამდე.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის შედეგი სოციალური ცვლილებაა.

გთავაზობთ თითოეული საფეხურის მოკლე აღწერას.

პირველი საფეხური – ინფორმაციის გაცნობა

სანამ საქმიანობას დაიწყებენ, მოსწავლეები კარგად უნდა მოემზადონ. მათ უნდა ესმოდეთ პროექტის მიზანი, საქმიანობის ფორმები, შეისწავლონ საკითხი დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით.

მეორე საფეხური – ახალი ცოდნის შექმნა

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან ინფორმაციას, ის კონტექსტს უნდა მოარგონ. ამ დროს მოსწავლეები ცოდნას რეალურ სამყაროსთან აკავშირებენ. მათ უნდა შეაფასონ სკოლასა თუ თემში არსებული პრობლემის მასშტაბი, დაგეგმონ პრევენციული ღონისძიებები, დაწერონ მოკლე ანგარიში მოკვლეულ საკითხზე. ცოდნის რეალურ სამყაროსთან დაკავშირებით მოსწავლეები უკეთ გაიგებენ სოციალურ კონტექსტს. ეს საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების საკვანძო საფეხურია. ამ დროს მოსწავლე ახდენს ნასწავლი საკითხის გამოცდილებასთან ინტეგრირებას, გაიაზრებს ცოდნის მნიშვნელობას, მისი გავლენის შესაძლებლობებსა და სავარაუდო შედეგებს.

მესამე საფეხური – ცოდნის გამოყენება

მოსწავლეები იყენებენ ცოდნას. განათლების მიზანი ცოდნის აქტიური გამოყენებაა (პერკინსი, 1992). სკოლაში შეძენილი ცოდნა მოსწავლეებმა ცხოვრებაში უნდა გამოიყენონ. ამ უნარის განვითარებისთვის მათ უნდა შეასრულონ ბუნებისმეტყველების, ინჟინრების, დიზაინერების, ექიმების, მსახიობების, მუსიკოსების, ამომრჩევლების, მოსამართლეების, სოციალური აქტივისტების როლები. ბავშვებმა უნდა გაიაზრონ, რა ისწავლეს.

საზოგადოებრივი სწავლების რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ხელს უწყობს ცოდნის გამოყენების პროცესს. ეს მახასიათებლებია:

პირველი: *მოსწავლეები გადიან ველზე (თანამშრომლობენ თემთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სათემო ჯგუფებთან), იყენებენ ნასწავლს და ივითარებენ უნარებს.*

მეორე: *მოსწავლეები წინასწარ ემზადებიან ვიზიტისთვის. ისინი სწავლობენ კითხვების დასმას, კომუნიკაციას.*

მესამე: *მოსწავლეებს აქვთ ცოდნის გამოყენების მრავალფეროვანი შესაძლებლობა, ხდება საველე სამუშაოს ანალიზი, შეფასება როგორც მასწავლებლის, ისე თანაკლასელების მხრივ.*

მეოთხე საფეხური – სოციალური ცვლილება

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების შედეგი სოციალური ცვლილებაა. ამ დროს იცვლება მოსწავლის დამოკიდებულება სოციალური საკითხების მიმართ, იზრდება მისი მოტივაცია, გახდეს უფრო აქტიური. სხვების კეთილდღეობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ცვლილება ძლიერი მოტივატორია, მოსწავლეებს კი შეუძლიათ, საკუთარი თვალით დაინახონ ცვლილებები.

3. როგორ დავეგეგმოთ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება?

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას აქვს როგორც

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების შედეგი სოციალური ცვლილებაა. ამ დროს იცვლება მოსწავლის დამოკიდებულება სოციალური საკითხების მიმართ, იზრდება მისი მოტივაცია, გახდეს უფრო აქტიური. სხვების კეთილდღეობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ცვლილება ძლიერი მოტივატორია, მოსწავლეებს კი შეუძლიათ, საკუთარი თვალით დაინახონ ცვლილებები.



აკადემიური, ისე საზოგადოებრივი მიზნებიც. სანამ პროექტის შემუშავებას დაიწყებდეთ, ეს მიზნები მკაფიოდ უნდა განსაზღვროთ. მთავარია, პროექტი გულისხმობდეს ორივე მიზანს - აკადემიურსაც და საზოგადოებრივსაც.

მაგალითად: *მოსწავლეებმა შესაძლოა შეისწავლონ სოფლის წყალსაცავის ეკოლოგიური მდგომარეობა (მაღალი სასწავლო მიზანი), მაგრამ არ მოიძიონ წყალსაცავის დაბინძურების შემცირების გზები (დაბალი სასწავლო მიზანი). შესაძლოა, ზოგიერთ პროექტს ჰქონდეს მაღალი მიზანი, მაგრამ არ შეიცავდეს აკადემიურ კომპონენტს (მაგალითად, სკოლის მიმდებარე ტერიტორია გადატვირთულია ტრანსპორტით; მოსწავლეები ითხოვენ სკოლის წინ ზებრა-გადასასვლელის გაკეთებას). როდესაც პროექტი ითვალისწინებს როგორც აკადემიურ, ისე საზოგადოებრივ მიზნებს, საგაკვეთილო და საკლუბო საქმიანობები ერთიანდება.*

საზოგადოებრივი მიზნების ფორმულირებისას მნიშვნელოვანია ადგილობრივ თემში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, იმის განსაზღვრა, შესაძლებელია თუ არა მათი მოგვარება სკოლასა და თემში არსებული რესურსებით. პროექტის საზოგადოებრივმა მიზანმა უნდა ასახოს ის ცვლილებაც, რაც პროექტის განხორციელებას მოჰყვება.

მაგალითად: *პროექტის განხორციელების შედეგად შეიცვლება (დაასახელეთ, რა); გაუმჯობესდება (დაასახელეთ, რა).*

აკადემიური მიზნების ფორმულირებისას მთავარი სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმაა. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დროს საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხაზგასმული კომპეტენციები წარმატებით ვითარდება. მოსწავლეები თავს ართმევენ საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას, ორგანიზებას, დაგეგმვასა და განაწილებას. ისინი ერთად მუშაობენ, საზოგადოების/თემის წევრებთან თანამშრომლობენ და ამ დროს ინტერპერსონალური უნარები უვითარდებათ. პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები აგროვებენ ინფორმაციას, აფასებენ მის სანდოობას და პროექტის მიზნების შესაბამისად იყენებენ. ინფორმაციის მოძიების დროს ისინი ახდენენ მონაცემების ინტერპრეტირებას, სწავლობენ საკუთარი მიზნების შესატყვისად ტექნოლოგიების გამოყენებას.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დროს ვითარდება საბაზისო უნარებიც – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. მოსწავლეები შემოქმედებითად ეკიდებიან საკითხის გადაწყვეტას, ადგენენ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, აგვარებენ პრობლემებს, ახდენენ მონაცემების ვიზუალიზაციას.

4. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება და პოზიტიური ცვლილებები სკოლაში

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ნასწავლი საკითხი მოარგონ ადგილობრივ კონტექსტს, გამოიყენონ ცოდნა და განივითარონ უნარები. ვანდერბილტის უნივერსიტეტის პროფესორს, შერონ შილდსს (Sharon Shields), მიაჩნია, რომ ასეთი სწავლება დადებით გავლენას ახდენს სკოლაზე, მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, ასევე – თემსა და პარტნიორ ორგანიზაციებზე.

რა პოზიტიურ შედეგებზე საუბრობენ მკვლევრები?

მკვლევართა აზრით, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებისას:

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

დიანა ანფიმიადი

პირველი სასწავლო კვირის პრობლემატიკა

მაშ ასე, გავიდა მრავალფეროვანი, ცხელი, თავისუფალი, მხიარული ზაფხული, აგვისტოც იწურება და სადაცაა, სასკოლო ფაციფუციც დაიწყება... ძნელად თუ იპოვით ოჯახს, რომელიც რაიმე ფორმით არ ჩაერთვება ამ ორომტრიალში. მოსწავლეთა მშობლების ნერვიულობა, ბავშვების საოცარი მოლოდინი, მასწავლებლების სამზადისი... საყიდლების სია, საჭირო საკანცელარიო ნივთები, წიგნები, საზაფხულო დავალებების მობილიზება, სიახლეები და სირთულეები... მასწავლებლებისთვის კი მთავარი გამოწვევა სასწავლო წლის პირველი კვირაა. არ აქვს მნიშვნელობა, ახალ, უცნობ კლასთან გვიწევს ურთიერთობა თუ საყვარელ მოსწავლეებს ხელახლა ვხვდებით – ნებისმიერ შემთხვევაში პირველი კვირა ის დროა, როდესაც მართლაც ბეწვის ხიდზე უნდა გავიაროთ – რეჟიმიდან ამოვარდნილი ბავშვები ნელ-ნელა შევაჩვიოთ სასკოლო მუშაობას ისე, რომ არც მეტისმეტი მოგვივიდეს და არც ზედმეტი თავისუფლების გამო დავუკარგოთ კვირა ჩვენს ძალიან რთულ და დატვირთულ აკადემიურ წელიწადს.

ამიტომაც მგონია, რომ ყველაფერი კარგად და დაწვრილებით უნდა გავთვალოთ: აქტივობები, დახვედრა, გაცნობა (თუ ახალ კლასთან გვაქვს საქმე), მათი მხიარული ამბების მოსმენა და ურთიერთგაზიარება, სასწავლო წლისა თუ საგნის სილაბუსის დაგეგმვა (რასაც მე პირადად არასდროს გავაკეთებდი მოსწავლეების გარეშე), საზაფხულო დავალების შემოწმება და ა.შ და ა.შ.

უპირველეს ყოვლისა, კლასის ატმოსფეროზე ვიზრუნოთ. გინდათ, ვიზუალური მასალა დაამატოთ? იქნებ კედლებზე ძველი თვალსაჩინოებები მოგბეზრდათ და ახალი გწადიათ? იქნებ რაიმე განსხვავებული იდეა გაქვთ? სწავლის დაწყებამდე დარჩენილი რამდენიმე დღე საუკეთესო დროა ასეთი საკითხების მოსაგვარებლად. აქვე გაარკვიეთ უსაფრთხოების საკითხიც, განსაკუთრებით – თუ დაწყებითი კლასი გყავთ: სადმე ხომ არ დგას გატეხილი სკამი, უადგილოდ ხომ არ გამოჩრილა ლურსმანი...

თუ ახალ კლასში შედიხართ, აუცილებლად დაგეგმეთ გაცნობის კვირეული. დაიმახსოვრეთ: კლასი მიკროსისტემაა, მიკროსაზოგადოება, რომელმაც წლის ბოლომდე ერთად უნდა იმუშაოს, შედეგი მიიღოს, ამიტომ გაცნობა, ერთმანეთის სურვილების, ინტერესების გაგება თქვენი მოსწავლეებისთვისაც და თქვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ხშირად მეგობრობა პირველი შეხვედრისთანავე, გაცნობისთანავე იწყება. რასაკვირველია, თხზულება კარგად ნაცნობი სათაურით „როგორ გავატარე ზაფხული“ შეგიძლიათ გამოტოვოთ, მაგრამ, თავისთავად ცხადია, გაინტერესებთ, სად და როგორ დაისვენეს, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, რა წიგნები წაიკითხეს თქვენმა მოსწავლეებმა...

მარტივი ვიზუალიზაცია დაგვეხმარება. მაგალითად, დაფაზე საქართველოს რუკას გავაკრავთ, რომელზეც ჭიკარტებით ან ფერადი წებოვანი ფურცლებით მოვნიშნავთ იმ ადგილებს, სადაც ვიმოგზაურეთ ამ ზაფხულს. ამბებსაც მოვყვებით. იქნებ კარგი შემეცნებითი და საინფორმაციო გაკვეთილიც გამოგვივიდეს. ეკოლოგიურ პრობლემებსაც შევეხებით, ადგილობრივი თუ გარე ტურიზმის საკითხებსაც და მერე იქნებ ყველამ ერთად დავგეგმოთ, სად წავალთ მთელი კლასი, მაგალითად, საშემოდგომო ექსკურსიაზე.

პირველ კვირას აუცილებლად გააცანით მოსწავლეებს თქვენი სამუშაო გეგმა: რას და როგორ აპირებთ, რაში დაგჭირდებათ მათი დახმარება, რა იდეები აქვთ, რას ისურვებდნენ, რას ფიქრობენ, რას გირჩევენ და ა.შ. საორგანიზაციო საკითხები, – წასაკითხი წიგნების, საჭირო საკანცელარიო თუ სასწავლო ნივთების სია, – უმჯობესია, პირველ, შედარებით თავისუფალ კვირას მოაგვაროთ, რომ მერე, სასწავლო გეგმის რთულ ოკეანეში ცურვისას, წვრილმანებმა ხელი არ შეგიშალოთ.

მაშ ასე, კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ის საკითხები, რომლებზეც ვამახვილებთ ყურადღებას პირველ კვირას:

1. საკლასო ინფრასტრუქტურა, წიგნები, საკანცელარიო ნივთები, ყველაფერი რაც დაგვჭირდება;
2. გაცნობის რიტუალი (ახალი კლასის შემთხვევაში), ცვლილებები კლასში (ახალი მოსწავლე თუ გვყავს), რა შეიცვალა, როგორ გავიზარდეთ, როგორია ჩვენი სასწავლო მოტივაცია;
3. როგორ გავატარეთ ზაფხული, სად ვიყავით, რა ვნახეთ;
4. საზაფხულო დავალება – რა წავიკითხეთ, რა მოვისმინეთ;
5. პირველი კვირის გეგმა – რას გავაკეთებთ პირველ კვირას, რა საკითხებს გავივლით, რაზე ვიმუშავებთ;
6. მუშაობის სპეციფიკაზე შეთანხმება, იდეების გაზიარება, ახალი გეგმები, წინადადებები;
7. რას ვისწავლით წელს და, საზოგადოდ, რას მოგვცემს ახალი სასწავლო წელი.

კიდევ ბევრის დამატება შეიძლება, მაგრამ ეს უკვე თქვენზეა. წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

ირმა ტაველიძე

ემოციებს აყოლილი უმეცრები

ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ეს წუთები დადგებოდა – დავწერდი მასზე, ვინც სწორ დროს გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და მასწავლა, რომ ყველაფერი უმეცრების აღიარებით იწყება. სულ ყველაფერი. ცხოვრების ყველა გზა. იმხანად თავი ყოვლისმცოდნე მეგონა და ამ რწმენას წყალს ვერაფერი შეუყენებდა – ვერც ყველაზე უხეში შეცდომები, ვერც პასუხგაუცემელი კითხვები, ვერც ძნელად ასახსნელი ყოველდღიურობა. ცხადია, მე და ჩემმა კლასელებმა არ ვიცოდით, რომ არ ვიცოდით.

გამბედაობის მაგალითი მოგვცა: პირველივე დღეებიდან უკიდურესად გულწრფელი იყო. ამბობდა, დარწმუნებული არა ვარ, რომ მართლაც ასეა, შეიძლება, სხვა სიმართლეც არსებობდესო; ვერაფრის მტკიცებას ვერ მოვყვები, ვიფიქრებ და ჩემს მოსაზრებას შემდეგ გაკვეთილზე გაგიზიარებთო; შეიძლება ვცდები, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია უფრო ანგარიშგასაწევი მგონიაო... გასული საუკუნის 80-იან წლებში ასეთი ფრაზები მეტად იშვიათად ისმოდა სასწავლო დაწესებულებებში, სადაც თავდაუზოგავად ცდილობდნენ ჩვენს დარწმუნებას, რომ არსებობდა ყველასთვის მისაღები ერთადერთი ჭეშმარიტება, ერთადერთი შესაძლო პასუხი.

სხვა მხრივაც განსხვავდებოდა დანარჩენებისგან. თუ აღმოაჩენდა, რომ რაღაცის შესახებ მოსწავლემ მასზე მეტი იცოდა, თვალები უბრწყინდებოდა. გულისყურით გვისმენდა და ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა. მეტის შეტყობა უნდოდა – შეეძლო, ყველასგან რაღაც ესწავლა. ბევრს კითხულობდა. ახალგამოსული არც ერთი წიგნი არ გამორჩებოდა ხოლმე. იქნებ ამიტომაც იყო, რომ სკოლის სანახევროდ შეღებილ კედლებში მოქცეული სამყაროს ამოტრიალება დიდ ცოდვად არ მიაჩნდა: ბოლო მერხს მიუჯდებოდა და ყველაზე მონდომებულ მოსწავლეებს გაკვეთილის ჩატარების უფლებას აძლევდა.

მიყვარდა მისი საგანი, რომელსაც ახლა არ დავასახელებ. არც გამორჩეულად საყვარელი მასწავლებლის სახელს და გვარს დავწერ.

როცა მის ადგილას ვიდექი და გაკვეთილს ვხსნიდი, იოტის ოდენა დაძაბულობასაც კი არ ვგრძნობდი. არც სხვები გრძნობდნენ. შეცდომებისთვის, არასწორი ინტერპრეტაციებისთვის, არასაკმარისი მომზადებისთვის, ჩახლართული წინადადებებისთვის, უადგილოდ ნახმარი ტერმინებისთვის, აშკარა სისულელეებისთვისაც კი სასჯელს არ ველოდით. ერთმანეთს ვუსმენდით და დროდადრო საუბარს ვაწყვეტინებდით, ზოგჯერ – უხეშადაც. ზოგჯერ რაღაცის უაზროდ მტკიცებასაც მოვყვებოდით ხოლმე. მშვიდად გვიგდებდა ყურს და ბოლოს კითხვებს გვისვამდა. მოვალეობის გამო – არა. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ პასუხების პოვნა მართლა უნდოდა, ჩვენი მოსაზრებები კი ძალიან აინტერესებდა.

მეგობარი იყო. არაერთხელ გამოცდილი და საიმედო.

„ჩვენ ემოციებს აყოლილი უმეცრები ვართ, – ამბობს დიდი შვედი რეჟისორი ინგმარ ბერგმანი, – და არა მხოლოდ მე და შენ – ფაქტობრივად, ყველა. ეს კი მართლაც ძალიან დამთრგუნველია. ჩვენ ყველაფერი გვასწავლეს ადამიანის სხეულის, მადაგასკარის სოფლის მეურნეობის, პი-სა თუ რაღაც ოხრობის ფესვის შესახებ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ სულზე. კატასტროფულად უმეცრები ვართ – არც საკუთარ

ჩაიწერე საკუთარი თავი

თორნიკე ჭელიძე



თავს ვიცნობთ და არც სხვებს. დღეს გაუთავებლად ყბედობენ, ბავშვები ისე უნდა აღიზარდონ, რომ კარგად იცოდნენ, რა არის მეგობრობა, ურთიერთგაგება, თანაარსებობა, თანასწორობა და სხვა ყველაფერიო. მეტისმეტად მოდურია ასეთი საუბრები. აზრად კი არავის მოსდის, რომ ჯერ ცოტა რამ მაინც უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავისა და საკუთარი გრძნობების შესახებ; ჩვენივე შიშის, სიმარტოვისა და გულში ჩაბუდებული რისხვის შესახებ. ასე მიგვატოვეს – გამოუვალ მდგომარეობაში, უმეცარნი და ჩვენივე ამბიციების ნანგრევებში სინანულით გატანჯულნი... როგორ უნდა გაუგო სხვებს, თუ არაფერი იცი საკუთარ თავზე?“

ბერგმანის ეს სიტყვებიც სწორ დროს გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. სწორედ მათ გამახსენეს ის, ვინც გამუდმებით ცდილობდა, მეტი შეგვეტყო საკუთარ თავზე, ერთმანეთზე, ერთმანეთის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, თუნდაც ყველაზე სტანდარტულ სივრცეში სამყაროს ამობრუნების შესაძლებლობაზე. ამისთვის იყენებდა თავის საგანს, სახელმძღვანელოს თემებს, გაკვეთილზე გაჩენილ კითხვებს, ნებისმიერი საკითხის ირგვლივ გამართულ კამათს, პირად საუბრებს. მიუხედავად ამისა, როგორც უნდა დავძაბო გონება, ვერ გავიხსენებ ვერც ერთ ბრძნულ ფრაზას, შეგონებას, საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ჭეშმარიტებას, რომელიც მისი პირიდან გავიგონე იმ შორეულ 80-იან წლებში. როგორც ჩანს, თავს არიდებდა ისეთი სიტყვებით საუბარს, რომელთა სიკაშკაშეც დაგვაბრმავებდა, ხარბად წავეტანებოდით და განუსჯელად მივისაკუთრებდით.

მის სახელს და გვარს იმიტომ არ ვამხელ, რომ რაც დავწერე, ერთი გამორჩეული მასწავლებლისთვის ხოტბის შესასახმელად არ დამიწერია. თუმცა, შესაძლოა, მაინც ის გამომივიდა, რასაც თავს ვარიდებდი. მეტს ვერაფერს ვიტყვი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არ ვიცი და მისი მადლიერი ვარ, ვინც საკუთარ სისუსტეებზე დაფიქრების, საკუთარი უმეცრების გაცნობიერების აუცილებლობა დამანახა და მაგალითიც მომცა.

რამდენიმე დღის წინ მეგობარმა გამახსენა ექვსი-შვიდი წლის წინ მომხდარი ამბავი. თივას ვაბინავებდით საბძელში, როცა წვიმა წამოვიდა. ვიდრე სახლში შევიდოდით, იჭექა და მეხი გავარდა. ნაერთების მასა, რომელიც დიდმა ელექტრულმა ენერგიამ შეადუღა, პირდაპირ ჩემ წინ ჩამოვარდა და რომ არა მეგობარი, რომელმაც ხელი მკრა, შესაძლოა, დღეს არც ამ ბლოგს, არც მე არ გვეარსება. ეს ამბავი აღარ მახსოვდა და, სიმართლე ითქვას, ვერც ახლა ვიხსენებ, თუმცა იმ დღეს რომ წვიმდა, თივას ვინახავდით და ის ბიჭიც იქ იყო, ცხადად მახსოვს. ალბათ, შიშმა დამავიწყა ის მომენტი... ასეა თუ ისე, ფაქტია – ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც იმ დღეს მოხდა, ვეღარ ვიხსენებ.

ბოლო დროს ვცდილობ, დღიური ვწერო, მაგრამ რაკი ეს ბავშვობაში არ მიკეთებია, უცნაურად დავიწყე საქმე. ჯერ შორეული წარსულის ამბებს ვიხსენებ და ვიწერ. ვთქვათ, როგორ ვიწექი თვრამეტ აგვისტოს ყანისპირა მინდორში და ვარსკვლავებს ავყურებდი, შორიდან კი, სახლიდან, ფერისცვალების დღესასწაულის სამზადისში გართული ოჯახის წევრების ხმები მოდიოდა. ასეთ რამეებს ვიგონებ და ვიწერ, რომ მომავალში დავუბრუნდე, ვიკითხო და გავიხსენო.

რა არის მითი? ალბათ, თხრობის სურვილია. ადამიანს მუდამ სურდა ამბის მოყოლა. ამბავი ყველაზე დიდი რამაა კაცობრიობის ისტორიაში. პირველი ადამიანებიც კი, რომლებიც კედლებზე ბიზონებს ხატავდნენ, ასე აწარმოებდნენ საკუთარ დღიურს. ისინი ჰყვებოდნენ. შესაძლოა, არ იყო მწერალი, პოეტი, ბლოგერი, არც დღიურს წერდე, მაგრამ ყველანი ვქმნით და ვყვებით ამბებს. რაიმე შემთხვევის ქმნადობა უკვე ნიშნავს მის მოყოლას, გათამაშებას. მსახიობი ამა თუ იმ მომენტში შესაძლოა მხოლოდ ჟესტიკულაციით, სხეულის ენით თამაშობდეს, მაგრამ ის ამ დროსაც ჰყვება ამბავს და თან ქმნის მას. სცენაზე ის ამბის შემქმნელია, ხოლო დარბაზში მსხდომთათვის – მთხრობელი.

მინდა ვურჩიო მასწავლებლებს, მოსწავლეებს დღიურის წარმოება სთხოვონ. სთხოვონ, ჩაიწერონ თავიანთი ემოციები, აზრები, იდეები, განვლილი დღე, კვირა. გამოყონ მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი მოვლენები. მახსენდება მარკესის „იცხოვრო, რათა მოჰყვე“. წარმოიდგინეთ, როგორ იქნებოდა, რომ გვავიწყდებოდეს ყველაფერი, რაც იყო და მხოლოდ აწმყოში ვარსებობდეთ. ალბათ ძალიან ცუდი.

დღიურის წარმოება მოსწავლეს განუვითარებს სხვადასხვა უნარს და უფრო მიზანსწრაფულს, თანმიმდევრულს გახდის. კანტი ამბობდა, ადამიანი კვდება, აზრი რჩებაო. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ სიკვდილს – აქ ჩვენს ცვალებადობაზეც არის საუბარი, წარსული „მეს“ სიკვდილზე. ამ ყველაფერს კი ძალიან კარგად წარმოაჩენს და აღნუსხავს სადღიურო ჩანაწერები.

ფოტოფირზე თუ საკუთარ სხეულს აღვბეჭდავთ დროისა და სივრცის კონკრეტულ მონაკვეთში, ჩანაწერები იმავე კონკრეტიკით აღნუსხავენ ჩვენს გონებრივ და სულიერ სტატიკა-დინამიკას. ამიტომ ამ, ე.წ. selfie-ფოტოების ეპოქაში, როცა დღეში ათეულობით კადრში ვაფიქსირებთ საკუთარ სხეულს, მოდი, გამოვნახოთ ბლოკნოტის ან word ფაილის ერთი გვერდი, სადაც საკუთარ თავს ჩავიწერთ.

ზვიად კვარაცხელია

ჩემი პირველი მასწავლებელი

მე და ჩემი ძმა ის იშვიათი ბავშვები ვიყავით, ვინც პირველ სექტემბერს – პირველი კლასის პირველ სექტემბერს – უკვე იცნობდა თავის მასწავლებელს. მერი ბულია ჩვენი კარის მეზობელი იყო და მან იმ 90-იანებში, უფრო კონკრეტულად კი 1994 წლიდან, ჩვენთვის არა მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება ითავა, არამედ სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე მშვიდობიანად მიყვანაც. აოხრებულ, დარბეულ ქალაქს ყოველდღიურად, დილაობით, სკოლისკენ მიმავალი მოსწავლეები აცოცხლებდნენ, რადგან მათ მშობლებს და მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ომი, ბინძური პოლიტიკა და განუკითხაობა ცხოვრების წესად არ უნდა ქცეულიყო.

იმ დილასაც ჩვეულებრივ პირველი მე გავვარდი ჭიშკრისკენ, პურისა და ყველის მოზრდილი ლუკმა სულმოუთქმელად გადავყლაპე და სანამ ჩემი ძმა კვალში ჩამიდგებოდა, უკვე ვხედავდი, როგორც ეშვებოდა ჩვენი მასწავლებელი კიბეზე. ის წინ, ჩვენ – უკან. ხმაამოუღებლად მივყვებოდით. სულ მინდოდა მეკითხა (მაგრამ ვერასდროს გავუბედე), იმ სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ მისი ნაბიჯების ხმა არღვევდა, რაზე ფიქრობდა, უფრო სწორად, ჩვენზე თუ ფიქრობდა. ვერ ვკითხე, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი და ვხედავდი, რომ ხანდახან, ტროტუარზეც და ქუჩის გადაკვეთისას, თავს შემოაბრუნებდა, გამოგვხედავდა და როცა დარწმუნდებოდა, რომ საშიში არაფერია, თავის თანამგზავრთან ერთად აგრძელებდა გზას.

თანამგზავრი ნათელა ჯინჯოლია იყო, რუსულის მასწავლებელი, ქუჩის თავში რომ გვიცდიდა და მერი ივანოვნასთან ერთად აპირებდა შემდეგი ოცი წუთი – სკოლამდე მისასვლელი გზა – პოლიტიკაზე, საჭირბოროტო საკითხებზე და სკოლაზე საუბრით გაელია. ისინი გზადაგზა ჩერდებოდნენ, შეკამათდებოდნენ, საჭირო რეპლიკებს ცვლიდნენ ერთმანეთში. ჩვენც ვჩერდებოდით, დიდად არ გვესმოდა მათი სალაპარაკო თემის შინაარსი, მაგრამ არც გადასწრება გვინდოდა. სულერთია, კლასში მაინც ის მასწავლებელი უნდა დაგვხვედროდა ან თუ არ დაგვხვედროდა, შემოსულიყო მაინც, ვისაც გადავუსწრებდით, მხედველობის არედან დავუსლტდებოდით. ეს დროებითი ოინები მაინცდამაინც არ გვხიბლავდა, მით უმეტეს, რომ ჩვენს ოინებზე ერთი-ორჯერ მწარედაც მოგვხვდა.

– ბურთი უსულო არსებაა და თავისი ნებით არ მოვა და არ გეტყვით, მორჩით თამაშს, თავი დამანებეთ, საკმარისიაო! – გვითხრა ერთხელ მერი მასწავლებელმა და რომ არ გამცინებოდა, ქვედა ტუჩის ძარღვზე ისე მწარედ ვიკბინე, პირი სისხლით გამევსო. ისე, მართალი იყო, ჩვენზე უფრო ბურთი რომ შეეცოდა – თამაშის ჰხარტში შესულები დღე-ღამეს ვერ ვარჩევდით და ქუჩაში შუქი თუ ბჟუტავდა, ღამის საათებშიც შეგვეძლო ნამდვილი მუნდიალის მოწყობა.

მაგრამ ეს მერე, მოგვიანებით, მაშინ კი, 1994-ში, შუქი ისეთივე იშვიათი მოვლენა იყო, როგორც, ვთქვათ, „კიპიტელნიკი“ ახლა. სამაგიეროდ, უშუქოდ და უპატრონოდ დარჩენილ ქალაქში სხვა, ფეხბურთზე გაცილებით სახიფათო თამაშები იმართებოდა დღისითაც და ღამითაც.

ჯიხურს რომ გავცდით და ის-ის იყო თეატრისკენ უნდა გაგვეხვია, რომელიღაც მოსახვევიდან ხრიალის, დგანდგარის, გრუხუნის, ხავილის, ყეფის ხმა მოგვაწყდა ერთიანად. შემობრუნება ძლივს მოვასწარით და ტანკიც გამოჩნდა. შორიდანაც ჩანდა: შიგ მეზღვაურის მაისურგადაცმული ტიპი იჯდა, რომელიც სწრაფად და ნერვიულად მოაგორებდა ტანკს. თავი პირდაპირ ჩვენკენ დაეღერებინა, სიჩქარეს არ უკლებდა და ადგილზე გაქვავებულები, ფეხმოკვეთილები ველოდით, როდის ამოიჭრებოდა ტროტუარზე.

მაგრამ უცებ, თითქოს საჭე გაუსხლტაო, ოდნავ მხარი ექცა და წონასწორობადაკარგული პალმას შეასკდა. პალმა ჯერ დაიზნიქა, შემდეგ წამოიმართა, ისევ დაიზნიქა და გადატყდა. ტანკისტმა ერთი გაოცებულად მიმოიხედა, შეიგინა, რამდენიმე წამით შეგვატოვა მზერა, ტანკი მოატრიალა და გაგვეცალა.

– წამოდით, რას უყურებთ?!
– მერი მასწავლებლის ხმამ გამოგვარკვია. შიშნაჭამები, დაზაფრულები ვიდექით და ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ ის, რაც წუთ-ნახევარში მოხდა, ფილმი ან ფილმიდან ჩარჩენილი სიზმრის ეპიზოდი არ იყო. „წამოდით, ფეხი გამოადგით!“ – ხმამაღლა გვეძახდა მერი ბულია და თავისკენ გვექაჩებოდა, თითქოს ეშინოდა, რამდენიმე წამის წინ მომხდარ ამბავს არ მოვენუსხეთ და სწავლაზე კი არა, მშვიდი პალმების აყირავებაზე გვეფიქრა, იმ საქციელებზე, რომელიც დედაენაში არ წერია, მაგრამ აი იასავით სწავლობენ ისინი, ვისაც ომი და სისხლი სწყურია.

– ახლავე წამოდით! – მკაცრი და მომთხოვნი იყო ჩვენი პირველი მასწავლებელი, რომელიც მომხდარს არ იმჩნევდა და იმ წუთას ალბათ ყველაზე მეტად ფიქრობდა ჩვენზე, დათრგუნვილ და გადარჩენილ ბავშვებზე.

მეტჯერ არ გაუმეორებია. შებრუნდა და წავიდა. გავყევით.

- უმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები;
- მოსწავლეებს უვითარდებათ ცოდნის გამოყენების უნარი;
- უვითარდებათ პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარი;
- უკეთ ესმით კომპლექსური საკითხები;
- აცნობიერებენ სკოლასა და თემში არსებულ სტერეოტიპებს, მაღლდება მათი სამოქალაქო ცნობიერება და სკოლის დასრულების შემდეგ მაღალია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობა;
- ძლიერდება სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლობა;
- მეტი ადამიანი ერთვება თემისა და სკოლის საჭიროებათა მოგვარების პროცესში;
- მყარდება ორმხრივი თანამშრომლობა: თემი რესურსებს უზიარებს სკოლას, სკოლა ერთვება თემის პრობლემების მოგვარების საქმეში.



5. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების სირთულეები

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას სირთულეებიც ახლავს. მაგალითად:

- სკოლა და თემი ხშირად უფრო მეტს ელიან, ვიდრე იღებენ, ამიტომ ამ მიდგომის სკოლაში დანერგვა ერთგვარად სარისკოა. გახსოვდეთ, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება პროცესია და არა ერთჯერადი აქცია. ბოლომდე მიუღწეველი მიზანი შეიძლება ახალ გამოწვევად იქცეს და ახალ პროექტს დაედოს საფუძვლად.
- შესაძლოა, მოსწავლეს არ სურდეს საველე სამუშაოში მონაწილეობა. გაითვალისწინეთ ეს პროექტის სამუშაო ჯგუფის შერჩევისას. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათი საქმიანობა შეფასდება, წარმატების შემთხვევაში თავად დაინახავენ ცვლილებებს. შეარჩიეთ მოტივირებული მოსწავლეები.
- საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების ინსტიტუციური მხარდაჭერის მოპოვება ზოგჯერ ჭირს. საქმიანობა მოითხოვს დაფინანსებას, მცირებიუჯეტიან სკოლას კი შესაძლოა სათანადო ფინანსები არ ჰქონდეს.
- შესაძლოა, სკოლას სკეპტიკური დამოკიდებულება გაუჩნდეს, რადგან საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება სწავლების ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავდება. სკოლის ადმინისტრაციამ შესაძლოა ვერ დაინახოს კავშირი საველე სამუშაოებსა და სასწავლო გეგმით გაწერილ მიზნებს შორის. გააცანით კოლეგებს საზოგადოებრივი სწავლების მეთოდი, იმუშავეთ მათთან ერთად. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება ხომ საგანთა ინტეგრაციას უწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cathryn Berger Kaye M.A The Complete Guide to Service Learning: Proven, Practical Ways to Engage Students in Civic Responsibility, Academic Curriculum, & Social Action Second Edition, Revised, Book with Digital Content Edition;
2. Melody Bowdon; J. Blake Scott, Service-Learning in Technical and Professional Communication, 2003
3. Edmund Tsang. Projects That Matter: Concepts and Models for Service-Learning in Engineering. Stylus, May 2000.
4. http://www.exploratorium.edu/ifi-archive/resources/workshops/teachingforunderstanding.html

მანანა ბოჭორიშვილი

ეფექტიანი სწავლება: როგორ შევმატოთ დავალებას ინტერესი

საუკეთესოდ მომზადებულ მასწავლებელსაც შეიძლება ჰყავდეს წარუმატებელი მოსწავლეები. მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს მთელ სკოლაში ყველაზე კარგი და დეტალური გაკვეთილის გეგმა, მაგრამ თუ მან ვერ მოახერხა კლასისთვის მასალის ეფექტიანად მიწოდება, მოსწავლეები უბრალოდ ვერ ისწავლიან. როდესაც მასალა სწორი გზითაა მიწოდებული, იწყება წარმატების ციკლი.

კვლევები ადასტურებს, რომ თავდაჯერებული მასწავლებელი შთააგონებს მოსწავლეებს, წარმატებული მოსწავლეები კი თავდაჯერებულ მასწავლებლებს ქმნიან. ეს ციკლი ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია.

ბევრ მასწავლებელს ჰგონია, რომ გაკვეთილის ეფექტიანად მიწოდება კლასის წინაშე საკითხის კარგად გაშუქებას ნიშნავს. მასწავლებელს ნამდვილად სჭირდება კარგი სამეტყველო უნარები, მაგრამ ეს წარმატების მხოლოდ ერთი ფაქტორია. კარგი გაკვეთილის სხვა კომპონენტებია:

- საკლასო დისკუსია;
- კითხვებზე პასუხის გაცემა;
- განხილვა;
- ინფორმაციული აქტივობა და ა. შ.

საუკეთესო გამოსავალია ამ ყველაფრის ერთად თავმოყრა; როდესაც მასწავლებელმა იცის, რომ კლასმა აითვისა გაკვეთილის მასალა, ის გრძნობს, რომ მისი შრომა სათანადოდ აისახა მოსწავლეთა წარმატებაზე.

პედაგოგიკის სპეციალისტები ხშირად ურჩევენ მასწავლებლებს: „თუ გსურთ, თქვენი მოსწავლეები გაკვეთილით დაინტერესდნენ, თვითონვე უნდა იყოთ დაინტერესებული ამ გაკვეთილის წარმატებით. თუ გეცოდინებათ, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველ გაკვეთილზე ენთუზიაზმის გამოჩენა, თუ თქვენი მოსწავლეები დაინახავენ ამ ენთუზიაზმს და ინტერესს, გაკვეთილი მათაც მოეწონებათ და დაინტერესდებიან. მეორე მხრივ, თუ თქვენთვის გაკვეთილი მოსაწყენი და უინტერესოა, მოსწავლეებიც აუცილებლად მოიწყენენ“.

> ყველა მასწავლებლის საფიქრალია, როგორ დაგეგმოს სასწავლო პროცესი ისე, რომ ნებისმიერი სტილით მსწავლელი მოსწავლეებისთვის საინტერესო იყოს.

წარმოვიდგინოთ ასეთი სცენარი: ენთუზიასტი მასწავლებელი გაკვეთილის მასალას უხსნის ყურადღებიან მოსწავლეებს. როდესაც მოსწავლე სვამს კითხვას, მასწავლებელი კიდევ ერთხელ ხსნის მასალას. როცა ტესტის დაწერის დრო მოდის, ზოგი მოსწავლე კარგად წერს მას, ზოგი – საშუალოდ, ზოგიც – ცუდად. იმედგაცრუებული მასწავლებელი ეუბნება კოლეგას: „რამდენჯერმე ავუხსენი, როგორ უნდა შეესრულებინათ დავალება. რატომ ვერ გაიგეს?“

პედაგოგიკის სპეციალისტები ხშირად ურჩევენ მასწავლებლებს: „თუ გსურთ, თქვენი მოსწავლეები გაკვეთილით დაინტერესდნენ, თვითონვე უნდა იყოთ დაინტერესებული ამ გაკვეთილის წარმატებით.

სამწუხაროდ, საუკეთესო მასწავლებელსაც კი შეიძლება ჩაუვარდეს გაკვეთილი, თუ ყურადღება არ მიაქცია მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებებს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამ საკითხზე კონცენტრირებულ მეცნიერთა ყურადღების წყალობით, პედაგოგებმა საკმაო ინფორმაცია მიიღეს იმის შესახებ, როგორ სწავლობს სხვადასხვა მოსწავლე და როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი თითოეულ მათგანთან მისასვლელად.

ინტერნეტში უამრავი ინფორმაციაა სწავლების სტილის შესახებ. ქვემოთ მითითებულია ორი ვებგვერდი, სადაც გაეცნობით ამ საკითხთან დაკავშირებულ სიახლეებს.

- www.learning-styles-online.com – აქ ნახავთ სწავლების სტილის უფასო კატალოგს, სხვადასხვა სტილის შესანიშნავ მიმოხილვას და საჭირო ინფორმაციას მათ შესახებ.
- www.ldpride.com – სწავლების სტილის უფასო კატალოგს ეს გვერდიც გვთავაზობს. აქვეა ინფორმაცია მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ და პრაქტიკული მითითებები იმის თაობაზე, როგორ ვიმუშაოთ სწავლების განსხვავებული მეთოდებით.

როდესაც სწავლების სტილის შესახებ ინფორმაციას უხვად ვიღებთ, შესაძლოა, მათ შორის ურთიერთსაპირისპირო ცნობებიც აღმოჩნდეს. ძნელი გადაწყვეტია, რომელი სასწავლო მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს პირველად.

სწავლის მოდალობის მიხედვით გამოყოფენ:

1. ვიზუალურ შემსწავლელებს – ასეთ მოსწავლეებს ურჩევნიათ, ისწავლონ აქტივობებით, რომლებიც დაფუძნებულია კითხვის, წერისა და სასწავლო მასალის ვიზუალურ ათვისებაზე.
2. სმენით შემსწავლელებს – ასეთი მოსწავლეები ამჯობინებენ აქტივობებს, რომლებიც მოიცავს მოსმენას, ლაპარაკს და მასალის ვერბალურად ორგანიზებას.
3. კინესთეტიკურ შემსწავლელებს – ასეთი მოსწავლეებისთვის უფრო მისაღებია აქტივობები, რომლებიც მათ მასალის შეხების ნებას აძლევს.

მართლაც რომ მაცდური აზრია ყველა ადამიანის ამ სამ ჯგუფში გაერთიანება, მაგრამ ეს



კვლევები ადასტურებს, რომ თავდაჯერებული მასწავლებელი შთაგონებს მოსწავლეებს, წარმატებული მოსწავლეები კი თავდაჯერებულ მასწავლებლებს ქმნიან. ეს ციკლი ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია.

ზედაპირული მიდგომაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ინდივიდს აქვს მისთვის დამახასიათებელი სწავლის სტილი, უმეტესობა რამდენიმე სტილის კომბინაციას ანიჭებს უპირატესობას. ამის გათვალისწინებით, მართებულია სწავლების სამი კატეგორიის გაერთიანება რაც შეიძლება მეტი ოდენობის დავალების სახით.

გთავაზობთ ერთი და იმავე დავალების ორ ვარიანტს.

თავდაპირველი დავალება: დაასრულეთ პირველი თავის მე-17-21-ე გვერდების კითხვა და უპასუხეთ ბოლოს მოცემულ კითხვებს. დაწერეთ ტესტი მე-13-21-ე გვერდებზე მოცემული მასალის შესახებ.

იგივე დავალება, მორგებული სწავლის სხვადასხვა სტილს:

- დახედეთ მე-14 და მე-16 გვერდებზე მოცემულ ილუსტრაციებს, ჩაიწერეთ ორი უცნაური თვისება, რომლებსაც თითოეულ მათგანზე შეამჩნევთ (ვიზუალური).
- წაიკითხეთ ქვეთავი. სათაური და ძირითადი ცნებები ამოიწერეთ (ვიზუალური).
- თქვენ და თქვენმა მეწყვილემ რიგრიგობით ხმამაღლა წაიკითხეთ მე-17-20 გვერდები, ამოიწერეთ ძირითადი ცნებები თითოეული ქვეთავიდან (სმენითი, ვიზუალური).
- შეადგინეთ იდეათა რუკა იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც მე-19 გვერდზეა მოცემული (კინესთეტიკური).
- გაუზიარეთ თქვენი რუკა მეწყვილეს და გააერთიანეთ თქვენი იდეები (სმენითი, ვიზუალური).
- როდესაც თქვენ და თქვენი მეწყვილე მუშაობას დაამთავრებთ, კომპიუტერთან დასხედით და 21-ე გვერდზე მოცემული კითხვების პასუხები ჩაიწერეთ. ერთმა თქვენგანმა პასუხები ხმამაღლა უნდა წაიკითხოს, მეორემ კი აკრიფოს (სმენითი, კინესთეტიკური/ხელშესახები).
- შეასწორეთ პასუხები მონიტორზე გაშვებული ვიზუალური მასალის მეშვეობით (ვიზუალური).

როგორ შევმატოთ დავალებას ინტერესი

ბევრი მასწავლებელი წუხს, რომ უჭირთ, მეტოქეობა გაუწიონ სწრაფად განვითარებად გასართობ ინდუსტრიას, რომელსაც მოსწავლეები ბევრ დროს უთმობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მიზანი მოსწავლეების გართობა არ არის, მაინც უნდა ვეცადოთ, გაკვეთილი რაც შეიძლება მხიარული, საინტერესო და გასართობი იყოს. თუ დავალება სასიამოვნოა, მოსწავლეები მას უფრო სერიოზულად მოეკიდებიან. რამდენიმე საათის განმავლობაში მასწავლებლის მოსმენა მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის არც ისე საინტერესოა.

პრობლემის გადასაჭრელად ჯგუფებად მუშაობა და სიმულაციურ თამაშებში მონაწილეობა გაცილებით დიდ ინტერესს აღუძრავს ბავშვებს. ეს სწავლის ეფექტიანობას ზრდის. მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა, დავალება რაც შეიძ-

ლება საინტერესო გახადოს მოსწავლეებისთვის. მნიშვნელოვანია კრეატიული აქტივობებიც.

გთავაზობთ იმის მაგალითს, როგორ შევმატოთ დავალებას ინტერესი სწავლისთვის საჭირო მოტივაციის ასამაღლებლად.

თემა: 1920-იანი წლების ისტორია მეშვიდეკლასელთათვის

დავალება: კვირის განმავლობაში მოსწავლეები წაიკითხავენ მასალას, გააკეთებენ ჩანაწერებს, მოუსმენენ საკლასო დისკუსიებს და უპასუხებენ მოცემული თავის ბოლოს დასმულ კითხვებს.

შეცვლილი დავალება: კვირის განმავლობაში მოსწავლეები წაიკითხავენ მასალას 1920-იანი წლების ისტორიის შესახებ და მოამზადებენ პროექტს – ოთხწუთიან მოხსენებას, რომლის დროსაც წარადგენენ გამოკვლევის შედეგებს. ყველა მოსწავლე ვალდებულია, გააკეთოს ჩანაწერები თანაკლასელთა პროექტების შესახებ, რათა უკეთ გაიგოს საკითხი.

შეცვლილი დავალების ვადები:

ორშაბათი: მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ მასალას საკლასო ოთახში და იღებენ თემების სიას პროექტისთვის. ყოველი მოსწავლე ირჩევს გამოკვლევის თემას. ისინი იმეორებენ მასალას საშინაო დავალების შესრულებით.

სამშაბათი: მოსწავლეები ამოწმებენ საშინაო დავალებას და იწყებენ პროექტსა და მოხსენებებზე მუშაობას.

ოთხშაბათი: მოსწავლეები მუშაობენ პროექტსა და მოხსენებებზე.

ხუთშაბათი: მოსწავლეები აგრძელებენ პროექტსა და მოხსენებებზე მუშაობას.

პარასკევი: მოსწავლეები კლასს თავიანთ მოხსენებებს წარუდგენენ.

მოხსენების თემები მოსწავლეთა დამოუკიდებელი გამოკვლევებისთვის:

- ამ ეპოქის ერთ-ერთი პრეზიდენტის მოღვაწეობის აღწერა;
- ამ ეპოქის ერთ-ერთი პირველი ლედის მოღვაწეობის აღწერა;
- საფონდო ბაზრის კრახის მიზეზები;
- ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- სპორტული ამბები;
- სამედიცინო აღმოჩენები;
- იმ ქალაქის მნიშვნელოვანი ამბები, სადაც მდებარეობს სკოლა;
- პოპულარული მუსიკა;
- როგორი იყო სკოლა 1920-იან წლებში;
- რას აკეთებდნენ ბავშვები თავისუფალ დროს;
- მოდა და გატაცებები 1920-იან წლებში;
- ნობელის პრემიის ლაურეატები;
- ტრანსპორტი;
- დიდი დანაშაულები.

რჩევები პროექტებისთვის

მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ერთ-ერთი პროექტი ოთხწუთიანი მოხსენებისთვის:

- საფოსტო მარკა;
- ესკიზი;
- პოსტერი;
- რუკა;
- ფოტოკოლაჟი;
- პროექტორი;
- კომპიუტერული პრეზენტაცია;
- ქაღალდის დაფა;
- კომიქსები;
- ბანერები;
- დიორამები.

გასათვალისწინებელია: თითოეულმა მოსწავლემ უნდა გაიაზროს მასალის ძირითადი ცნებები; მოსწავლეებს შეუძლიათ, თავისუფლად ამოირჩიონ პროექტები; თითოეული მოხსენება ძალიან მოკლე უნდა იყოს; მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ჩანაწერები თანაკლასელთა პროექტების შესახებ; პროექტები ბევრ დროს არ მოითხოვს; ორივე შეფასების ვადა ერთნაირია; გაუმჯობესებული შეფასება მთლიანად ჩართავს მოსწავლეებს სასწავლო პროცესში.

მიზნობრივი დავალებების ალტერნატიულ ვარიანტებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ მიზნობრივი დავალებების ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება ბევრ დროს მოითხოვს, ეფექტური სწავლების პროცესში მისი როლი დიდია.

ნინო ლაბარტყავა

ციფრული წიგნიერების მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაში

მცდარი ინფორმაციის ნამდვილისგან გარჩევის საკითხი სამყაროსავით ძველია. უბრალოდ, ინტერნეტის ეპოქაში გაჩნდა უფრო მეტი წყარო და სერვისები, რომლებიც ავტორობის ან რედაქტორობის შესაძლებლობას გვაძლევს.

1980 წლის შემდეგ დაბადებულ ბავშვებს ლიტერატურაში ციფრული ეპოქის აბორიგენებად მოიხსენიებენ. ბავშვები ადრეული ასაკიდანვე იწყებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, ამიტომ აღარ გვიკვირს, რომ ჩვენი მოსწავლეები და სტუდენტები ჩვენზე მოხერხებულად პოულობენ Power point-ის პრეზენტაციისთვის მახვილგონივრულ ილუსტრაციას ან ფოტოებს Photoshop–ით ამუშავებენ და მათგან კალენდარს აწყობენ. თანამედროვე ეპოქის გამოწვევები ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც 9 გამჭოლ კომპეტენციას შორის ციფრულ (კომპიუტერულ) წიგნიერებასაც მოიაზრებს, რაც ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარს გულისხმობს.

ამის კვალობაზე, დიდ მნიშვნელობას იძენს მოზარდებისთვის ციფრული კომპეტენციებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება, მაგრამ, ამასთანავე, არც თავად ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ხარისხის საკითხი კარგავს აქტუალობას.

ინფორმაციის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ მაგალითს. 2005 წლის 26 მაისს ამერიკელი მწერლისა და ჟურნალისტის ჯონ საიგენტალერის ვიკიპედიაში გამოქვეყნებულ ბიოგრაფიას დაემატა შემდეგი ინფორმაცია: „მეოცე საუკუნის 60–იან წლებში ჯონ საიგენტალერი-უმცროსი გენერალური პროკურორის რობერტ კენედის თანაშემწედ მსახურობდა. ერთხანს იგი ეჭვმიტანილი იყო როგორც ჯონ კენედის, ისე მისი ძმის, ბობის მკვლელობაში, თუმცა მისი ბრალეულობის დამტკიცება ვერ მოხერხდა. 1972 წელს ჯონ საიგენტალერი საბჭოთა კავშირში გადასახლდა, 1984 წელს კი აშშ-ში დაბრუნდა და დააარსა საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სააგენტოდ იქცა“.

გამოქვეყნებიდან ოთხი თვის შემდეგ ეს ჩანაწერი მწერლის მეგობარმა აღმოაჩინა. კენედების მკვლელობაში ეჭვმიტანილად შერაცხული ჯონ საიგენტალერი იძულებული გახდა, აეგორებინა ფართომასშტაბიანი კამპანია საკუთარი რეპუტაციის აღსადგენად. მხოლოდ ამის შემდეგ წაშალეს დეზინფორმაცია საიტიდან. გაირკვა, რომ ეს ნევილში არსებული საექსპედიციო კამპანიის მენეჯერის ხუმრობა ყოფილა, რის გამოც მას მოგვიანებით საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდა მოუწია.

ონლაინენციკლოპედიაში ინფორმაციის განთავსება განსაზღვრული წესების დაცვით ნებისიერ მსურველს შეუძლია, ამიტომ მისი ნამდვილობის გარანტია არ არსებობს. საგულისხმოა ისიც, რომ Google-ში ძიებისას ამ ენციკლოპედიის შედეგი პირველივე ვარდება (Папфи, Гассер. 2011, с 189).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მცდარი ინფორმაციის ნამდვილისგან გარჩევის საკითხი სამყაროსავით ძველია. უბრალოდ, ინტერნეტის ეპოქაში გაჩნდა უფრო მეტი წყარო და სერვისები, რომლებიც ავტორობის ან რედაქტორობის შესაძლებლობას გვაძლევს. ქსელში განსათავსებელი ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელების წესები სხვა ტრადიციული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წესებისგან განსხვავდება და ამის საუკეთესო მაგალითია ღია პლატფორმები.

სანდო ინფორმაცია კი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ მის საფუძველზე ვიღებთ გადაწყვეტილებებს. მეტიც – ჩვენს დროში ინ-

ტერნეტში განთავსებული ინფორმაცია ცოდნის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. მაგრამ უსამართლობა იქნება იმის თქმა, თითქოს ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია ნაკლებად სარწმუნოა, ვიდრე ქაღალდზე დაბეჭდილი. უბრალოდ, ახალგაზრდებს (მოსწავლეებს, სტუდენტებს) მისი შეფასება უნდა შეეძლოთ.

ათწლეულების განმავლობაში ზრუნავდნენ, რათა ადამიანისთვის დიდი რაოდენობის ინფორმაცია ყოფილიყო ხელმისაწვდომი, შექმნილიყო „იდეათა ბაზარი", რაც ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებისათვის. თანდათან კი პრობლემად იქცა არა ინფორმაციის ნაკლები ხელმისაწვდომობა, არამედ ის, რომ ახალგაზრდებს ყოველგვარ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. ამიტომ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ყოველთვის განაპირობებს თუ არა რაოდენობა ხარისხს და რა უნარების განვითარება სჭირდებათ დღეს მოზარდებს.

ინფორმაციის ხარისხის პრობლემა უშუალო გავლენას ახდენს თავისუფალ საზოგადოებაზე. მასალის ძიებისას ახალგაზრდები ასე მსჯელობენ: „Google-ი ყველაზე მოხერხებულია, ყველა ამ საძიებო სისტემით სარგებლობს და მეც ასე ვიქცევი. ამის შემდეგ ვირჩევ ნებისმიერ ბმულს, თუ არ მომეწონა, მომდევნოზე გადავდივარ და ა.შ.", — მაგრამ რის მიხედვით ირჩევენ ან იწუნებენ ბმულს, ამ კითხვაზე ისინი არაერთგვაროვან პასუხს იძლევიან. ერთ-ერთი სტუდენტი, მისივე თქმით, სანდოდ მიიჩნევს მასალას, თუ ის ბევრად არ განსხვავდება ლექციებზე მოსმენილი ან სახელმძღვანელოში ამოკითხული ინფორმაციისგან, მითითებულია ავტორის ვინაობა, არ შეიცავს თვალშისაცემ ფაქტობრივ ან სტილისტიკურ შეცდომებს.

წიგნ „ციფრული ეპოქის ბავშვების" ავტორებს, ჯ. პალფრის და უ. გასერს, მიაჩნიათ, რომ მოზარდები მხოლოდ მაშინ იწყებენ ინფორმაციის ხარისხის შემოწმებას, თუ, მაგალითად, დაბალი ქულა მიიღეს ინფორმაციის კოპირების ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის წარდგენის გამო.

განსაკუთრებით ყურადსაღები ის არის, რომ ახალგაზრები ინტერნეტში ეძებენ ინფორმაციას არა მხოლოდ სასწავლო დავალებების შესასრულებლად, არამედ ჯანმრთელობის თაობაზე გაჩენილ კითხვებზე პასუხის მისაღებადაც. აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას უშუალოდ ექიმებისგან იღებს 12-დან 17 წლამდე ასაკის მოზარდების 31% და 18–დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების 79%. ახალგაზრდების 20%–ზე მეტი სოციალურ ქსელებსა და ფორუმებში ეძებს პასუხს იმგვარ კითხვებზე, რომელთა ნაცნობებისთვის დასმაც ეთაკილებათ (მაგ., ნარკოტიკების გამოყენება, დეპრესია, სექსუალობა) და ხშირად აწყდებიან სტატიებს, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო არც მედიცინასთან და არც მეცნიერებასთან.



ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ინფორმაციის ანალიზის ხარისხი წინარე ცოდნასა და კონტექსტზეა დამოკიდებული. მაგალითად, ინფორმაციას იმპრესიონისტი მხატვრების შესახებ სხვადასხვანაირად მიიღებენ და გააანალიზებენ ხელოვნებათმცოდნე და ის ადამიანი, რომელიც ამ ტიპის მასალას პირველად ეცნობა. ინფორმაციის აღქმაზე დიდ გავლენას ახდენს ისიც, რა კონტექსტში ხდება მისი მოძიება და შეფასება. მაგალითად, მას სხვადასხვანაირად აღიქვამენ მკვლევარი, რომელსაც განსაზღვრული დრო აქვს გამოყოფილი ინფორმაციის გასაცნობად და დასამუშავებლად და ცაიტნოტში მყოფი მოსწავლე/სტუდენტი, რომელმაც მასალის მოსაძიებლად უკანასკნელი წუთები მოიტოვა. ამ სიტუაციაში იზრდება ალბათობა, მაძიებელი დასჯერდეს პირველსავე ბმულს.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბავშვის თავის ტვინის პრეფრონტალური ქერქი ჯერ კიდევ მომწიფების პროცესშია (ეს უკანასკნელი კოგნიტურ პროცესებს განაგებს და სათანადო დროსა და ადგილას სათანადო ქცევის შერჩევას უზრუნველყოფს, რათა ადამიანი მთლიანად სიტუაციაზე არ იყოს დამოკიდებული), ამიტომ შესაძლოა, ბავშვებს უფრო მეტად გაუჭირდეთ ინფორმაციის ამორჩევა, მოწესრიგება, ინტერპრეტაცია, შეფასება, საკუთარი მოქმედებების დაგეგმვა და შედეგების პროგნოზირება და საამისოდ მეტი დახმარება დასჭირდეთ.

ყოველივე ამასთან ერთად, ინფორმაციის ანალიზში დიდ როლს ასრულებს მანამდე არსებული

ჩვენი დროის გამოწვევად რჩება მოზარდებისთვის ჯანსაღი სკეპტიციზმის ჩასახვა ინფორმაციული ნაკადის მიმართ, რომელზეც მათ ხელი მიუწვდებათ ინტერნეტით, ტელევიზიით თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. მოზარდი აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომლებიც დაეხმარება მას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გადამოწმებაში, ვიდრე მას სრულ ნდობას გამოუცხადებდეს.

გამოცდილება და ცოდნა, ვინაიდან ადამიანი, რომელსაც უკვე აქვს ინფორმაციის დამუშავების გამოცდილება, ახალბედასგან განსხვავებით, ყოველგვარ ინფორმაციას სარწმუნოდ არ მიიჩნევს.

„ციფრული ეპოქის ბავშვების“ ავტორთა აზრით, წყაროს შერჩევისას მოზარდები ყურადღებას აქცევენ საიტის დიზაინს, მის პოპულარობას, იმას, რამდენად ვრცლადაა წარმოდგენილი ინფორმაცია. ზოგი აღნიშნავს, რომ სანდოდ მიაჩნია საიტები, სადაც ინფორმაციას ხშირად აახლებენ და სადაც შესაძლებელია განახლების თარიღის ნახვა.

ბუნებრივია, ინფორმაციის ხარისხის შეფასება თანდაყოლილი უნარი არ არის. ადამიანები, რომლებიც მეტ დროს უთმობენ სხვადასხვა საიტზე ინფორმაციის ძიებას, ბუნებრივია, მეტად იწაფებიან. მაგალითად, ერთი სტუდენტი ამბობს, რომ ყოველგვარ ინფორმაციას ამოწმებს, ეცნობა სხვადასხვა წყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს დასკვნა ან იქმნის წარმოდგენას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ის ვიკიპედიის გამოყენების საკუთარ წესსაც გვაცნობს: „სტატია, სადაც ბევრი ციტატაა მოყვანილი და ავტორებიც მითითებულია, ჩემ ნდობას იმსახურებს. სტატიის გაცნობისას შევდივარ მისი განახლების ისტორიაში, ვნახულობ, ვის მიერაა რედაქტირებული... თუ რედაქტორებიც დასახელებულია, მაშ, ეს სანდო სტატია ყოფილა“.

აქედან გამომდინარეობს, რომ ციფრული თაობის აბორიგენები გამოცდილებასთან ერთად მასალის შეფასების უნარებსაც იძენენ, მაგრამ ეს პრობლემას მთლიანად ვერ აგვარებს.

არსებობს ინფორმაციული ნაკადის რეგულირების სხვადასხვა გზა.

პირველი თავად ბაზარია, სადაც განსაკუთრებით ღირებული „პროდუქტის“ შერჩევა ხდება. მაგრამ თუ ის საფუძვლიანად არ შევისწავლეთ, არჩევანს ვერ გავაკეთებთ. იმავდროულად, ბევრ საიტს აქვს ციფრული შინაარსის შეფასების რეიტინგები. მაგალითად, youtube-ზე ვიდეოს 5–ქულიანი სკალით შეფასებაც შესაძლებელია და კომენტარის განთავსებაც. საბოლოოდ სისტემა კრებს ინფორმაციას იმ მომხმარებლებისგან, რომლებიც გაეცნენ აღნიშნულ რესურსს.

პრობლემას მეტ–ნაკლებად ამცირებს ხარისხის ნიშნები და მარკეტინგი. ონლაინსივრცეში ისინი ინფორმაციის სანდოობის მაუწყებელია. არსებობს ნიშნები, რომელიც არასრულწლოვანებს მათთვის საზიანო ინფორმაციისგან იცავს. ამგვარ სამარკო ნიშნებს სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის პროგრამის ფარგლებში ანიჭებენ. მაგალითად, აშშ-ში მოქმედებს იმ საიტების აკრედიტაციის პროგრამა, რომლებიც სამედიცინო შინაარსის ინფორმაციას ათავსებენ. დამოუკიდებელი ორგანიზაციის (American Acreditation HealthCare Commission – URAC) მიზანი სოციალურ ქსელში განთავსებული სამედიცინო შინაარსის ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებაა. მაგალითად, თუ მოზარდი გოგონა ანტიჰისტამინური პრეპარატების შესახებ ინფორმაციას მოიძიებს საიტზე www. Kidshealth. com, რომელსაც აქვს URAC–ის აკრედიტაცია, მეტი შანსი აქვს, მიიღოს სანდო და გადამოწმებული ინფორმაცია. ეს ორგანიზაცია თავად აწესებს ხარისხის მკაცრ სტანდარტებს და პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს სამედიცინო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით.

სერტიფიკაციის პროგრამებსა და რეიტინგებს დიდი მნიშვნელობა აქვს – ისინი ამაღლებენ განთავსებული ინფორმაციის ხარისხს, თუმცა ამ ორ მეთოდს ურთიერთსაპირისპირო ხასიათი აქვს: პირველი მიდგომით, მასალას პროფესიონალები აფასებენ, მეორით კი თავად მომხმარებელი ირჩევს, რა არის კარგი და რა – ცუდი. პირველ შემთხვევაში ხარისხის კონტროლი განსაზღვრულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თანაც საინტერესოა, რომ ეს რეიტინგები მომხმარებელთა მიერ მინიჭებულზე ნაკლებპოპულარულია, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ რეიტინგულ სისტემას არ იყენებენ ნაკლები გამოცდილების მქონე მომხმარებლები, ხოლო გამოცდილები თავად აქცევენ ყურადღებას სანდო ორგანიზაციების შეფასებებს, რაც, თავის მხრივ, აერთიანებს ამ ორ პერსპექტიულ მიდგომას.

როგორც ონლაინ, ისე რეალურ სამყაროში სოციალური ნორმები დიდ როლს ასრულებს ინფორმაციის ხარისხის უზრუნველყოფაში. ნორმები ის ფაქტორებია, რომლებზეც დამოკიდებულია ონლაინ კომუნიკაციის ხასიათი, ელექტრონული ფოსტით დაწყებული, სოციალური ქსელებითა და ბლოგებით დამთავრებული. ხშირად სწორედ სოციალური ნორმები განაპირობებს კომუნიკაციისა და ინფორმაციის ხარისხს.

საიტების ავტორები ხშირად ბავშვების (როგორც მომხმარებლების) ფაქტორსაც ითვალისწინებენ და ბავშვებისთვის განკუთვნილ საძიებო სისტემებს ქმნიან.

მშობლები ხშირად იყენებენ ფილტრებს, რათა ბავშვები და მოზარდები მათთვის შეუსაბამო შინაარსე-

ბისგან დაიცვან. ჩატარებული კვლევების თანახმად, ასე იქცევიან მშობლები, რომლებიც თვითონვე არიან ინტერნეტის ინტენსიური მომხმარებლები. ფილტრი შეიძლება დავაყენოთ უშუალოდ იმ კომპიუტერზე, რომელზეც მუშაობს ბავშვი „ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი“ ბრაუზერის ან პროგრამის სახით. ეს პროგრამები, NetNanny და Cyber Patrol, სტანდარტული ბრაუზერებით – Firefox–ით და internet explorer–ით მუშაობს. სერვერის ფილტრების დაყენება კი ხდება არა მომხმარებელთა პერსონალურ კომპიუტერებზე, არამედ სერვერებზე, რომლებიც ემსახურება ლოკალურ ქსელს. ფილტრაცია გულისხმობს მოზარდებისთვის განსაზღვრულ შინაარსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. კომპანია, რომელიც ამ სერვისს უზრუნველყოფს, ქმნის იმ საიტების შავ სიას, რომლებზეც წვდომა დაბლოკილია. წესისამებრ, ამ სიაში შეჰყავთ საიტების URL. შეიძლება აკრძალული სიტყვების შეყვანაც. მესამე გზაა ინტერნეტშინაარსების რეიტინგის შექმნა, რაც შესაძლებლობას იძლევა, ფილტრმა იმუშაოს შინარსის რეიტინგებზე დაყრდნობით, რომლებსაც მომხმარებლების მიერ შევსებული ანკეტების მიხედვით ადგენენ. მაგალითად, კომპანია Microsoft-ის მიერ შექმნილი ბრაუზერი Internet Explorer–ი ითვალისწინებს წვდომის შეზღუდვას ასოციაცია ICRA–ს (Internet Content Rating Association) სამარკო ნიშნების აღქმის გზით. ეს ინტერნეტშინაარსების შეფასების ყველაზე ცნობილი სისტემაა. მაგრამ ფილტრაციას თან ახლავს პრობლემა: შეზღუდვა შესაძლოა ზედმეტი ან არასაკმარისი აღმოჩნდეს. ასე რომ, ზემოთ აღწერილი გზა ინფორმაციის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი, მაგრამ არა იდეალური საშუალებაა.

შინაარსის შერჩევაში განსაკუთრებით გვეხმარება საძიებო სისტემები. ზოგი მათგანი მხოლოდ ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. მაგალითად, Yahooligans საგანგებოდ 7–დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შეიმუშავეს. ამ სისტემას იმთავითვე დაბლოკილი აქვს ბავშვებისთვის შეუსაბამო ინფორმაცია. თუმცა თანამედროვე საძიებო სისტემები (google, yahoo!, Ask) საკმაოდ დახვეწილია. ისინი ეყრდნობიან ჩვენი და ჩვენი მსგავსი ინტერესების მქონე ინდივიდთა საძიებო ქცევებს.

მართალია, აღწერილი ინფორმაციული სიახლეები 100%–ით ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის ხარისხს, მაგრამ საძიებო სისტემები, ფილტრაცია, რეიტინგებისა და რეკომენდაციების გაცნობა გვეხმარება, შევარჩიოთ ჩვენთვის საჭირო, ღირებული ინფორმაცია.

მართლაც, ციფრული ეპოქის ზოგიერთი აბორიგენი მასალას ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაცვით არჩევს. მაგრამ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს მაინც უჭირს ინტერნეტსივრცეში „ქატოსა და ფქვილის ერთმანეთისგან გარჩევა“ – ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიების გამოყენება განსაზღვრულ ტექნიკურ უნარებს მოითხოვს და ახალბედა მომხმარებლისთვის შესაძლოა რთული აღმოჩნდეს.

ამრიგად, ჩვენი დროის გამოწვევად რჩება მოზარდებისთვის ჯანსაღი სკეპტიციზმის ჩასახვა ინფორმაციული ნაკადის მიმართ, რომელზეც მათ ხელი მიუწვდებათ ინტერნეტით, ტელევიზიით თუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. მოზარდი აღჭურვილი უნდა იყოს იმ უნარებით, რომლებიც დაეხმარება მას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გადამოწმებაში, ვიდრე მას სრულ ნდობას გამოუცხადებდეს.

ამ სირთულეების დაძლევა ისევ ინტერპერსონალური კომუნიკაციის გზით არის შესაძლებელი. მაგალითად, მშობელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომელ საიტებს სტუმრობს მისი შვილი, რა მოსწონს და რა – არა. ეს უფროსებს მისცემს განსაზღვრულ წესებზე შეთანხმებისა და დამატებითი ინფორმაციის/ინსტრუქციების მიცემის შესაძლებლობას.

უდავოა, რომ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პედაგოგებსაც. უნდა ვიზრუნოთ ციფრული და მულტიმედიური კომპეტენციების განვითარებაზე, მივაწოდოთ მოსწავლეებს ინფორმაციის სანდოობის შემოწმების ინსტრუქციები (ან სანამ ვებგვერდს მივუთითებდეთ, დავფიქრდეთ იმაზე, ვისი შექმნილია იგი, სანდოა თუ არა ავტორთა ჯგუფი, დაშვებულია თუ არა მასალაში გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები, შესაძლებელია თუ არა ავტორებთან დაკავშირება, ხომ არ გვხდება შინაარსის თვალსაზრისით საეჭვო ინფორმაცია, რომლის გადამოწმებაც სხვა წყაროებში ვერ ხერხდება, გასაგებია თუ არა გამოყენებული ლექსიკა, შეუძლია თუ არა მოსწავლეს მისი გაგება/დამუშავება, კარგად ჩანს თუ არა სურათები და ხელს უწყობს თუ არა ისინი ინფორმაციის აღქმას. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის კოგნიტიური შესაძლებლობები, ინტერესები, ცოდნა. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია კრიტიკული აზროვნება, რომელიც აუცილებელია როგორც ციფრულ, ისე რეალურ სამყაროში გზის გასაკვლევად. თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ძალზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ვებგვერდების შემქმნელებსაც – მათ უნდა უზრუნველყონ მომხმარებელი სანდო და ღირებული ინფორმაციით და ღია ინტერნეტსივრცეში არც ბავშვების ფაქტორი დაივიწყონ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ. http://ncp.ge/ge/curriculum/competencies/digital-literacy (ნახვა 21.07. 2015)
2. Палфри, Д., Гассер. У, (2011). Дети цифровой эры. ЭКСМО.

ქეთევან ოსიაშვილი

სკოლის შიში და მისი დაძლევის გზები

ვიზრუნოთ იმაზე, რომ მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა ბავშვს სკოლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ გაუღვივონ, ხოლო თუ ასეთი დამოკიდებულება უკვე ჩამოყალიბებულია, რეალური მაგალითებით დავარწმუნოთ ჰატარა, რომ სკოლა უსაფრთხო ადგილია. აქ მას შეუძლია როგორც სწავლა, ისე გართობა და თამაშიც კი.

ვფიქრობ, ძნელად მოიძებნება სკოლა, რომელსაც თავისი არსებობის განმავლობაში ისე დაეწყოს სასწავლო წელი, რომ ერთი-ორი ატირებული, დედის კალთას მიკრული პირველკლასელის დამშვიდება არ დასჭირვებოდეს. ასეთი ბავშვები საზეიმოდ მორთულ სკოლის ეზოში წინათაც გვინახავს, დღესაც ვხედავთ და, დიდი ალბათობით, მომავალშიც ვნახავთ. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი რამდენიმე დღეში მშვიდდებიან და ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც უარს ამბობენ საკლასო ოთახში შესვლაზე, თუ დედაც არ შეჰყვებათ იქ. ზოგი მათგანი მშობლის დერეფანში ყოფნის პირობითაც თანახმაა, მიუჯდეს მერხს.

ასეთი ბავშვების ქცევას, წესისამებრ, სკოლაში სიარულის პანიკური შიში განაპირობებს. ამ შიშის დაძლევის გარეშე სკოლასთან ადაპტაციის პროცესი საკმაოდ რთულდება და მოგვიანებით შესაძლოა სასწავლო პროცესში ბავშვის ჩართვას საგრძნობლად შეუშალოს ხელი, ამიტომ რაც შეიძლება მალე უნდა დავაძლევინოთ ბავშვს სკოლის შიში, ამისთვის კი ჯერ ამ შიშის მიზეზი უნდა გავარკვიოთ – როცა მიზეზი ცნობილია, შიშის დაძლევა იოლდება.

ალბათ ყველა მშობელსა და მასწავლებელს აინტერესებს, რა იწვევს სკოლის პანიკურ შიშს ბავშვში, რომელიც არც კი იცნობს სკოლას და ჯერ ერთი დღეც კი არ გაუტარებია იქ.

შიშის ძირითადი მიზეზები

- სკოლის შიში შესაძლოა ნეგატიური გამოცდილების შედეგი იყოს. მაგალითად, შესაძლოა, სკოლისთვის მოსამზადებელ პერიოდში ბავშვი დაესწროს საბავშვო ბაღში ჩატარებულ მეცადინეობებს, იქ უფროსისგან უარყოფითი შეფასება მიიღოს და ამით გამოწვეული უსიამოვნო ემოცია გადაეზარდოს ამ მდგომარეობის კვლავ განცდის შიშში, თავად უფროსის ან უარყოფითი შეფასების მიღების შიშში. შესაძლოა, ბავშვი უფროსის ყვირილმა ან აწეულმა ხმამ შეაშინოს. შიშის მიზეზად შესაძლოა იქცეს თანატოლებთან კონფლიქტიც. ბავშვს შესაძლოა ეშინოდეს, რომ დასცინებენ არასწორი პასუხის, მეტყველებისას დაშვებული შეცდომების, ქცევის გამო.
- პატარებს აშფოთებთ მშობლების მიერ მათ დასაშინებლად გამოყენებული ფრაზები: „აი, მიხვალ სკოლაში და იქ გასწავლიან, როგორ უნდა მოიქცე, როგორ ელაპარაკო უფროსებს; იქ ასე ვერ ირბენ, ვერც შენს ნებაზე იხტუნავებ. თუ კარგად არ მოიქცევი, შენთან არავინ იმეგობრებს, ცუდ ნიშნებს მიიღებ, დაგსჯიან“. ბავშვის სკოლით დაშინებაში ხშირად უფროსი და-ძმაც მონაწილეობს. არის შემთხვევები, როცა თამაშით გართულ ხუთი-ექვსი წლის ბავშვს საშინაო დავალების შესრულებით დაკავებული, თავისუფლებას მონატრებული უფროსი და ან ძმა ნიშნის მოგებით მიმართავს: „მიხვალ სკოლაში და ნახავ სეირს. ხომ არ გგონია, მერეც ასე ითამაშებ – დაიწყება შენი წამება, სულ სამეცადინო გექნება. ასე რომ, გამოეთხოვე თავისუფლე-

ბას“. ცხადია, ამ სიტყვების შემდეგ სკოლის ხსენება ბავშვს მხოლოდ უარყოფით ემოციებს აღუძრავს.

შიშის კიდევ ერთი მიზეზია ბავშვის სოციალური განვითარების არასათანადო დონე. უცხო ადამიანებთან ყოფნას მიუჩვეველ პატარას უჭირს და აშინებს ახლობლების გარეშე დარჩენა. ეს პრობლემა განსაკუთრებით იმ ბავშვებთან გვხვდება, რომლებსაც საბავშვო ბაღში არ უვლიათ. ასეთ ბავშვებს არ უყვართ მარტო სეირნობა, გაურბიან უცხოებს, სტუმრად კომფორტულად ვერ გრძნობენ თავს, ვიწრო წრესთან ურთიერთობას ამჯობინებენ. სკოლაში წასვლა მათთვის გაურკვევლობასა და უცხო გარემოში მოხვედრას ნიშნავს. შიშის მიზეზიც ესაა.

რეკომენდაციები შიშის დასაძლევად სასკოლო ცხოვრების საწყის ეტაპზე

ვეცადოთ, პირველ დღეებში მაინც, არ გამოვიყენოთ უარყოფითი შეფასებები. მივცეთ ბავშვს ისეთი დავალება, რომელსაც წარმატებით გაართმევს თავს და შესრულებული დავალების გამო შევაქოთ.

ვერიდოთ ხმის აწევას, მით უმეტეს – ყვირილს, თუნდაც ბავშვი ჩვენს მითითებებს ზუსტად ვერ ასრულებდეს.

დავეხმაროთ ბავშვს თანატოლებთან უკონფლიქტო და კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარებაში. ნუ დავუშვებთ, თანატოლებმა დასცინონ და აწყენინონ. შევუქმნათ სოციალურად უსაფრთხო გარემო.

ვიზრუნოთ იმაზე, რომ მშობლებმა და ოჯახის სხვა წევრებმა ბავშვს სკოლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ გაუღვივონ, ხოლო თუ ასეთი დამოკიდებულება უკვე ჩამოყალიბებულია, რეალური მაგალითებით დავარწმუნოთ პატარა, რომ სკოლა უსაფრთხო ადგილია. აქ მას შეუძლია როგორც სწავლა, ისე გართობა და თამაშიც კი.

სკოლის შიშის დაძლევაში ბავშვს დიდად დაეხმარება სწავლის პირველსავე დღეს მასწავლებლის კეთილგანწყობილი, მოღიმარი, სიყვარულით სავსე სახის დანახვა.

დაბოლოს, ნუ დავივიწყებთ, რომ მოსწავლესთან, მით უმეტეს – უმცროსკლასელთან, დაკავშირებული პრობლემის მოგვარება მშობლებთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია. ვერც პედაგოგი და ვერც მშობელი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდებიან ამ პრობლემას. მისი გადაჭრა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით და თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

თამთა დოლიძე

ტერმინების ტყვეობაში: ინკლუზიური საზოგადოება

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“, თუმცა არსებობს კიდევ ერთი ბავშვობა, რომელში მონაწილეობაც გვევალება. მეტიც – ჩვენ რომ არა, ეს ისტორია არც კი დაიწერებოდა. ერთი ბავშვობის ამბავი მეც დავწერე. ჩემი შვილი უკვე თოთხმეტი წლისაა, შეიძლება ითქვას, მისი ბავშვობის ხანა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ჯერ მაინც არ ეთმობა ვარდისფერი სათვალე და ჯიუტად ცდილობს, თავი აარიდოს გაზრდას, გარე სამყარო ასე უტიფრად რომ მოითხოვს მისგან. არადა, მისი ცხოვრების მემატიანე სასოწარკვეთით, გაუთავებელი ბრძოლით, უძილო ღამეებითა და წყალწყალა იმედებით სავსე ამბების მიღმა ძნელად თუ გაარჩევს წინ გადადგმული ნაბიჯების მკრთალ კვალს, რომელიც ჩემს ბიჭს საკუთარ, გამოტოვებულ ბავშვობაში ამოგზაურებს.

პირადი გამოცდილების გაზიარებაზე არასდროს მითქვამს უარი, რადგან დღემდე მწარედ მახსოვს ინფორმაციულ ვაკუუმში გამეფებული შიშის გემო. სწორედ ამიტომ მოვხვდი, ერთი შეხედვით, „გადარჩენილი“ მშობელი PIC-ს – „მშობელთა საინფორმაციო ცენტრის“ – ვებგვერდზე, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა მშობლები ერთმანეთს თავიანთ ამბებს უყვებოდნენ და გამოცდილებას უზიარებდნენ. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის ორგანიზაციების არსებობა, საზოგადოების სწორად ინფორმირება, მშობლების კავშირი/გამოცდილების გაზიარება, რათა ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მათგანმა არ მოითხოვოს ერთითი მეტი ქრომოსომის გამო მისი შვილის თანაკლასელის სხვა კლასში გადაყვანა. რაიონებში საქმე უფრო რთულადაა. იქ შეზღუდული შესაძლებლობები ნიშნავს სირცხვილს და სახლში გამოკეტვას, რადგან ოჯახს, რომელსაც სპეციალური საჭიროების მქონე წევრი ჰყავს, სიკვდილზე მეტად საზოგადოების ზიზღნარევი სიბრალულისა ეშინია. თან ჯიუტად სჯერა, რომ განსხვავებულობას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ საჭირო სპეციალისტისთვის ვერ მიუგნია.

დღემდე საკამათოა ტერმინები, რომლებითაც საზოგადოება განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირთა დეფინიციას ცდილობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის დეკლარაციაში გამოყენებულია ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის (უნარის) მქონე პირი“ შემდეგი განმარტებით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც არ შესწევს უნარი, მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოს თავისი თავი ჩვეულებრივი (ნორმალური) ადამიანური ან სოციალური ცხოვრების საჭიროებებით გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების თანდაყოლილი ან შეძენილი დეფექტის შედეგად“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2007 წლის კონვენციის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი გულისხმობს ადამიანს, რომელსაც აქვს ხანგრძლივი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან სენსორული დეფექტი.

„ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ (1989 წ.) გამოყენებულია ტერმინები „გონებრივად და ფიზიკურად არასრულყოფილი ბავშვი“ და „არასრულფასოვანი ბავშვი“, მაგრამ არ არის მოცემული ზემოაღნიშნულ ტერმინთა განმარტება.

1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელსაც 2001 წელს დაემატა საკანონმდებლო აქტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“; ძველი კანონის მთელ ტექსტში სიტყვა „ინვალიდი“ შეიცვალა ფრაზით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტერმინი „ინკლუზია“ დიდი ხანია აღარ წარმოადგენს სიახლეს, ჩვენი ქვეყანა კი ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს ინკლუზიურ საზოგადოებად ქცევის გზაზე. ჯანსაღი სოციუმი უნდა უზრუნველყოფდეს განათლებას შეუზღუდავ გარემოში, იმის რწმენას, რომ შეზღუდული უნარების მქონე ინდივიდები თანატოლებთან ერთად ისწავლიან. სასწავლო სტანდარტი განსხვავებულ შესაძლებლობას უნდა ესადაგებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვი კი არ უნდა ერგებოდეს სისტემას, პირიქით, სისტემა უნდა მოერგოს თითოეული მოზარდის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შევეცადოთ, პატარებს ადრეული ასაკიდან განვუვითაროთ სწავლის უნარი, რადგან ინკლუზიის მთავარი მიზანი თითოეული მოსწავლის პოტენციალის გააქტიურებაა.

ინკლუზია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უამრავ რამეს გულისხმობს. ის ადრეულ ასაკში, ბავშვის განვითარების შეფერხების გამოვლენისთანავე იწყება. ინდივიდის სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო ადვილია, ამიტომ ორმაგად მნიშვნელოვანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის ადრეული ინტეგრაცია. გამოკვლევების მიხედვით, უნარშეზღუდულ ბავშვთა სწავლება ყველაზე მეტი წარმატებით ინკლუზიურ სკოლებში მიმდინარეობს და არა დღის ცენტრებში, სადაც პატარებს მხოლოდ სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდებთან უწევთ ურთიერთობა.

ინტეგრირებული განათლება ნაწილობრივ შეზღუდულ გარემოს გულისხმობს, მაგალითად, თუ ბავშვი ინდივიდუალური პროგრამის მიხედვით სწავლობს და რამდენიმე გაკვეთილს კლასთან ერთად ესწრება, მისი სწავლების ტიპი ინკლუზიურია. მხოლოდ დღის ცენტრში, სპეციალურ ჯგუფში, ინდივიდუალური მიდგომით სწავლება კი შშმ ბავშვისთვის შეზღუდულ გარემოში განათლების მიცემას ნიშნავს.

საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილს დღემდე უჭირს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა (განათლების მიღება, სამუშაოს პოვნა),

ინკლუზია ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უამრავ რამეს გულისხმობს. ის ადრეულ ასაკში, ბავშვის განვითარების შეფერხების გამოვლენისთანავე იწყება. ინდივიდის სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარება განვითარების ადრეულ საფეხურზე უფრო ადვილია.



ბავშვი კი არ უნდა ერგებოდეს სისტემას, პირიქით, სისტემა უნდა მოერგოს თითოეული მოზარდის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შევეცადოთ, პატარებს ადრეული ასაკიდან გავუვითაროთ სწავლის უნარი, რადგან ინკლუზიის მთავარი მიზანი თითოეული მოსწავლის პოტენციალის გაააქტიურებაა.

რადგან მისი შესაძლებლობები და საჭიროებები არ მიესადაგება უმრავლესობის მიერ დაწესებულ სტანდარტებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოების არასასურველ რეაქციას ხშირად თავად შშმ პირის ქმედება იწვევს. ასეთ პირთა დაბალი თვითშეფასება ორმაგი სტანდარტებით აგებული გარემოსთვის ხელსაყრელი სამანიპულაციო ბერკეტია. ფაქტია, როცა საზოგადოებისგან მოწყალებას ითხოვ, დიდხანს გიწევს ჩაკეტილ კართან დგომა, იმ კართან, რომლის გაღებაც თავად შეგიძლია. მთავარია დაიჯერო, რომ შენც იგივე უფლებები გაქვს, რაც საერთოსტანდარტული უნარების მქონე თანამოქალაქეებს.

განვითარებული საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, განსხვავებული ადამიანების ჯანსაღ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ დღემდე ვერ გაითავისა, რომ განსხვავებულობა ნორმაა და ერის ერთიანობის ცნება, უწინარესად, ინდივიდის აღიარებასა და მიღებას ნიშნავს. ინკლუზიურ საზოგადოებაში არ არსებობენ მთლიანად სხვაზე დამოკიდებული ადამიანები. განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირებს მარტო პური კი არ უნდა მიაწოდო, არამედ მისი დამოუკიდებლად მოპოვებაც უნდა ასწავლო.

დღესაც ბევრი მშობელი გაურბის შვილის მდგომარეობის სახელდებას. ადამიანის სტატუსის ჩარჩოებში მოქცევა შორიდან შესაძლოა არ მოგვეჩვენოს მართებულად, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდის მდგომარეობის ზუსტად განსაზღვრა მის საჭიროებას მაქსიმალურად მორგებული სპეციალური სამედიცინო, სოციალური თუ საგანმანათლებლო სერვისის შექმნის აუცილებელი პირობაა.

სპეციალური საჭიროების მქონე მოზარდთან მუშაობის დაწყებისას ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა სახის ფიზიკური თუ საგანმანათლებლო საჭიროება აქვს მას, მერე შევისწავლოთ გარემო, რომელშიც აღნიშნულ პირს მოუწევს სწავლა, მოვამზადოთ მისი საჭიროების შესაბამისი ფიზიკური სივრცე და მასალები. სასურველია ობიექტის ჩართვა ჩასატარებელი აქტივობების დაგეგმვის პროცესშიც. აქტივობა, რომელშიც შშმ პირი მონაწილეობს, ისე უნდა დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი გახდეს პროცესში მისი აქტიურად ჩართვა. აუცილებელია სასწავლო პროცესის რეგულარული მონიტორინგი, რათა თვალსაჩინო იყოს თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი და, ამასთან, მოსწავლემაც მიიღოს სათანადო უკუკავშირი. ინკლუზიის მთავარი მიზანი ხომ ის არის, ყველამ თანაბრად შეძლოს სასწავლო პროცესში თანამონაწილეობა და განიცადოს პროგრესი.

იმედია, ინდივიდზე ცენტრირებული სასწავლო პროგრამები იდეის შესაბამისად განხორციელდება და დროთა განმავლობაში ზემოხსენებულ ტერმინებს სრულიად გააუქმებს.

ნესტან რატიანი

წავუკითხოთ, წავაკითხოთ თუ ავკრძალოთ

რამდენიმე ხნის წინ ახლობლის სტატუსს გადავაწყდი ფეისბუქზე – ჩიოდა, შვილიშვილისთვის ზღაპარი ვერ წამიკითხავს: ან დედინაცვალი მოითხოვს ქმრისგან გერის აკუწვას და მოხარშვას, ან მამა ტოვებს ტყეში საცოდავ შვილებს, მოკლედ, ისეთი ამბებია მოთხრობილი, კითხვა რომ გავაგრძელო, ჩემს საწყალ შვილიშვილს ღამით აღარ დაეძინებაო. ჰოდა, ამ ჩემმა ახლობელმა რჩევა სთხოვა გამოცდილ ნაცნობებს. ნაცნობებმაც არ დაიზარეს და ზღაპრები მილანძღ-მოლანძღეს. ზოგიერთმა დაასკვნა კიდეც, რომ ქართული ზღაპრები არასოდეს არის კეთილი და შედარებისთვის კეთილშობილური ევროპული ზღაპრები მოიხმო; საქმეში უფრო მეტად ჩახედულმა გულშემატკივრებმა დაინდეს ქართული ზღაპრები, ზღაპრის მოარული სიუჟეტები გაიხსენეს და დაასკვნეს, რომ ქართული კი არა, საზოგადოდ, ზღაპარია ასაკრძალი. არც მე დავიზარე და იმ ახლობელს მოკრძალებულად გავუზიარე ჩემი აზრი ზღაპრების წაკითხვა-არწაკითხვის თაობაზე. სანამ ამ მოკრძალებულ აზრს თქვენც მოგახსენებდეთ, დავძენ, რომ ის ქალბატონი თავადაც მკვლევარია, ჩემი კომენტარები ადეკვატურად გაიგო, გაიზიარა ფოლკლორის სპეციალისტების წუხილი და ფოლკლორისტებს რამდენიმე სასარგებლო რჩევაც მოგვცა.

ამ წერილს არ დავწერდი, შემდგომი მოვლენები რომ არა. საქმე ის არის, რომ ბოლო დროს ფეისბუქზე მომრავლდა სტატუსები და კომენტარები სასკოლო პროგრამასა თუ კლასგარეშე საკითხავ წიგნებში ზღაპრების შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ. ზოგი იცავს მათ, ზოგი აძაგებს... დავა არახალია – ის საუკუნეებია, დიახ, საუკუნეებია მიმდინარეობს მრავალ ქვეყანაში. მშობლები, პედაგოგები, ფსიქოლოგები, თანამდებობის პირები სხვადასხვა დროს ხან მორალს უწუნებდნენ ზღაპრის გმირებს, სისასტიკესა და ძალადობას სდებდნენ ბრალად, ხანაც მიიჩნევდნენ, რომ ზღაპრის სიუჟეტები სტერეოტიპების განმტკიცებას ემსახურებოდა და სექსისტური იყო. ასპარეზი რომ აღარ ეყოთ, მოპაექრე მხარეებმა ადაპტირებულ ზღაპრებსაც გამოუცხადეს ომი, მერე ფოლკლორის სხვა ნიმუშებსაც გადასწვდნენ და ბოლოს საქმეებმა პრესის ფურცლებიდან სასამართლოებში გადაინაცვლა. ყველაზე გახმაურებული ინციდენტები ყველა ჩვენგანისთვის ბავშვობიდან ნაცნობ ზღაპრებს უკავშირდება – „კონკიას“, „ფიფქიას“, „წითელქუდას“, „რაპუნცელს“, „ჰენზელსა და გრეტელს“... ჯერ იყო და პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, ზღაპრები თავიანთი იდეოლოგიისთვის მოერგოთ. სწორედ ასე იქცა წითელქუდას ანტაგონისტი მგელი საძაგელ ებრაელად, რომელიც ერჩის გერმანელ ხალხს. ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ზღაპრის ზოგიერთმა კრიტიკოსმა დაასკვნა, რომ გერმანელების სისასტიკე ბავშვობაში ამ სასტიკი ზღაპრების კითხვამ განაპირობა. გაისმა მოწოდებები ძმები გრიმების ზღაპრების აკრძალვის შესახებ, ხოლო სამოციანი წლებიდან ევროპისა და ამერიკის სკოლებში სხვა ზღაპრების დევნაც დაიწყო. განათლების მესვეურებმა გაიზიარეს ზღაპრის კრიტიკოსების მოწოდება და უარი თქვეს სასწავლო მიზნით მის გამოყენებაზე. თუმცა ამ ტალღამაც მალე გადაიარა და ზღაპრები ისევ დაუბრუნდა სა-

ბავშვო წიგნების თაროებს, მასწავლებლებმაც (არა ყველამ) გააგრძელეს სასწავლო მიზნით მათი გამოყენება და მშობლებმაც (გამონაკლისთა გარდა) – შვილებისთვის კითხვა თუ თხრობა. აქა-იქ მაინც გაისმოდა პროტესტი – ხან წითელქუდას კალათიდან ალკოჰოლიანი სასმლის ამოღებას მოითხოვდნენ, ხანაც – ზღაპრიდან კოშკში გამოკეტილ ქალწულთან ჭაბუკის სტუმრობის ეპიზოდისას, რომ მერე მეფის ასულს აღარ გაჰკვირვებოდა, კაბა ტანზე რატომ აღარ მეტევაო, ხანაც სკაბრეზული და არანორმატიული ლექსიკისგან ტექსტების გასუფთავებას...

არადა, ძმები გრიმები ფოლკლორის პირველი შემგროვებლები იყვნენ. მათი თავდაპირველი მიზანი სულაც არ ყოფილა ზღაპრების ჩაწერა ბავშვების გასანათლებლად. პირველი კრებული, ილუსტრაციების გარეშე, მათ 1812 წელს გამოსცეს და ეს პატრიოტულ ნაბიჯად უფრო შეფასდა, რადგან ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ გერმანიაში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გადარჩენა ღირსეული საქმე იყო. იმხანად ძმებს არც უფიქრიათ, რომ მათი შეკრებილი გერმანული ზღაპრები იმდენად პოპულარული გახდებოდა, რომ სწრაფად ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე და ყველაზე აქტიურად ბავშვები წაიკითხავდნენ, ხოლო მათი დაწყებული საქმე, ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება, ჯერ მთელ ევროპაში, მერე კი მთელ მსოფლიოში გაგრძელდებოდა. გრიმების კრებულს კომენტარები ჰქონდა დართული და ეს კომენტარები ტექსტებზე ვრცელი იყო. ვერც იმას ვიტყვით, რომ არავის უფიქრია ზღაპრების იმ დროისთვის ზოგჯერ შეუსაბამო და შეუთავსებელ მორალურ მხარეებზე. თავად გრიმების კრებულიც ერთგვარად ადაპტირებული იყო იმდროინდელ საზოგადოებრივ, განსაკუთრებით – ქრისტიანულ, ნორმებთან. ასე იქცა ბოროტი დედა ანჩხლ დედინაცვლად,

ფოლკლორული ნაწარმოებების უდიდესი ნაწილი, ზღაპარი იქნება ეს, სიმღერა თუ გათვლა, ხალხური რწმენა-წარმოდგენების შესახებ უძველეს ინფორმაციას ინახავს. ამ ქანრებში ხდებოდა საკრალურის პროფანაცია.

დაუნდობელი მამა – ეშმაკად, ქორწინებამდე სექსზე მიმანიშნებელი პასაჟები კი გაშალაშინდა... მერე და მერე ზღაპრები უფრო მეტად დაექვემდებარა დროის მოთხოვნებს და ბოლოს საქმე მულტიპლიკაციამ დააგვირგვინა. დღეს თითქმის ყველა ბავშვი ზღაპრებს, ასე ვთქვათ, უოლტ დისნეის ინტერპრეტაციით იცნობს. თუმცა ყოველთვის არც ეს ინტერპრეტაცია აღმოჩნდება ხოლმე მისაღები ზოგიერთი დარგის სპეციალისტებისთვის (რა თქმა უნდა, ამ დარგებშიც ყველა მკვლევარს ერთი და იგივე პოზიცია ვერ ექნება) – გენდერის საკითხებზე მომუშავე პირთათვის თუ ფსიქოლოგებისთვის, პედაგოგებისა თუ ლინგვისტებისთვის.

საქართველოში ზღაპრების წინააღმდეგ პირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაილაშქრეს. ცნობილია აკაკის წერილიც, რომელსაც ერთი მასწავლებელი ედავებოდა, თქვენგან ჩვენ გამოსაფხიზლებელ და არა დასაძინებელ წერილებს ველოდებითო. ამაზე აკაკის ენამოსწრებულად შეუნიშნავს: „მოდი, მოვიყვანოთ ყმაწვილები, ეგ „ბროწეულის წყაროც“ წავუკითხოთ და თქვენი პედაგოგიური ნაწერებიც და რომელმაც უფრო ადრე დააძინოს, ის დარჩეს გამტყუნებულიო“. სერიოზული სახე მიიღო პედაგოგ ნინო ძიძიგურის (რომელიც სახელმძღვანელოებში ზღაპრების შეტანას იმ მოტივით მიიჩნევდა გაუმართლებლად, მოზარდებში შიშის, ცრუმორწმუნეობის, ეგოიზმის განვითარებას უწყობს ხელსო) და პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის (რომელსაც მიაჩნდა, რომ ზღაპრების ხელოვნური გარდაქმნა, მათი შელამაზება და შევსება, ხალხური ზღაპრების ლიტერატურული კანონების მიხედვით გადამუშავებაც კი არ იყო მიზანშეწონილი) დაპირისპირებამ, ნოდარ შამანაძისა და ანა ღვინიაშვილის პოლემიკამ. ვინაიდან ზღაპრის მიმართ მტრული დამოკიდებულების გამოვლენა დღემდე არ წყდება, დროდადრო თავიანთ თვალსაზრისს გამოხატავენ ცნობილი ფოლკლორისტებიც (აღსარული კეთილი აქვს, ხოლო სხვა ნაწილები – არც ისე. როგორც იქნა, შევთანხმდით, რომ მეტნაკლებად „კეთილ“ ზღაპრებს ამოვარჩევდით. მე, რუსუდან ჩოლოყაშვილმა და რუსუდან ცანავამ მონდომებით შევარჩიეთ ასეთი ზღაპრები, საკმაოდ დიდი შრომა გავწიეთ – იოლი საქმე ხომ არ არის ათასობით ზღაპრიდან ოცდაათის ამორჩევა? სამწუხაროდ, ჩვენმა შერჩეულმა ზღაპრებმა დღის სინათლე ვერ იხილა. შემდეგ, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, განათლების სამინისტროდან გვთხოვეს „კეთილი“ ზღაპრების კრებულის მომზადება. არაქართული გვარის მინისტრი აღშფოთებული იყო ქართული ზღაპრების სისასტიკით და უკვირდა, რატომ არ წერდნენ ქართველები ევროპული ყაიდის ზღაპრებს. ცოტაც და ალბათ რინგზე გაიწვევდა ჩვენი განყოფილების ხელმძღვანელს, რომელიც დიდი მოთმინებით ცდილობდა ზედაპირულად მოაზროვნე მინისტრის განათლებას... მადლობა ღმერთს, ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მაინც აღმოჩნდნენ კომპეტენტური ადამიანები, რომლებმაც ქართული პროზის 22 ტომის აკადემიურად მომზადება დაგვიფინანსეს (აქედან რამდენიმე ტომი სწორედ ზღაპრებია, ჯადოსნურიც და ნოველისტურიც). სამწუხაროდ, ეს ტომები ჯერ მხოლოდ ელექტრონული სახით არსებობს და ელის, როდის მოიცლის მათთ-

ფოლკლორული ნაწარმოებების უდიდესი ნაწილი, ზღაპარი იქნება ეს, სიმღერა თუ გათვლა, ხალხური რწმენა-წარმოდგენების შესახებ უძველეს ინფორმაციას ინახავს. ამ ქანრებში ხდებოდა საკრალურის პროფანაცია.

ნიშნავია პროფესორ ფიქრია ზანდუკელის შესავალი წერილი წიგნისთვის „წერილები საბავშვო ფოლკლორზე“, პროფესორ ზურაბ კიკნაძის წერილი ჟურნალ „კადმოსში“ და პროფესორ რუსუდან ჩოლოყაშვილის წერილი კრებულში „მხატვრულ სახეთა ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში“).

რამდენიმე წელია, რაც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების თანამშრომელი ვარ. არაერთხელ შევსწრებივარ კამათსა და დაპირისპირებას. მახსოვს, ერთ-ერთი გამომცემლობის ხელმძღვანელმა გამოსაცემად ოცდაათი საბავშვო ზღაპრის შერჩევა გვთხოვა. ნებისმიერმა სპეციალისტმა იცის, რომ ჯადოსნურ ზღაპრებს დასას-

ადაპტირებულ ლიტერატურაზე გაზრდილი თაობა აღარ მიუბრუნდება ორიგინალს და მის მეხსიერებაში არასწორად აღიბეჭდება დამახინჯებული სიუჟეტები, გადასხვაფერებული გმირები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ.

ვის რომელიმე გამომცემელი და წიგნებად გამოსცემს.

რაც შეეხება ჩემს მოკრძალებულ აზრს: მეც, ბევრი ფოლკლორისტის მსგავსად, მიმაჩნია, რომ ფოლკლორული ნაწარმოებების უდიდესი ნაწილი, ზღაპარი იქნება ეს, სიმღერა თუ გათვლა, ხალხური რწმენა-წარმოდგენების შესახებ უძველეს ინფორმაციას ინახავს. ამ ჟანრებში ხდებოდა საკრალურის პროფანაცია. გვიანდელი ფენებისგან ტექსტების გაწმენდა და უძველეს შრეებთან მიახლოება ურთულესი, მაგრამ სიურპრიზებით სავსე საქმიანობაა. ძალიან მიყვარს ეს პროცესი, ამიტომ დიდი სიამოვნებითა და გატაცებით ვაკეთებ ჩემს საქმეს. მე ფოლკლორს მეცნიერულად ვუდგები და ვიკვლევ. ადაპტირებული გამოცემები ამაში ვერ დამეხმარება, ამიტომ გული მტკივა, როდესაც გამომცემლები არ ინტერესდებიან ფოლკლორული ტექსტების აკადემიური გამოცემებით და მათ ადაპტირებულ-ილუსტრირებულ გამოცემებზე აკეთებენ გათვლას. მე პირადად არასოდეს წავუკითხავდი ან წავაკითხებდი ჩემს შვილებს ზღაპარს კონკიაზე, რომელიც აქტივისტ გოგონებს შემოიკრებს, კლუბს თუ მოძრაობას დააარსებს და მერე ემიგრაციაში წავა ამერიკაში; სამოქალაქო პოზიციის მქონე ბავშვებზე უამრავი საინტერესო ნაწარმოები დაწერილა. მეც სწორედ ამ ნაწარმოებებს შევთავაზებდი ჩემს შვილებს. რა საჭიროა, კონკიას მივანიჭოთ ახალი, მისთვის უცხო ფუნქცია? კიდევ ერთი: მარტო ფოლკლორული კი არა, ყოველგვარი ტექსტის ადაპტაციის სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ, არასოდეს მიყიდია შვილებისთვის არც ადაპტირებული ჰომეროსი, არც სერვანტესი, არც შექსპირი და არც რუსთველი. სხვა არგუმენტებს რომ თავი დავანებოთ, მიმაჩნია, რომ ლექსიკის გასამდიდრებლად, გემოვნების დასახვეწად, კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად ავთენტური ტექსტის წაკითხვა უმთავრესია. თუ ამის ფუფუნებაა, მაშინ, რა თქმა უნდა, დედნის ენაზე. თუმცა ისიც მესმის, რომ ამ საკითხზე ყველას თავისი მოსაზრება აქვს, რომ მშობლის არჩევანია, რას იყიდის შვილისთვის და რას – არა. მაგრამ, აბა, წუთით წარმოიდგინეთ, ჩემს კვლევაში იმ ბაყაყად ქცეულ უფლისწულზე ვილაპარაკო, კოცნით რომ მოხსნა ჯადო ასულმა და არ ვიცოდე, რომ ეს პასაჟი ადაპტაციის ნაყოფია (გავიხსენოთ თუნდაც ასტრიდ ლინდგრენის „ჩვენც სალტკროკელები ვართ“, სადაც საყვარელი გოგონა სტინა, იმ იმედით, უფლისწულად გადაიქცევაო, ბაყაყს კოცნის) – ავთენტური ტექსტის მიხედვით, გოგონა ბაყაყს კი არ კოცნის, არამედ გამწარებული კედელზე ანარცხებს. ანდა, ლექციაზე კომბლეს, მულტფილმის გავლენით, ბატონის ცემა დავაბრალო, მაშინ როდესაც ზღაპარში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი... ხომ იტყვით, რომ არაკომპეტენტური ვარ? მეც მეშინია, რომ ადაპტირებულ ლიტერატურაზე გაზრდილი თაობა აღარ მიუბრუნდება ორიგინალს და მის მეხსიერებაში არასწორად აღიბეჭდება დამახინჯებული სიუჟეტები, გადასხვაფერებული გმირები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ასაკის შესაბამისი ტექსტების შერჩევას ვემხრობი, ტექსტების აკრძალვას კი – არა, რადგან, ასე მგონია, ზღაპრებზე გაგულისებულებს, დღეს აღარ გვახსოვს ავტორთა ხელიდან გამოსული ნაწარმოებები, თორემ ხვალ და ზეგ აკრძალვას აკრძალვა მოჰყვება, კურიკულუმიდან ავტორების ამოღებას მოითხოვენ, მაზეგ კი, ვინ იცის, აუტოდაფეც მოაწყონ... სწორედ ასე დაიწყო პროცესები გერმანიაში (1933 წლის მოვლენებს ვგულისხმობ). ისტორიას ხომ იმისთვისაც ვსწავლობთ, რომ შეცდომები გავაანალიზოთ და მომავალში აღარ გავიმეოროთ?!

ინა იმედაშვილი

მოიგონე, აირჩიე, წარმოიდგინე, შექმენი – იყავი თავისუფალი

რამდენიმე აქტივობა წარმოსახვის განვითარებისთვის

სწავლებისას ორი რამაა გადამწყვეტი:

პირველი – ბავშვებს მოსწონდეთ ის, რასაც აკეთებენ, უხაროდეთ სკოლაში წასვლა, გაკვეთილზე დასწრება, ჰქონდეთ მოლოდინი, პოზიტიურად იყვნენ განწყობილი სასწავლო პროცესისადმი; გაკვეთილს უკავშირებდნენ სასიამოვნოს, საინტერესოს, ფიქრობდნენ, მსჯელობდნენ, იგონებდნენ, წარმოიდგენდნენ;

მეორე – პატარაობიდანვე განუვითარდეთ შემოქმედებითი, კრეატიული, ანალიტიკური უნარები. ამ უნარების განვითარება კი რომელიმე ერთი საგნის მასწავლებლის ამოცანა და მიზანი არ უნდა იყოს - ნებისმიერი საგანი, რომელიც სკოლაში ისწავლება, ამ კუთხით უნდა მუშაობდეს და მასწავლებელს ყოველდღიურ გაკვეთილებზე ერთი ისეთი აქტივობა მაინც უნდა ჰქონდეს დაგეგმილი, რომელიც შემოქმედებით, თავისუფალ აზროვნებას მოითხოვს.

დღევანდელ ბავშვებს, როგორც არავის, ისე სჭირდებათ თავისუფლება. თავისუფლება მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, ისეთივე, როგორიც ჭამა ან ძილი. მნიშვნელობა არ აქვს, სად, როგორ ოჯახში, რომელ ქვეყანაში იზრდებიან – მათში გენეტიკური კოდივით დევს თავისუფლებისკენ ბუნებრივი სწრაფვა. ამიტომ არის, რომ მოზარდებს შორის გახშირებული თვითმკვლელობის მიზეზი უმეტესად სწორედ პროტესტია პიროვნული თავისუფლებისა და „მეს“ გამოხატვის შეზღუდვის მიმართ (იგულისხმება ჩაგვრა, დაცინვა, სტერეოტიპებისა და დამახინჯებული ტრადიციების თავს მოხვევა).

ჩვენთვის, 90-იანელი თაობისთვის, თავისუფლების ამგვარი განცდა შორეული ოცნება იყო. ოცნება, რომ თავად მივიღებდით გადაწყვეტილებას საკუთარი ცხოვრების შესახებ – რა გამოვსულიყავით, სად ჩაგვებარებინა, ვისთან გვემეგობრა, ვინ შეგვეყვარებინა ან საერთოდ ღირდა თუ არა შეყვარება, და არა მარტო რა წაგვეკითხა, როგორ წაგვეკითხა, რა ჩაგვეცვა (ვისიმე დასაცინი რომ არ გავმხდარიყავით ან ვინმეს ზედმეტი არ ეფიქრა/ეთქვა), არამედ, საზოგადოდ, როგორ გვეცხოვრა.

ჩვენც უდრტვინველად მივუყვებოდით მშობლებისა და ბებია-ბაბუების მიერ ნაჩვენებ გზას, ვაბარებდით ეკონომიკურზე, რომ მერე ბანკში კარგი სამსახური გვეშოვა. არადა, გულში მასწავლებლობა, არქეოლოგობა, ვეტერინარობა ან ისტორიკოსობა გვინდოდა. მაგრამ ჩვენ არ ვიყავით თავისუფლები, ჩვენ არ გვქონდა თავისუფლების განცდა, რადგან საბჭოეთის კლანჭები ჯერ ისევ მხრებზე გვეწყო და სუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდა. რადგან ამ ურჩხულს ერთი თავი სკოლაში დარჩენოდა, კუდი - მშობლების ცნობიერებაში, ხოლო მის ბინძურ ოხშივარს ჩვენს ფილტვებამდეც ჩამოეღწია.

ამ ოხშივარმა ისე მოგვწამლა, რომ დღეს გვაოცებს ჩვენი შვილების, ჩვენი მოსწავლეების თავისუფლებისკენ სწრაფვა და ვცდილობთ, ისინიც ამ ოხშივრით გავაბრუოთ. ძნელია მისგან თავის დაღწევა, შეუძლებელიც კი, და ეს ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა, ყველაზე მეტად კი – ყველაზე სათუთ და სახიფათო სფეროში – განათლებაში.

თანამედროვე განათლების კონცეფცია თავისუფალ არჩევანსა და ნებას ემყარება. ის ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობისკენ, საკუთარი

დღევანდელ ბავშვებს, როგორც არავის, ისე სჭირდებათ თავისუფლება. თავისუფლება მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, ისეთივე, როგორიც ჭამა ან ძილი. მნიშვნელობა არ აქვს, სად, როგორ ოჯახში, რომელ ქვეყანაში იზრდებიან — მათში გენეტიკური კოდივით დევს თავისუფლებისკენ ბუნებრივი სწრაფვა.

უნარების გააზრებისკენაა მიმართული, ისევე როგორც, საზოგადოდ, თანამედროვე ცხოვრების სტილი.

ამიტომ ჩვენც, საბჭოეთით მოწამლულებმა, ვინც დღეს მასწავლებლები და მშობლები ვართ, ბოლოს და ბოლოს უნდა ვირწმუნოთ, რომ თავისუფლება უკვე შესაძლებელია, და რომ ბავშვების სურვილი – იყვნენ თავისუფლები, გამოხატონ აზრი – თუნდაც მიუღებელი, მაგრამ საკუთარი, განიხილონ ტექსტი ისე, როგორც მათ წარმოუდგენიათ – ბუნებრივია.

- ბუნებრივია, რომ მოსწავლემ გააპროტესტოს გაკვეთილის თემა;
- რომ არ დაინტერესდეს თქვენ მიერ მომზადებული მასალებით;
- რომ უკვე იცოდეს ის, რის მომზადებასაც მასწავლებელმა რამდენიმე დღე შეალია;
- რომ, თუ გაკვეთილმა არ დააინტერესა, იხმაუროს ან ისაუბროს და არ მოგვისმინოს;
- რომ გაუჩნდეს ათასი კითხვა და მუდამ გამოხატავდეს პროტესტს;
- რომ მეორეკლასელი არ დაინტერესდეს თხისა და გიგოს ამბით და არც კი გაელიმოს;

და საერთოდ, ჩვენ მიერ უტყუარ ჭეშმარიტებებად მიჩნეული ცნებები თავდაყირა დააყენოს და ერთხელაც მშრალად გამოგვიცხადოს, რომ სულაც არ მოსწონს გალაკტიონის პოეზია. იმიტომ კი არა, რომ პოეზია მოძველდა, არამედ იმიტომ, რომ კვარცხლბეკზე შემოდგმული ძეგლები ხელოვნური ეჩვენება. იმიტომ რომ ისინი ჩვენვე მოვწამლეთ.

ჩვენ მას უნდა მოვასმენინოთ გალაკტიონის მუსიკა.

მაღალ კლასებს ნუ დაელოდებით – დაწყებითიდანვე სცადეთ და დაინახავთ, როგორ გაისუსებიან, როგორ აღფრთოვანდებიან „ქარი ქრის“-ის მელოდიურობით.

ნუ ეტყვით: „უნდა მოგწონდეს“, „უნდა გიყვარდეს“, „უნდა ისწავლო“; ნაცვლად ამისა, იმაზე ესაუბრეთ, რატომ უნდა მოსწონდეთ, რატომ უნდა უყვარდეთ, გააზრებინეთ, რატომ უნდა ისწავლონ. და შედეგად: თუ უნდათ, მოეწონებათ; თუ უნდათ, შეუყვარდებათ; თუ უნდათ, ისწავლიან.

სწორედ ეს არის თავისუფალი ნება, რომელზეც ასე ვოცნებობდით.

მასწავლებელს კი ევალება, მოანდომოს სწავლა, შეაყვაროს სკოლა, გაკვეთილები. ამიტომ არის ძალიან რთული – მე თუ მკითხავთ, ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო – მასწავლებლობა.

გადამეტებული წესრიგი და დისციპლინა, საკლასო წესებზე გამუდმებით ყურადღების გამახვილება, შენიშვნები, მუქარები ძალიან უკუშედეგს იძლევა. თითქოს ჩარჩოებში მოქცევით თავად ვუბიძგებთ ამ ჩარჩოების დამსხვრევისკენ, რაც ხშირად სწორად იმ წესების იგნორირებით ან დარღვევით გამოიხატება, რომლებსაც ჩვენვე ვადგენთ.

ვფიქრობ, ერთადერთი, რამაც შეიძლება თანამედროვე მოსწავლე კარგ მსმენელად აქციოს და საგაკვეთილო პროცესში სიხარულით ჩართოს, საინტერესო, მრავალფეროვანი გაკვეთილები და აქტივობებია.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად მონაწილეობდეს გაკვეთილის დაგეგმვაში. ხდება ხოლმე, რომ გაკვეთილი, რაც უნდა კარგად იყოს დაგეგმილი, უინტერესო აღმოჩნდება. იქნებ ჯობდეს, მასწავლებელმა ბავშვებთან ერთად დაგეგმოს მომდევნო გაკვეთილი, შეარჩიოს თემა – ამ შემთხვევაში მოლოდინიც იქნება, ინტერესიც და მზაობაც. თუმცა არსებობს საფრთხე: ბავშვებმა შერჩეულ თემაზე ინფორმაცია თვითონვე მოიძიონ და ინტერესი დაიკმაყოფილონ. ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია, შერჩეულ თემაზე საინტერესო აქტივობა მოიფიქროს, თანაც ერთი კი არა, რამდენიმე.

მიმაჩნია, რომ ბავშვებს ყოველთვის უნდა მივცეთ არჩევანის საშუალება (შეიძლება კენჭის ყრაც), რათა საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობის წილი, ისწავლონ სხვისი აზრის პატივისცემა, თუნდაც უბრალოდ საკუთარი მოსაზრება გამოხატონ, თავი მნიშვნელოვნად იგრძნონ – დემოკრატიული ცნობიერების ჩამოყალიბება სწორედ ასეთი წვრილმანებით იწყება.

დღეს, როცა ყველა კარი ღიაა, როცა ინფორმაცია მოედინება ინტერნეტიდან, ტელევიზორიდან, ულამაზესი და მრავალფეროვანი ენციკლოპედი-

ებიდან, როცა ბავშვები პატარაობიდანვე ჩაჰკირკიტებენ კოსმოსის იდუმალებასა თუ ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებას, როცა მათი სამყარო ასეთი მდიდარია, ასეთი მრავალშრიანი, მათი დაინტერესება არც ისე ადვილია. ამიტომ არის, რომ მასწავლებელი სასკოლო სახელმძღვანელოებით არ უნდა შემოიფარგლოს. მაგალითად, როდესაც „დედაენას“ გავდივართ, კარგი იქნება, თუ ბავშვებს ვუამბობთ თავად „დედაენისა“ და მისი ავტორის საინტერესო და უცნობ ისტორიებს, წავუკითხავთ წერილებს, მოგონებებს (ამისთვის ბიბლიოთეკაში შევლაც დაგვჭირდება), ვაჩვენებთ იმდროინდელ ფოტოებს, მოვუყვებით „ბუნების კარზე“, წავუკითხავთ იქიდან არასაპროგრამო, თუმცა ძალიან საინტერესო ტექსტებს... მუდამ იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, როგორ დავაინტერესოთ მოსწავლე, როგორ გავხადოთ გაკვეთილი მისთვის სახალისო, როგორ განვუვითაროთ შემოქმედებითი უნარი და დავაფიქროთ.

გაგიზიარებთ რამდენიმე აქტივობას, რომლებიც, ვფიქრობ, ბავშვებს მოეწონებათ და შემოქმედებით აზროვნებას შეაჩვევს.

მსჯელობის კუბები (STORY CUBES)

ეს არის კამათლები, რომელთა ექვსივე გვერდზე რაიმე საგანია გამოსახული: ყვავილი, მთვარე, ციხე-კოშკი, გზა, უცხოპლანეტელი, გასაღები... ბავშვები წრეზე სხდებიან და რიგრიგობით აგორებენ კამათლებს. ჯერ ერთი ბავშვი გააგორებს და იგონებს/ჰყვება ამბავს, რომლის პერსონაჟებიც კუბების ზედა მხარეს დახატული ფიგურები არიან, მერე მეორე და პირველის მიერ დაწყებულ ამბავს აგრძელებს, თუმცა უკვე იმ პერსონაჟებით, რომლებიც კამათელში ამოუვა. ასე იქცევა ყველა მონაწილე. საბოლოოდ გამოდის ერთი საერთო ამბავი. ეს აქტივობა შეიძლება ფოლკლორის სწავლებისას გამოიყენოთ და მოსწავლეებს ზღაპრის შეთხზვისკენ უბიძგოთ. ამ აქტივობის გაგრძელება იქნება, თუ ამბავს ჩაიწერთ და შემდეგ ხელნაკეთ წიგნად აქცევთ, რომელსაც ბავშვები თვითონვე მოხატავენ და გააფორმებენ.



ამგვარად შეიძლება რამდენიმე კლასის საერთო წიგნის შექმნაც.

Story cubes მე ამერიკიდან გამოვიწერე, თუმცა შეიძლება, თავად ბავშვებსაც დავამზადებინოთ და მოვახატვინოთ.

https://www.amazon.com/Ceaco-318-Rorys-Story-Cubes/dp/B003EIK136/ref=sr_1_2?ie=UTF8&qid=1470228959&sr=8-2&keywords=story+cubes

შემოქმედებითი წერა მინიშნებებით

სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები შემოქმედებით წერას, დამოუკიდებლად, თავისუფლად თხზვას, ფანტაზიის ამუშავებას, ამბების გამოგონებას მივაჩვიოთ. ამაში დაგვეხმარება მინიშნებები, ინსტრუქციები და მზა ჩარჩოები, რომლებიც ბევრია ინტერნეტში. მაგალითად:

აქ ჩაწერე სათაური



მოიფიქრე პერსონაჟი. ვინ არის ის?

ვინ არის პერსონაჟი – ადამიანი, ცხოველი, რობოტი თუ?..

აღწერე მისი ხასიათი. როგორია? სევდიანი, მხიარული, მეოცნებე თუ?..

აღწერე მისი გარეგნობა – როგორი თვალები აქვს, როგორი თმა...

რა მოსწონს, რა უყვარს, რა წიგნებს კითხულობს...

აქ ჩაწერე

აქ ჩახატე

სად ცხოვრობს შენი გმირი? – დედამიწაზე, კოსმოსში, ქალაქში, სოფელში, წარმოსახვით სამყაროში, სხვა განზომილებაში, ტყეში, ყვავილში, სახლის სახურავზე...

აღწერე მისი სახლი.

აქ ჩაწერე **აქ ჩახატე**



რა მოხდა ერთხელ?
მოიფიქრე ამბავი, რომელიც შენს პერსონაჟს შეემთხვა (თუ დაგჭირდა, შეგიძლია, სხვა პერსონაჟებიც შემოიყვანო).

როგორ დაასრულებ შენს ამბავს, სევდიანად თუ მხიარულად?

იქნებ გაგრძელებაც ჰქონდეს...

რჩევები

მოიძიე ინფორმაცია იმ სამყაროზე ან ეპოქაზე, რომელზეც წერას გადაწყვეტ.

შეეცადე, თვალები დახუჭო და შენი პერსონაჟები წარმოიდგინო.

თავიდანვე განსაზღვრე ჟანრი – დეტექტივი იქნება, კომედია, ტრაგედია, ფენტეზი თუ რომელიმე სხვა? (აქვე შეგიძლიათ დაურთოთ თითოეული ჟანრის განმარტებაც)

საბოლოოდ თითოეული მოსწავლე საკუთარი პატარა წიგნის ავტორი ხდება.

ეს არის მოკლე ნიმუში, რომელიც შეგიძლიათ სურვილისამებრ განავრცოთ და შეცვალოთ. შეგიძლიათ, დაუმატოთ სხვადასხვა ჩარჩო თავის ინსტრუქციებით.

ბარათებით წერა

ინტერნეტიდან ან წიგნიდან/ჟურნალიდან წინასწარ ამობეჭდეთ ილუსტრირებული ბარათები (ილუსტრაციებზე შეიძლება გამოსახული იყოს ადამიანები, ნამდვილი და ზღაპრული ცხოველები, მნათობები, მცენარეები) და ქისაში ჩააწყვეთ. შესთავაზეთ მოსწავლეს, ერთი მათგანი ამოიღოს და მასზე გამოსახული საგანი თავისი ამბის პერსონაჟად აქციოს, ამბავი კი წინასწარ მომზადებულ ფორმაში ჩაწეროს. შეგიძლიათ, წასახალისებლად ეს ბარათი მერე მასვე აჩუქოთ.



თანამედროვე განათლების კონცეფცია თავისუფალ არჩევანსა და ნებას ემყარება. ის ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობისკენ, საკუთარი უნარების გააზრებისკენაა მიმართული, ისევე როგორც, საზოგადოდ, თანამედროვე ცხოვრების სტილი.

წარმოიდგინე

აჩვენეთ მოსწავლეს ჯადოსნური კარის სურათი და ჰკითხეთ: როგორ გგონია, რა არის მის უკან? რა ამბები ხდება? წარმოიდგინე და მოკლე ამბად ჩაიწერე.

აჩვენეთ იდუმალი სარკმლის სურათი და ჰკითხეთ: როგორ ფიქრობ, ვინ გადმოიხედავს? ვის ელოდება? რატომ?

აჩვენეთ უჩვეულო სამყაროს სურათი და სთხოვეთ, მოიფიქრონ ამ სამყაროს ისტორია.

სიტყვების ლოტო

ეს აქტივობა ძალიან კარგია პირველ კლასში, როდესაც მოსწავლეები წერა-კითხვას სწავლობენ. ვამზადებთ ფურცლებს, რომლებიც მართკუთხედებადაა დაყოფილი. თითოეულ უჯრაში წერია სხვადასხვა სიტყვა, მაგალითად: „ხე“, „წერო“, „პეპელა“, „დრაკონი“, „ცეცხლი“, „პლანეტა“, „მზე“... ფურცლებს ვურიგებთ ბავშვებს, ჩვენ კი ვიღებთ ქისას, რომელშიც ყრია ბარათები ამ სიტყვების ილუსტრაციებით ან საგნები: პატარა სათამაშოები, გირჩები, ფოთლები, ყვავილები, კენჭები, ნიჟარები, მძივები... ქისიდან ვიღებთ ბარათს/საგანს. ბავშვები დასცქერიან თავიანთ ფურცლებს. ის, ვინც ფურცელზე ქისიდან ამოღებული საგნის ან ნახატის შესატყვის სიტყვას იპოვის, ხელს სწევს და ამ ნახატს თუ საგანს ართმევს. ამ აქტივობის წყალობით ბავშვი ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტსა და ვიზუალურ გამოსახულებას, ცდილობს სიტყვის მთლიანობაში, დაუნაწევრებლად აღქმას, საბოლოოდ კი ამ სიტყვის სხვა ტექსტში ამოკითხვაც უადვილდება.

ამ აქტივობის შემდეგ შეიძლება ისეთი ტექსტიც წავაკითხოთ, რომლებიც ფურცლებზე დაწერილი სიტყვებისგან იქნება შედგენილი. წასახალისებლად შეიძლება ვაჩუქოთ ის ბარათები და საგნები, რომლებიც შეხვდებათ.

კიდევ უამრავი ხერხი არსებობს მოსწავლისთვის გაკვეთილის შესაყვარებლად, სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გასაღვივებლად. მთავარია, თავისუფლებისკენ სწრაფვა არ შევუზღუდოთ – პირიქით, საჩვენოდ გამოვიყენოთ და თავად ისიც ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვაში. ასე შეიძლება დაიგეგმოს ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ხელოვნების, ინგლისურის გაკვეთილები...



გახადეთ ბავშვები – მოსწავლეები, შვილები – უფრო თავისუფალი და იქნებ ჩვენი ოცნებაც ახდეს: ოდესმე ჩვენც ხომ უნდა ვიგრძნოთ, ნამდვილი, ბუნებრივი, საბჭოეთის მარწუხებისგან თავისუფალი თავისუფლება.

ანა ჯანელიძე

სხეულით სწავლის მივიწყებული ხელოვნება

„ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გამოუშვა“.

ქართული გამოთქმა „ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გამოუშვა“ შესაძლოა სწორედ ცოდნის „გასივრძეგანების“, მისი სხეულებრივად ქცევის მნიშვნელობას გულისხმობდეს: ცოდნის მხოლოდ „გონებაში“ ჰორიზონტალურად მატარებელ არ არის საკმარისი, ის სხეულის ნაწილად უნდა იქცეს.

სხეულს ხშირად მოიაზრებენ ადამიანის ისეთ ნაწილად, რომელიც გარესამყაროს შემეცნების პროცესში გონებასთან შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ფორმალური განათლება სწორედ სხეულისა და გონების ასეთი ურთიერთმიმართების კონცეფციას ეყრდნობა: სწავლა, უპირველესად, წარმოადგენს გონებრივ პროცესს, ხოლო სხეულებრივი კომპონენტი ნაკლებმნიშვნელოვანია, შესაძლოა, ხელის შემშლელიც კი იყოს. ამიტომ მოსწავლის სხეულის კონტროლი სხვადასხვა ფორმალური საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებლად რჩება. საგანმანათლებლო პრაქტიკა ჯერ კიდევ შორს დგას XIX და XX საუკუნეების განათლების თეორეტიკოსებისა თუ ფილოსოფოსების მიერ განსაზღვრული „სხეულითა“ და „გამოცდილებით“ სწავლის კონცეფციებისგან. ქვემოთ განვიხილავთ სხეულს როგორც სწავლის პროცესის ცენტრალურ აქტორს და გავიაზრებთ ასეთი აღქმის სავარაუდო შედეგებს საგანმანათლებლო პრაქტიკასთან მიმართებით.

განსხეულებული ცოდნა

XX საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსის მორის მერლო-პონტის მიერ შემოღებულ ცნებებს - სხეული-სუბიექტი და განსხეულებული ცოდნა სწავლისა და სხეულის ურთიერთკავშირით დაინტერესებული მკვლევრები დღეს აქტიურად იყენებენ ერთგვარ თეორიულ ჩარჩოდ. მერლო-პონტი სხეულსა და გონებას დუალისტურად არ განიხილავს: სხეული არ არის ის, რაც ადამიანს აქვს; ადამიანი არის სხეული. ის სხეული-სუბიექტია. გამოცდილების ცენტრალურ წყაროს სხეული წარმოადგენს. სწორედ სხეული ხვდება სამყაროს და არა აბსტრაქტული გონება, რომელიც თითქოსდა მოთავსებულია მასში. ამრიგად, მერლო-პონტის დამოკიდებულება ეწინააღმდეგება კარტეზიანულ დუალისტურ მოდელს, რომელიც გონებასა და სხეულს ცალ-ცალკე აღიქვამს და, ონტოლოგიური თვალსაზრისით, უმთავრეს როლს სწორედ გონებას ანიჭებს. მერლო-პონტი აკრიტიკებს სხეულისა და გონების, რაციონალურისა და ემოციურის დიქოტომიებს. სამყარო სხეულებრივად განიცდება და არა დამოუკიდებელი კოგნიტიური მექანიზმების საშუალებით. სხეული-სუბიექტი, როგორც მთლიანობა, ყოველ კონკრეტულ მომენტში აღიქვამს და შეიცნობს სხვებსა და გარესამყაროს საკუთარ განსხეულებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. სხეული-სუბიექტი როგორც „მნახველი“ და გარესამყარო როგორც „დანახული“ მუდმივ ცვალებად ინტერაქციაში არიან. ობიექტი-გარესამყარო არ არის მუდმივი, რადგან ის მუდმივად ტრანსფორმირდება სხეული-სუბიექტის ცვალებადი აღქმის ველში. სხეული განიცდის გარემოს ზემოქმედებას და თავადაც ზემოქმედებს მასზე. სწავლა – კანონზომიერებათა გააზრება, კავშირებისა და სისტემების წარმოდგენა – დაგროვილი სხეულებრივი გამოცდილების შედეგია. ცოდნის კონსტრუირება სწორედ

სხეულს ხშირად მოიაზრებენ ადამიანის ისეთ ნაწილად, რომელიც გარესამყაროს შემეცნების პროცესში გონებასთან შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ფორმალური განათლება სწორედ სხეულისა და გონების ასეთი ურთიერთმიმართების კონცეფციას ეყრდნობა: სწავლა, უპირველესად, წარმოადგენს გონებრივ პროცესს, ხოლო სხეულებრივი კომპონენტი ნაკლებმნიშვნელოვანია, შესაძლოა, ხელის შემშელიც კი იყოს. ამიტომ მოსწავლის სხეულის კონტროლი სხვადასხვა ფორმალური საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებლად რჩება.

სხეულებრივი შეგრძნებების საშუალებით ხდება: ჩვენ ვხედავთ, გვესმის, ვყნოსავთ, ვეხებით, ვაგემოვნებთ, ვმოძრაობთ. მერლო-პონტისთვის გარესამყარო არ არის ადამიანის გონების დანამატი; ჩვენ ყოველთვის სამყაროს ნაწილი ვართ ცოცხალი სხეულით. სამყაროს შეცნობასა და მასზე ზემოქმედებას სხეული-სუბიექტი არა მხოლოდ საკუთარი სხეულის საშუალებით, არამედ სხეულებრივი დანამატების საშუალებითაც ახერხებს. მაგალითად, ფანქარი და აიპედი სხეულებრივი დანამატებია, რომლებიც გარესამყაროსთან სხეულებრივი ინტერაქციის სპექტრს აფართოებს. როგორც მერლო-პონტი აღნიშნავს, იმისთვის, რომ ფანქარი (აიპედი, ენა ან ნებისმიერი სხვა რამ) სხეულის დანამატად იქცეს, საჭიროა ჩვევა. ნამდვილი ცოდნა ჩნდება მისი განსხეულებით – როდესაც ფანქარი სხეულის ნაწილი ხდება და სხეული მის ფლობაზე აღარ ზრუნავს, მას შეუძლია, სხეულის დანამატის ფუნქცია შეასრულოს.

სხეულით სწავლა საგანმანათლებლო სივრცეებში

მერლო-პონტის ცნებებზე დაყრდნობით ზოგიერთი მკვლევარი აკრიტიკებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესს, რომელიც ხშირად უგულებელყოფს სხეულის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პედაგოგისთვის „სწავლა კეთებით“ შესაძლოა ახლობელი და სასურველი პრაქტიკული მიდგომა იყოს, ცოდნის აგებისას



სხეულს მაინც მეორეხარისხოვან „დამხმარედ“ მოიაზრებენ; ძირითადად ლოკომოტივად გონება მიიჩნევა. უგულებელყოფილია ავთენტური ადგილები (მაგალითად, ქალაქის სივრცეები), ავთენტური არტეფაქტები (მაგალითად, სხვადასხვა ტიპის ნიადაგის ნიმუშები), ავთენტური პროცესები (ლაბორატორიული ექსპერიმენტები). სასწავლო პროცესი ოთხ კედელს შორის აზრების, უფრო ხშირად კი მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაა. სასწავლო პროცესის „განსხეულების“ ერთ-ერთი მოდელია ადგილზე დაფუძნებული განათლება, საკლასო ოთახს მიღმა, ადგილობრივი თემის ცხოვრების, ყოველდღიურობის, გარემოს საშუალებით სწავლება და ირგვლივ მყოფ ადამიანებსა და გარემოზე ზემოქმედება. პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს ბავშვებს საშუალება აქვთ, „სხეულებრივად“ განიცადონ სამყაროს მათთვის აქამდე უცნობი ასპექტები; ერთდროულად გაერკვიონ მეცნიერულ ცნებებსა და მათემატიკურ კანონზომიერებებში, სხეულებრივად აღიქვან სივრცე ისტორიულ კონტექსტში და გაანალიზონ საკუთარი სხეულის შესაძლებლობები ხმის, ფერის, მოძრაობის საშუალებით.

გარდა იმისა, რომ ცოდნის განსხეულება არ არის პრიორიტეტული „აკადემიური“ დისციპლინებისთვის, საგნები, რომლებიც არსობრივად „სხეულებრივია“, ხშირად სკოლისთვის არაარსებითად მოიაზრება. ყველაზე ნაკლები დრო, რესურსი და პროფესიონალთა ძალისხმევა ეთმობა სპორტს, ფიზიკურ აღზრდას, ცეკვას, სახვით ხელოვნებას, მუსიკას - საგნებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია სხეულებრივ გამოცდილებასთან, სხეულით სწავლასთან. ბევრი ბავშვისთვის ეს შესაძლოა ერთადერთი ტრანსფორმაციული სასწავლო გამოცდილება იყოს „სხეულწართმეულ“ სასკოლო ცხოვრებაში. მეტიც – სხეულის კონტროლი, მისი დამორჩილება სკოლის „წესია“.

სკოლამდელი განათლება ბავშვის სხეულს და სხეულებრივ შემეცნებას, ერთი შეხედვით, უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. „მთლიანი ბავშვი“, „ჰოლისტური განვითარება“ ჯერჯერობით საგულისხმო პრინციპებად რჩება ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე პედაგოგებისთვის. სენსომოტორული განვითარება, ბავშვის მიერ სხვადასხვა სხეულებრივი არხით გარესამყაროს შემეცნება და მასზე ზემოქმედება



არტურ ტრესი.
გოგონა დანსის ქუდით (1972 წ.)

სკოლამდელი განათლების თითქმის ყველა თეორეტიკოსისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წარმოადგენს. იმავდროულად, საინტერესოა, რომ სკოლამდელი განათლების დომინანტური – დასავლური დისკურსი განვითარების შესაბამისი პრაქტიკის შესახებ (საერთაშორისო ორგანიზაციები მას აქტიურად ნერგავენ განვითარებად ქვეყნებშიც) ეყრდნობა ჟან პიაჟეს თეორიას. ეს თეორია ბავშვის კოგნიტიურ განვითარებაზე ფოკუსირდება: ბავშვის აზროვნება გაივლის განვითარების ეტაპებს – ის თავს აღწევს სხეულებრივ მარწუხებს (სენსომოტორული ფაზა) და ასე ყალიბდება რაციონალურ ადამიანად. საინტერესოა, რომ სორბონის უნივერსიტეტში ბავშვის ფსიქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელობა მერლო-პონტისგან სწორედ პიაჟემ გადაიბარა. შეგვიძლია, თავს უფლება მივცეთ და ვიფიქროთ, რომ, მიუხედავად პიაჟეს იდეების საყოველთაო (ხშირად დაუსაბუთებელი) პოპულარობისა, მერლო-პონტის მემკვიდრეობის წყალობით სკოლამდელმა განათლებამ შეინარჩუნა სხეულის როგორც ცენტრალური „ფიგურის“ ცნება. ამიტომაც სწავლა, სააზროვნო პროცესები, მათ შორის – აკადემიურ სფეროებშიც (მაგ., წიგნიერება, მათემატიკა), საბავშვო ბაღში სხეულებრივი გამოცდილებისგან განყენებული არ არის. „ა“ არ არის უბრალოდ ასო „ა“. ის განსხეულებაა – ლობიოს მარცვლებისგან აწყობილი და ხის ნაჭერზე ამოტვიფრული, მეგობრის სახელად გადაქცეული („ვისი სახელი იწყება ა-ზე?“), უხმოდ, პირით გამოთქმული („აბა, თუ გამოიცნობთ, რომელ ასო-ბგერას წარმოვთქვამ ტუჩებით?“), ჰაერში მოხაზული. ამით შეიძლება აისხნას ის გამოწვევები, რომლებიც სკოლაში ჩნდება. სკოლაში ბავშვები ჰოლისტური არსებებიდან „კოგნიტიურ“ არსებებად უნდა იქცნენ. მათი მთავარი დავალებაა, იფიქრონ ისე, რომ სხეულმა ხელი არ შეუშალოთ.

ერა მხოლოდ მოსწავლეები

თუ სხეულს განვიხილავთ როგორც ცოდნის პირველწყაროს, ბუნებრივია, ამ ცნებას გავიაზრებთ არა მხოლოდ მოსწავლესთან, არამედ ნებისმიერ ადამიანთან, მათ შორის – მასწავლებლებთან მიმართებითაც. საგანმანათლებლო სივრცეები მასწავლებელთა ან მომავალ მასწავლებელთა სხეულებსაც მეორეხარისხოვან როლს მიაკუთვნებს. მოსამზადებელი პროგრამები იშვიათად სთავაზობს სტუდენტებს ცოდნის განსხეულების შესაძლებლობებს. თუმცა უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ მასწავლებელთა მოსამზადებელ კურიკულუმში სხეულზე ყურადღების გამახვილება ხელს უწყობს მომავალ მასწავლებელთა რეფლექსიურ და შემოქმედებით აზროვნებას. ერთ-ერთი პრაქტიკული კვლევის (Tsouvala & Magos, 2016) ფარგლებში სკოლამდელი განათლების სპეციალობის სტუდენტებს სწავლის პროცესში მიეცათ საშუალება, თავისუფალი ცეკვით, ქალაქის სივრცეებში მოძრაობითა და ჯგუფური საშემსრულებლო წარმოდგენით მოეხდინათ რეფლექსია საკუთარ თავსა და გარესამყაროზე, რაც, მათივე შეფასებით, განსაკუთრებული სასწავლო გამოცდილება იყო. ზემოთ მოყვანილი თეორიული მოსაზრებებით შეგვიძლია ავხსნათ მსგავსი კვლევებისა და პროექტების წარმატება – სწავლის პროცესი უფრო ეფექტურია, როდესაც ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, ცოდნა და უნარები საკუთარი სხეულით, ისტორიულ, ფიზიკურ და სოციალურ სივრცეში გამოსცადონ.

ქართული გამოთქმა „ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გამოუშვა“ შესაძლოა სწორედ ცოდნის „გასიგრძეგანების“, მისი სხეულებრივად ქცევის მნიშვნელობას გულისხმობდეს: ცოდნის მხოლოდ „გონებაში“ ჰორიზონტალურად გატარება არ არის საკმარისი, ის სხეულის ნაწილად უნდა იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alerby, E. (2009). Knowledge as a 'Body run": learning of writing as embodied experience in accordance with Merleau-Ponty's theory of the lived body.
2. Johansson, E. & G. Lokken. (2014). Sensory pedagogy: Understanding and encountering children through the senses. Educational Philosophy and Theory, 46 (8), 886-897.
3. Holst, J. (2013). Re-educating the body. Educational Philosophy and Theory: Incorporating ACCESS, 45 (9), 963-972.
4. Machin, A. (2014). Mouffe, Merleau-Ponty and Others: The view from somewhere? Parallax, 20 (2), pp. 73-87.
5. MacRae, C. (2007). Using sense to make sense of art: young children in art galleries. Early Years: An International Research Journal, 27 (2), 159-170.
6. O'Loughlin M. (1995). Intelligent bodies and ecological subjectivities: Merleau-Ponty's corrective to postmodernism's "subjects" of education. Philosophy of Education
7. Tsouvala, M. & K. Magos. (2016). The dance of the magic dragon: embodied knowledge in the context of transformative learning theory. Research in Dance Education. DOI: 10.1080/14647893. 2016. 1139077
8. ფოტო: Arthur Tress, 1972. Girl with Dunce Cap. http://i.imgur.com/dq2VSfQ. jpg